„მშიერ კუჭზე ჩხუბი ნაკლებად გინდება” A2

მთავრობამ ერთ კვირაში 145 მილიონი უნდა იშოვოს A4

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 25 ივლისი, 2003 წელი. №202 (414)

ფასი 30 თეთრი

ეუთო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უახლოეს პერიოდში წარადგენს

თამარ ხორბალაძე

პარლამენტში “ბეიკერის ვარიანტის” პირველი მოსმენით გასვლის შემდეგ აქტუალურ თემად იქცა ცესკო-ს თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევა.

სწორედ აღნიშნულ საკითხზე ისაუბრეს გუშინ საქართველოში ეუთო-ს მისიის უკვე ყოფილმა სპეცწარმომადგენლმა ჟაკ მიშელ ლაკომბმა და საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ლაკომბმა განაცხადა, რომ მან კიდევ ერთხელ დაუდასტურა პრეზიდენტს საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების აუცილებლობა და ხაზი გაუსვა, რომ ეუთო თანახმაა, ცესკო-ს თავმჯდომარე ბეიკერის გეგმის მიხედვით დანიშნოს.

გუშინდელ შეხვედრაზე ლაკომბმა პრეზიდენტს კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის ეუთო-სეული სქემა გააცნო. საუბარია ეუთო-ს სპეციალური ჯგუფის შექმნაზე, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს და პრეზიდენტს ორ-სამ კანდიდატურას წარუდგენს შესარჩევად და დასამტკიცებლად.

კონკრეტულ კანდიდატურებზე გუშინ ლაკომბს არაფერი უთქვამს, მაგრამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება უახლოეს პერიოდში იქნება მიღებული.

საგულისხმოა, რომ შეხვედრას ჯეიმს ბეიკერის ვიზიტამდე ერთი დღით ადრე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეული გია ზესაშვილიც ესწრებოდა. მისი აზრით, დასაზუსტებელია დანიშვნის პროცედურები და ამისათვის საქართველოს კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანაა საჭირო. ზესაშვილის თქმით, რაც უფრო სწრაფად განხორციელდება ეს ცვლილებები, მით უფრო ადრე მოხერხდება ცესკო-ს და რეგიონული საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოში სახელმწიფო კანცელარიაში სტუმრობდა სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი ირინა სარიშვილი, თუმცა იგი შეხვედრას ვერ დაესწრო.

რაც შეეხება ჟაკ მიშელ ლაკომბს, იგი საქართველოს ამ დღეებში დატოვებს. ეუთო-ს ახალი წარმომადგენლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა თავად ლაკომბის თქმით, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

სპორტი

ექსპერტიზის ცენტრის უფროსი თანამდებობიდან მოხსნეს

რამდენიმე თვის წინ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის დირექტორის, მაია ნიკოლეიშვილის ირგვლივ დაწყებული აჟიოტაჟი ორშაბათს მისი თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა.

A2

ამინდი

თბილისი	29
ბათუმი	23
ქუთაისი	27
სოხუმი	26
ცხინვალი	23
თელავი	23
ბოლნისი	28
ფასანაური	21
სამტრედია	28
ლაგოდეხი	32
თიანეთი	21
მანგლისი	23

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლარად მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1400
ევრო	2.4625
გირვანქა სტერლ	3.4452
რუბლი	0.0705

საქართველოს აქვს შანსი

ეკა კვესიტაძე
ვაშინგტონიდან

ინტერვიუ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ევრაზიის ბიუროს დირექტორის მოადგილესთან ლინ პასკოსთან.

- როგორ აფასებს ამერიკის ადმინისტრაცია ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის თბილისში ვიზიტს. როგორ ფიქრობთ, შეასრულებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება იმ ვალდებულებებს, რომელიც თავის თავზე აიღო?

- დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები გადადგა პოლიტიკური პლურალიზმის და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. მაგრამ, ეს არჩევნები საბოლოოდ გვაჩვენებს, რამდენად მომწიფებულია ქვეყანა დემოკრატიისთვის.

გაგრძელება A3 გვერდზე

გიორგი გახარიას ფოტო

მაისის ბოლოს ლინ პასკო თბილისში იმყოფებოდა და ადგილზე გაეცნო პოლიტიკურ ვითარებას.

ნიკა ლომინაძის მკვლელობა

როგორ იძიებენ მილიონების გაქრობის საქმეს და რა მოხდა სინამდვილეში

წერილი მეექვსე

ორიოდ დღის წინ ამერიკის ელჩმა საქართველოში ამერიკული კომპანიის “AES”-ის საქართველოდან წასვლის და მისი რუსული კომპანიით ჩანაცვლების შესაძლებლობა “AES თელასის” წინააღმდეგ აგორებული ბინძური კამპანიის შედეგად მონათლა და საქართველოს ხელისუფლებისგან ყველა იმ საქმის ობიექტური გამოძიება მოითხოვა, რომელშიც “AES თელასის” სახელი ფიგურირებს. ერთ-ერთ ასეთ საქმედ კი ნიკა ლომინაძის მკვლელობა და, სავარაუდოდ, ამ მკვლელობასთან დაკავშირებული ფინანსური მაქინაცია დასახელდა.

სოფიკო ჩხაიძე

ჯერჯერობით დანამდვილებით არავინ იცის, მართლაც 2,5 მილიონიან მაქინაციის კვალზე დადგომას შეეწირა თუ არა “AES თელასის” ფინანსური დირექტორი, თუმცა კი, ამ ვერსიის არსებობას რომ არაერთი საფუძველი გააჩნია, ესეც ფაქტია. მიუხედავად ამისა, ძნელი სათქმელია, დადგინდება თუ არა უშუალო კავშირი რუსეთის ჯარების შტაბის, “AES თელასის”, თბილსრესისა და კერძო ფირმების წარმომადგენლების მონაწილეობით განხორციელებულ ფინანსურ მაქინაციასა და მკვლელობას შორის, თუმცა უკვე ცხადზე ცხადია,

გაგრძელება A4 გვერდზე

მოშიმშილეები პარლამენტის თავმჯდომარეს ისევ "ეურჩებიან"

გიორგი ასანიშვილი

"წამოწოლილხართ აქ და ისვენებთ! ვერ ხედავთ, რა დღეში ვართ პარლამენტში, როგორ ვმუშაობთ?" - ხუმრობანარევი "საყვედურით" მიმართავს პარლამენტის თავმჯდომარე იუსტიციის სამინისტროს შენობაში მოშიმშილე დეპუტატებს. ნინო ბურჯანაძე ამ კვირაში უკვე მეორედ ეწვია საპროტესტო აქციის მონაწილეებს. "დამუნათებამ" არც ამჯერად გაჭრა: მიუხედავად იმისა, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება, კობა დავითაშვილი და მისი თანაფრაქციელები შიმშილობას ჯერჯერობით არ წყვეტენ.

აქციის მონაწილეებთან ბურჯანაძის გუშინდელ შეხვედრას, რომელიც დახურულ კარს მიღმა გაიმართა, იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილიც ესწრებოდა. "მოლაპარაკებების" დასრულების შემდეგ, მისი შინაარსის გახმოვანებისგან ყველამ თავი შეიკავა.

"სერიოზული განსჯა გვქონდა იმ სქემის ირგვლივ, რომლითაც კონფლიქტის მოგვარება შეიძლება. არსებობს რამდენიმე

გაგრძელება A3 გვერდზე

ნინო ბურჯანაძე შეფიქრიანებულია - მოშიმშილეები კომპრომისზე წასვლას არ აპირებენ.

დასავლეთი ბაქოზე ზეწოლას აძლიერებს

ოქტომბერში დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წინ, საერთაშორისო თანამეგობრობა ბაქოზე ზეწოლას აძლიერებს, რათა ოპოზიციასა და მედიას თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცეთ.

აზერბაიჯანული რუსულენოვანი გაზეთი “ზერკალო” იუწყება, რომ ორი დღის წინ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯონა პროკოფოვიჩმა განცხადება გააკეთა და აზერბაიჯანში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო შეშფოთება გამოხატა. სახელმწიფო დეპარტამენტის აღნიშნული განცხადება “ამერიკის ხმამ” გაავრცელა, სადაც მოყვანილია ის ფაქტები, როდესაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოპოზიციის კანდიდატებს რეგისტრაციაზე უარი განუცხადა, აგრეთვე აღნიშნულია ოპოზიციის მომხრეთა დაპატიმრება.

“ჩვენ არასანქცირებული მიტინგების დროს ხელისუფლების მხრიდან ძალადობით სერიოზულად შეშფოთებულები ვართ და მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ მოქალაქეთა თავისუფალი შეკრებისა და პოლიტიკური შეხედულებების გამოთქმის უფლება დაიცვან. ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ

გაგრძელება A5 გვერდზე

ჰეიდარ ალიევი რადიკალური ცვლილებების გატარების სურვილს არ გამოხატავს.

პარლამენტის თავმჯდომარე გადატანილი საარჩევნო ომის პერიპეტიებს იხსენებს

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარე რიგგარეშე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებებით მეტად კმაყოფილია. გუშინდელ ბრიფინგზე, რომელზეც ნინო ბურჯანაძემ ერთგვარად შეაჯამა საკანონმდებლო ორგანოს ბოლოდროინდელი მუშაობა, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში პარლამენტმა მიიღო 32 კანონი და 9 დადგენილება, მოახდინა 10 ხელშეკრულების რატიფიცირება. "საქართველოს პარლამენტი გაცილებით ეფექტური და ქმედითუნარიანია, ვიდრე ქვეყნის მთავრობა. მართალია, საკანონმდებლო ორგანო ბევრ შეცდომას უშვებს და ამის გამო, კრიტიკასაც იმსახურებს, მაგრამ იგი თავის მოვალეობას, ძირითადად, მაინც ასრულებს, მაშინ, როდესაც მთავრობა თავს ვერ ართმევს ისეთ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, როგორიც არის ბიუჯეტის შევსება და პენსია-ხელფასების დარიგება," - აცხადებს ბურჯანაძე. ასეთი შედარების გაკეთება სპიკერი იმ პიარ-კამპანიამ აიძულა, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პარლამენტისა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ხორციელდება. პარლამენტის თავმჯდომარე მთავრობას, ალბათ, უფრო მეტი თავდაჯერებით მომავალ კვირას, სეკვესტრზე მსჯელობის დროს შეუტევს, როდესაც ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებზე საკანონმდებლო ორგანოში უმწვავესი დებატები გაიმართება.

გაგრძელება A3 გვერდზე

"აღორძინება" დაბნეულია

თამარ ხორბალაძე

“ბეიკერის ვარიანტის” პირველი მოსმენით მიღებამ ყველაზე გაურკვეველ მდგომარეობაში “აღორძინება” ჩააყენა. ძნელი სათქმელია, იყვნენ თუ არა ისინი მზად სიტუაციის ამგვარად განვითარებისთვის, თუმცა ფაქტია, რომ გუშინ ბათუმური ბლოკის წარმომადგენლები დაბნეულად გამოიყურებოდნენ და ქაოტურად მოქმედებდნენ.

“ბეიკერის ვარიანტის” მიღებისთანავე ხელისუფლებისა და ოპოზიციის ალიანსზე, “მოქალაქეთა კავშირის” აღდგენაზე იწყებს საუბარს “აღორძინების” ლიდერი ჯემალ გოგიტიძე და არ გამორიცხავს “აღორძინების” მიერ არჩევნების ბოიკოტირებას.

იგივეს იმეორებს ბლოკის მეორე სახე სანდრო ბრეგაძე, თუმცა რატომღაც იმასაც ამბობს, რომ არჩევნებში აჭარის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერის იმედი აქვს.

გაგრძელება A3 გვერდზე

"პოლიტიკაში ყველაზე საშიშია, იყო სასაცილო"

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე დმიტრი როგოზინი ამტკიცებს, რომ საქართველოს პრეზიდენტს თავისი რუსი კოლეგისათვის არავითარი წერილი არ გაუგზავნია.

"წერილი, რომელსაც "გზაში მარკა აძვრა", უბრალოდ, არ არსებობს. არსებობს პოლიტიკური რესურსის სერიოზული დეფიციტი საქართველოში. თუ ადრე საქართველოს მსგავს განცხადებებზე მოსკოვში ბრაზდებოდნენ, ახლა წყენის ნატამალიც არავის გამოუმჟღავნებია. კრემლში, უბრალოდ, იღიმებიან. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება პუტინისათვის მიწერილ მკაცრ წერილზე არასერიოზულობაა. შეიძლება იყო კეთილი, ბოროტი, გულახდილი ან გულჩათხრობილი, მაგრამ პოლიტიკაში ყველაზე საშიშია, იყო სასაცილო," - ირონიულად მიანიშნებს როგოზინი საქართველოს პრეზიდენტის გულწრფელობაზე, თუმცა თავადაც არ თაკილობს აშკარა ცრუპენტელობას, როცა ამტკიცებს, რომ აფხაზეთში მხოლოდ და მხოლოდ დასასვენებლად ჩავიდა: **"გჯერათ, რომ აფხაზეთში დღემდე ნამყოფი არ ვიყავი და ახალგაზრდობისდროინდელი ოცნება ახლა ავისრულე? ჩემს მეუღლესთან ერთად გავფრინდი სოხუმში, ჩემი ოცნება იყო ბიჭვინთაში დასვენება. პატარა სააგარაკე კოტეჯში ვცხოვრობდით რამდენიმე დღე, ვბანაობდი ზღვაში**

გაგრძელება A2 გვერდზე

თავდასხმა რუს მაგნატებზე

რუსი ოლიგარქებისა და კრემლის დაპირისპირება არა მარტო რუსეთის, არამედ დასავლეთის ანალიტიკოსთა და საზოგადოების უდიდეს ყურადღებას იმსახურებს. როგორც ცნობილია, ამ თემას უდიდესი სიმწვავე ბოლო პერიოდში, კორპორაცია “იუკოსის” პრეზიდენტის მიხაილ ხოდორკოვსკის წინააღმდეგ გაჩაღებულმა კამპანიამ შესძინა. ამერიკულმა გავლენიანმა ჟურნალმა “ტაიმმა” ამ პრობლემას საკმაოდ საინტერესო სტატია მიუძღვნა..

ვლადიმირ პუტინი მთელი ძალით ცდილობს მსოფლიოს დარწმუნებას, რომ 90-იანი წლების რუსული ბიზნესი, რომელიც არაპატიოსან პრივატიზაციასა და შეკვეთილ მკვლელობებზე იყო დაფუძნებული, ამჟამად შეცვლილია. დღეს მას სურს, რომ რუსულ კორპორაციულ სამყაროს დინამიკურად, თანამედროვედ და პროგნოზირებადად თვლიდნენ. ეს იმიჯი იმ დროს დაიმსხვრა, როდესაც კრემლი პირდაპირ შუბლით შეეჯახა რუსეთში უმდიდრეს ადამიანს, ნავთობგიგანტ “იუკოსის” მფლობელს, 40 წლის მიხაილ ხოდორკოვსკის. ბაზრებმა ამ მოულოდნელ თავდასხმაზე ფასიანი ქაღალდების მკვეთრი დაცემით უპასუხეს.

როგორც “კრემლინოლოგები” მიიჩნევენ, კომპანია “იუკოსის” წინააღმდეგ ოპერაცია კრემლის მიერ იყო შეკვეთილი, რათა ბ-ნი ხოდორკოვსკი მისი გაუმაძღარი პოლიტიკური ამბიციების გამო დაესაჯათ. ბ-ნი ხოდორკოვსკი ფიქრობს, რომ მარტო მის ერთ-ერთ კუთვნილ კომპანია “ფორტუნა-500”-ზე თავდასხმა, რომელსაც მისთვის ყოველწლიურად 11 მილიარდი ამერიკული დოლარის შემოსავალი მოაქვს, ამ წლის დასაწყისში რამდენიმე მილიარდი დოლარით აზარალებს ეკონომიკას.

ასეთი მაღალი ფსონის მიუხედავად, პუტინი აგრძელებს მისთვის ჩვეულ დუმილს. პრეზიდენტის მაგივრად გულახდილად საუბრობენ მისი უახლოესი გარემოცვის წევრები, რომლებიც თვლიან, რომ ეს საქმე პუტინის სქელშუბლა “პეტერბურგელების” ნახელავია, რომლებიც პრეზიდენტის კონტროლიდან გამოვიდნენ. კრემლის ერთ-ერთი წამყვანი სტრატეგის გლებ პავლოვსკის თქმით, მაღალჩინოსნებისგან შემდგარი ჯგუფი, რომლის წევრებიც პუტინის მსგავსად საბჭოთა კაგებეს ყოფილი თანამშრომლები არიან, ცდილობენ პრეზიდენტს აგრესიული პოპულისტური პოლიტიკისკენ უბიძგონ, იმ დროს, როდესაც მომავალ გაზაფხულზე რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული.

გაგრძელება A5 გვერდზე

ნუგზარ გაბრიჩიძეს იმპიჩმენტი არ ემუქრება

თამარ კაკიტაძე

რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ ოსაძის კომისიამ დახურულ სხდომაზე მიწვეულ სტუმრებს და გენერალურ პროკურორს კომისიის დასკვნის პროექტი გააცნო, რომელსაც ოფიციალური სახე რამდენიმე დღეში მიეცემა.

ჯერ კიდევ გასულ წელს პარლამენტმა დროებით საგამოძიებო კომისიას ნუგზარ გაბრიჩიძის მიმართ გადაცემა "60 წუთში" გამოთქმული ბრალდებების შესწავლა დაავალა. კერძოდ, კომისიას უნდა გამოეძიებინა, რამდენად კეთილსინდისიერად შეავსო გენერალურმა პროკურორმა საკუთარი ქონებრივი დეკლარაცია და ეკუთვნის თუ არა მას ის ბინები, რომლებიც გადაცემაში იყო წარმოდგენილი. ამასთან, კომისიის წევრების მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო გენპროკურატურის მასმედიასთან ურთიერთობა და პროკურატურის ყოფილი თანამშრომლის, მედეა როსებაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება, რომელზეც, ასევე, "60 წუთში" იყო საუბარი.

გადაცემაში დასახელებულ ფაქტებს შვილმკვდარი დედის, ლამზირა მიქიას საჩივარიც დაემატა. ქურდობის ბრალდებით დაპატიმრებულმა მიქიას ვაჟმა, გამოძიების შეფასებით, ფოთის პოლიციაში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მოგვიანებით უკვე გარდაცვლილი მიქია თბილისის პროკურატურამ უდანაშაულოდ ცნო, ხოლო პოლიციიის იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც დაკავებული თვითმკვლელობამდე მიიყვანეს, ძებნა გამოაცხადა.

ერთი სიტყვით, გენერალურ პროკურორს გუშინ სწორედ დასახელებული "ბრალდებების" გაბათილება უწევდა. თუმცა, კომისიის დახურული სხდომიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, გაბრიჩიძეს თავის სამართლებელი არც არაფერი ჰქონდა, რადგან კომისიამ გაბრიჩიძის საქმიანობაში დარღვევა, ფაქტობრივად, ვერ აღმოაჩინა. "პარლამენტარმა გამომძიებლებმა" ჯოხი ქვემდგომ პროკურორებზე გადატეხეს, ხოლო გენპროკურორის მიმართ, ძირითადად, სარეკომენდაციო წინადადებებით შემოიფარგლნენ.

მართალია, უსახსრობის გამო, დროებითმა საგამოძიებო კომისიამ გაბრიჩიძის ქონებაზე ხელახალი აუდიტის დანიშვნა ვერ მოახერხა, მაგრამ, ასევე გამოჟონილი ინფორმაციით, მათ ეს საჭიროდ არც მიუჩნევიათ. ნომერ პირველი პროკურორი უდანაშაულო აღმოჩნდა მიქიას ვაჟის საქმეშიც. შვილმკვდარი დედის ბრალდებების ძირითად სამიზნედ კი იქცა შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ძებნილი კოლეგების დაპატიმრებას დღემდე ვერ ახერხებს. რაც შეეხება როსებაშვილის სამსახურიდან გათავისუფლებას, კომისიის ყველა წევრმა აღიარა, რომ მისი სამსახურიდან დათხოვნა კანონიერად მოხდა, ამიტომაც გენპროკურორისთვის ახალგაზრდა კადრის სისტემაში დაბრუნება მხოლოდ უთხოვიათ.

მოკლედ, დროებითმა საგამოძიებო კომისიამაც და გენერალურმა პროკურორმაც გამოცდა წარმატებით ჩააბარეს და, ერთი შეხედვით, დაძაბული მუშაობის შემდეგ ერთმანეთს პირნათლად გაუსწორეს თვალი. რამდენიმე დღეში დასკვნას წერტილი დაესმება და კომისიის თავმჯდომარე ოფიციალურად განაცხადებს, – ნუგზარ გაბრიჩიძეს იმპიჩმენტი არ ემუქრება.

ქვემო ქართლს 17 წლის ომბუდსმენი ჰყავს

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავში "თავისუფლების ინსტიტუტის" ქვემო ქართლის რეგიონული წარმომადგენლობის პრეზენტაცია გაიმართა. **"საკმაოდ დიდი შეცდომა იქნა დაშვებული. არასამთავრობოთა სექტორში ბევრს ეგონა, რომ ცვლილებების საკვანძო ადგილი თბილისში უნდა ყოფილიყო. დღეს უკვე ნათელია, რომ ეს ასე არ არის. ჩვენი აბსოლუტური პრიორიტეტი იქნება დედაქალაქის გარეთ მუშაობა, რადგან რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება ამ ქვეყანაში მომავალი ცვლილებების გასაღებია,"** - განაცხადა გიგა ბოკერიამ.

"თავისუფლების ინსტიტუტი" ორგანიზაცია "აირისის" პროექტის - "კანონის უზენაესობის დამკვიდრება საქართველოში" - ქვეკონტრაქტორია.

"მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც ჩვენ გვაქვს, ეს აქტიური მოქალაქეები არიან, რომლებმაც იციან, როგორ დაიცვან ადამიანთა უფლებები," - ასე წარუდგინა ბოკერიამ საზოგადოებას ქვემო ქართლის რეგიონის ახალი ომბუდსმენი, 17 წლის გიორგი ჩალაძე. **"ცალ-ცალკე ვერავინ ვერაფერს შევძლებთ. უნდა დავუდგეთ ერთმანეთს გვერდში, როგორც არასამთავრობო, ისე სამთავრობო მხარეები და ერთად უნდა დავიცვათ ადამიანის უფლებები,"** - ზოგადი კომენტარი გააკეთა ჩალაძემ, რომელიც ორი თვის წინ ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

რუსთავში "თავისუფლების ინსტიტუტის" პრეზენტაციაზე რეგიონის სამართალდმცველებიც იყვნენ მიწვეულნი, მაგრამ ღონისძიებას მხოლოდ მხარის პროკურორი სიმონ მაჭავარიანი და რუსთავის პოლიციის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე დაესწრნენ. ამას ერთი მარტივი მიზეზი ჰქონდა - ღონისძიება ღამის კლუბ "ღამურაში" ტარდებოდა, რომელიც რუსთაველ კანონიერ ქურდს, შერმაზაშვილს ეკუთვნის. პოლიციის სამხარეო და ქალაქის სამმართველოების უფროსებმა კი კანონიერი ქურდის კლუბში მისვლა არ მოისურვეს.

ქვემო ქართლის რეგიონის 17 წლის ომბუდსმენი აცხადებს, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ არის და მხოლოდ ადამიანთა უფლებების დაცვაზე იზრუნებს. მიუხედავად ამისა, მან თავისი პოლიტიკური სიმპათიები არაპირდაპირ უკვე გამოამჟღავნა, როცა პრეზენტაციაზე რუსთავის მერიის წარმომადგენლები, ასევე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები მიიპატიჟა, გუბერნატორ მამალაძის დაპატიჟება კი "ვერ მოახერხა".

ამერიკულმა ენერგოპოლიტიკამ იმერეთშიც გაჭრა

მაია ურუშაძე

"გადაიხადე – დენი გექნება" - "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) მიერ ამ ბოლო დროს რეგიონებში წარმოებულმა "გამორთვების" ამ პოლიტიკამ, როგორც იქნა, ენერგეტიკის დარგისთვის პირველი დადებითი შედეგები მოიტანა. ხონის, ხობის, ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლისა და ხარაგაულის რაიონებში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი გაუმჯობესდა. შესაბამისად, "გსეკ"-ის ხელმძღვანელობამ ამ რაიონებს 12-საათიანი შეზღუდვის გრაფიკი მოუხსნა. დღეს დილიდან ეს რაიონები ელექტროენერგიას გადახდის ახალი – გაუმჯობესებული მაჩვენებლის მიხედვით, ანუ უფრო დიდხანს მიიღებენ. "გსეკ"-ის ამერიკელი გენერალური დირექტორის, დევიდ სორნტონის განცხადებით, ამ ერთი კვირის წინ გადახდის მაღალ მაჩვენებელზე "გავიდა" საჩხერის რაიონი და დენიც მიიღო.

დანარჩენ რაიონებში "გსეკ"-ის ფილიალებს ჯერჯერობით ისევ უჭირთ ადგილობრივი ხელისუფლების გავლენისგან თავის დაღწევა. ენერგოკომპანიის ქუთაისის ფილიალს, ფაქტობრივად, პრეზიდენტის რწმუნებული შაიაშვილი მართავს. სოციალური აფეთქებით იმუქრება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, ბონდო ჯიქია. ვითარება დაძაბულია რუსთავშიც. არადა, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი და რუსთავი "გსეკ"-ისთვის საბითუმო ბაზრის მიერ მიწოდებული ელექტროენერგიის ნახევარს მოიხმარენ. შესაბამისად, ენერგოკომპანიისთვის ამ რაიონებში საკუთარ ფილიალებზე კონტროლის დაკარგვა, შესაძლოა, სავალალო ეკონომიკური შედეგებით დასრულდეს. ამის გამო, "გსეკ"-ის ხელმძღვანელობა ამ ფილიალებში რეორგანიზაციას გეგმავს. სორნტონი და კომპანიის კონსულტანტი, ზურაბ ნოღაიდელი ვითარების ადგილზე შესასწავლად ამ რაიონებში გაემგზავრებიან. როგორც "გსეკ"-ში აცხადებენ, ფილიალების თანამშრომლებისა და ხელმძღვანელების მუშაობას "გსეკ"-ის მენეჯერები 2 თვის განმავლობაში დააკვირდებიან, რის შემდეგაც, შესაძლოა, დღის წესრიგში საკადრო ცვლილებების საკითხიც დადგეს.

"თანამშრომელთა შემცირებას არ ვგეგმავთ. უბრალოდ, ფილიალის ამჟამინდელ ხელმძღვანელებს ინსტრუქციები მიეცემათ. ამ რჩევების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მათი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება," – განმარტა ნოღაიდელმა.

ნადარეიშვილი კაკაბაძის წინააღმდეგ

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მალხაზ კაკაბაძეს ჟენევის შეხვედრაზე აფხაზეთის საკითხში საქართველოს ხელისუფლების მიერ აღიარებული კურსის იგნორირებაში ადანაშაულებს. ნადარეიშვილის აზრით, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ელჩთა ჟენევის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებები უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და პარლამენტის მიერ აფხაზეთის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზებაზე და პრაქტიკულად ბლოკავს გაერო-ს წესდების მეშვიდე თავის ამოქმედების პერსპექტივას. მისივე მტკიცებით, ჟენევაში მიღწეული შეთანხმებები, "ქართული მხარის თანხმობით, ქმნის ილუზიას", თითქოს გაერო-ს წესდების მე-6 თავის ფარგლებში აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაცია წარმატებით მიმდინარეობს. **ინტერ-პრესი**

"პოლიტიკაში ყველაზე საშიშია, იყო სასაცილო"

პირველი გვერდიდან

დმიტრი როგოზინი - არსებობს პოლიტიკური რესურსის სერიოზული დეფიციტი საქართველოში.

და ვისვენებდი. სხვა მიზანი მე იქ არ მქონია. არავის ლობირება მე იქ არ მომიხდენია. ლობირებისა და პენსიების დარიგების მაგივრად, ათონის მონასტერი მოვინახულე და მღვიმეები დავათვალიერე, სტალინის აგარაკზეც ვიყავი. აფხაზეთი ჩემი და ჩემი მეუღლის ყმაწვილობისდროინდელი ოცნებაა. სტუდენტობის დროს, სანამ ცოლად მოვიყვანდი, მოსკოვის უნივერსიტეტიდან ბიჭვინთის ბანაკში საგზურები გვქონდა, მაგრამ მაშინ რატომღაც ანაპა ვამჯობინეთ. ახლა ახალგაზრდობისდროინდელი შეცდომა გამოვასწორეთ. როგოზინი იქ ვიღაცეებს ლობირებდა, პენსიებს და რუსეთის მოქალაქეობას არიგებდაო, ეს თბილისის ნერვულ-პარალიტიკური რეაქციაა".

შეუძლებელია ამ სიტყვების დაჯერება და როგოზინის ფიციმტკიციც ღიმილს იწვევს, ამჯერად - თბილისში. თავად რუსული მედია და რუსი პოლიტიკოსები ფართოდ განიხილავდნენ როგოზინის სოხუმში ვიზიტის შესაძლო შედეგებს. რუსულმა წითელ-ყავისფერმა ოპოზიციამ ისიც კი თქვა, როგოზინის ვიზიტის შემდეგ კალინინგრადი დასავლეთს ჩავაბარეთ და ახლა აფხაზეთსაც იგივე ბედი ეწევაო. ამდენად, ძნელია დაიჯერო, რომ აფხაზეთსმონატრებული ერთი ცოლ-ქმრის შვებულება ესოდენ სერიოზული განსჯის თემად იქცა.

როგოზინი რომ აფხაზეთში მხოლოდ ზღვაზე ნებივრობით და ათონის მღვიმეებით ტკბობით ვერ შემოიფარგლებოდა, ამაში თავად მკითხველიც დარწმუნდება, როდესაც მასთან საუბრის ქვემოთ შემოთავაზებულ გაგრძელებას იხილავს.

- თქვენ ამასწინათ განაცხადეთ, რომ აფხაზეთში საზენიტო დანადგარი C-300 უნდა გაჩნდეს, "ავაქსის" ტიპის მზვერავი თვითმფრინავების საწინააღმდეგოდ. შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ მოსკოვი სოხუმს ასეთი ტიპის დანადგარებს მიჰყიდის?

- სამართლებრივი თვალსაზრისით, რუსეთს დღეს არ შეუძლია, მიჰყიდოს აფხაზეთს C-300 სისტემა, სანამ ამაზე არ იქნება რუსეთის პოლიტიკური ხელისუფლების გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, მოსკოვს აწუხებს "ავაქსების" რუსეთის ტერიტორიის მახლობლად ფრენა და ამერიკელებმა უნდა გაიგონ, რომ კონტრღონისძიებების ამოქმედება რუსეთის სუვერენული უფლებაა. პრინციპში, C-300-ს დღეს სიმბოლური დატვირთვა უფრო აქვს, ვიდრე რეალური სამხედრო-პოლიტიკური. ეს უფრო ნერვების თამაშია, ანუ დიდი ბიჭების სამხედრო თამაშები.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების მანდატის შეცვლაზე თბილისსა და მოსკოვს პრინციპულად ახალი მოსაზრებები გაუჩნდათ. რომელი პოზიცია აქვს პუტინის ადმინისტრაციას ამ საკითხზე?

- შემიძლია ვამტკიცო, რომ კრემლი უფრთხილდება სოჭის შეთანხმებებს და ყველაფერს იღონებს მის შესასრულებლად. ხელს აძლევს თუ არა მავანს, დღეს მხარეებს ხელთ აქვთ ეს დოკუმენტი. რუსეთმა იქ პოზიციები არ უნდა დათმოს, რადგანაც აფხაზეთში ჩვენი ჯარისკაცები იღუპებიან და სისხლის ფასად მშვიდობას ინარჩუნებენ.

აქედან გამომდინარე, სამი კონკრეტული ამოცანაა შესასრულებელი: პირველი - კონფლიქტის ზონის სამხედრო ძალით გამაგრება; მეორე - შეიარაღებული დაპირისპირების საშიშროების მოხსნა და მესამე - გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნება. ბიჭვინთაში ახლა რუსი დამსვენებლების დიდი რაოდენობაა. გაიხსენეთ, პირველი ომის დროს, დაღუპულთა შორის რუსი დამსვენებლებიც იყვნენ. ამიტომ უსაფრთხოების ზომების მიღება არავისთვის მოულოდნელობა არ უნდა იყოს.

ლტოლვილების პრობლემის გადაჭრას თბილისი რომ არ აპირებს, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ შევარდნაძე ომის პროვოცირებას სწორედ ლტოლვილთა მეშვეობით ახდენს. თბილისის ემოციების რადიკალიზება პატარა ძლევამოსილ ომამდე საქართველოს ვერ მიიყვანს. ეს, პირველ რიგში, შევარდნაძემ იცის და უწევს რა ანგარიშს რუსეთსაც, ამიტომაც დათანხმდა კონფლიქტის ზონაში ჩვენი სამშვიდობოების უვადო სტატუსს. ომი სუსტი ხელისუფლების თავშესაფარია. ომით საქართველოს ლიდერი საკუთარი ოპოზიციის დემობილიზებას გამოიწვევს, მას ომის კანონებით გაანადგურებს, სწორედ ამიტომაც ამ დღეებში შეგნებულად მწვავდება აფხაზეთის ფაქტორი.

- საინტერესოა, იგივეს ფიქრობენ სოხუმშიც?

- წარმოიდგინეთ, რომ სოხუმი უფრო გონივრულად ეკიდება ახალი ომის საკითხს. არ დაგიმალავთ, მქონდა საუბრები აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მართალია, მათ არ სურთ ქართველებთან ერთად ცხოვრება, მაგრამ ომის ვარიანტის დაშვებაც კი ვერ წარმოუდგენიათ. სოხუმი დღეს ვერ მოახდენს ომის პროვოცირებას, არ აპირებს, ეშინია. მაგრამ, ვაი, რომ საქართველოს ეს ომი დღეს სჭირდება. მე კი ვამტკიცებ, რომ აფხაზეთში ომის დაწყება საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ კოლაფსს გამოიწვევს. პატარა ძლევამოსილი ომის წარმოება შევარდნაძეს დღეს მხოლოდ ვირტუალურად შეუძლია, ტელეეკრანებიდან. ეს მან კარგად იცის. იცის ისიც, რომ აფხაზეთში ომის პირველი წუთებიდანვე მთელი ჩრდილოეთ კავკასია საქართველოზე გაილაშქრებს. საქართველოს ჩამოსცილდებიან დანარჩენი პრობლემური რეგიონებიც. ამის დაშვება არ შეიძლება.

არსებობს მეორე გზა: საქართველოში მოვიდეს ავტორიტეტული ხელისუფლება, მოვიდეს ახალი პოლიტიკური კლასი, გაჩნდნენ ახალი ფორმაციიის ადამიანები, ვინც აფხაზეთის პრობლემას არაორდინარულად გადაჭრიან.

„მშიერ კუჭზე ჩხუბი ნაკლებად გინდება"

ლუკინის ფრთიანი ფრაზა "მრეწველებთან" შეხვედრის შემდეგ

ლელა მჭედლიძე

"სოციალისტებისგან" განსხვავებით, "მრეწველებს რუსულ ორიენტაციას ვერავინ დასწამებს. მიუხედავად ამისა, გოგი თოფაძის ფრაქციასთან შეხვედრით რუსეთის სათათბიროს წარმომადგენლები საკამოდ კმაყოფილი დარჩნენ. როგორც მთავარი "მრეწველი" გოგი თოფაძე, ისე დუმის ვიცე-სპიკერი აცხადებდნენ, რომ საუბარი ძალზე ბევრ საკითხზე ჰქონდათ. მათ შორის - არჩევნებზეც, მაგრამ პოზიციათა თანხვედრა ყველაზე მეტად მაინც ფინანსურ-ეკონომიკურ თემებზე საუბრისას იგრძნობოდა.

"პრაგმატულად მოაზროვნე ხალხი," - ასე შეაფასა დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა თოფაძის თანაგუნდელები. იგივე აზრს დელეგაციის ხელმძღვანელი ვლადიმირ ლუკინიც იზიარებდა. **"მშიერ კუჭზე ჩხუბი ნაკლებად გინდება,"** - შეხვედრის შემდეგ მან ასეთი ფრთიანი ფრაზაც მოიშველია. თუმცა, მაინც გაუგებარი დარჩა, თუ კონკრეტულად ვის ან რას გულისხმობდა რუსი ვიცე-სპიკერი.

"ზედნაშენს ბაზისი განაპირობებს. რასაც დღეს ბიზნესმენები, ეკონომისტები ლაპარაკობენ, ხვალ იმას პოლიტიკოსები იტყვიან. საერთოდ, ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის რომ კონკრეტული ეკონომიკური ინტერესების და არა პოლიტიკური კაპრიზების შესაბამისად უნდა ყალიბდებოდეს, ამას ჩვენ კარგად ვხვდებით," - აღნიშნა ლუკინმა.

ლუკინთან შეხვედრის შემდეგ, თავის მხრივ, თოფაძემ განაცხადა, რომ **"რუსული კაპიტალის მოზიდვა საქართველოში აუცილებელია, რადგან საამისოდ, როგორც ჩვენთან, ისე რუსეთში, დიდი პოტენციალი არსებობს. მართალია, კონკრეტული შეხების წერტილები გამოინახა, მაგრამ ურთიერთობის გაღრმავებას ხელს პოლიტიკური დაძაბულობა უშლის."**

"პრაგმატულად მოაზროვნე ხალხმა" ამ პრობლემების გადასაჭრელად და კონკრეტულ პრიორიტეტებზე სასაუბროდ, უახლოეს მომავალში, რუსული პოლიტიკური თუ ბიზნეს ელიტის წარმომადგენლების მაღალმთიან კურორტზე მიწვევა განიზრახა. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ქართველ პოლიტიკოსებთან ლამის "მოჩხუბარ" რუსეთის დუმის წარმომადგენლებს ეს მოწვევა აშკარად ესიამოვნათ. შეიძლება იმიტომ, რომ "მაძღარ კუჭსა" და უფრო სასიამოვნო გარემოში მეზობლებს შორის ზოგ საკითხზე მართლაც შეიძლება გამოინახოს საერთო ენა.

ექსპერტიზის ცენტრის უფროსი თანამდებობიდან მოხსნეს

თამარ კაკიტაძე

რამდენიმე თვის წინ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის დირექტორის, მაია ნიკოლეიშვილის ირგვლივ დაწყებული აჟიოტაჟი ორშაბათს მისი თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა. მაია ნიკოლეიშვილი, როგორც ექსპერტიზის დირექტორი გუშინ პრესკონფერენციის ჩატარებას გეგმავდა, მაგრამ რამდენიმე საათით ადრე ცნობილი გახდა, რომ იგი იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე მოხსნეს.

ცენტრის დირექტორის გათავისუფლების მიზეზი იუსტიციის სამინისტროს 11-კაციანი სპეციკომისიის მიერ შექმნილი საკმაოდ სქელტანიანი დასკვნა გახდა. კომისია, რომლის წევრიც თავად ნიკოლეიშვილიც იყო, სამი თვის განმავლობაში სწავლობდა ექსპერტიზის ცენტრის დირექტორის საქმიანობას. როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ირინა იმერლიშვილი ირწმუნება, ამ ხნის განმავლობაში ცენტრის უფროსის მხრიდან დაშვებული უამრავი დარღვევა დაფიქსირდა.

თავის დროზე სპეციკომისიის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი ექსპერტიზის ცენტრის დირექტორის და მისი თანამშრომლების დაპირისპირება გახდა, რომლებმაც უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით იუსტიციის მინისტრს მიმართეს. სამთვიანი შესწავლის შემდეგ იუსტიციის სამინისტროში ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ნიკოლეიშვილი წლების განმავლობაში სამსახურიდან უკანონოდ ათავისუფლებდა თანამშრომლებს, რომელთა დიდმა ნაწილმა სასამართლოს ძალით კვლავ დაიბრუნა თანამდებობები. სხვათა შორის, ირინა იმერლიშვილის თქმით, დასკვნაში საუბარი ყოფილა იმაზეც, რომ ცენტრის დირექტორმა სამსახურიდან დაითხოვა ის თანამშრომლები, რომლებიც სამშენებლო ფირმა "კალნიკექსის" საქმიანობას სწავლობდნენ. არადა, ექსპერტები საქმეს, თურმე, სწორედ იმ დროს ჩამოაშორეს, როდესაც ფირმაში გარკვეული დარღვევები აღმოაჩინეს. დღეს ამ საქმეს, მათ შორის ნიკოლეიშვილის გადაწყვეტილებასაც, გენერალური პროკურატურა სწავლობს (სხვათა შორის, ნიკოლეიშვილის მეუღლე აღნიშნული უწყების თანამშრომელია). კომისიამ აღმოაჩინა ცენტრის დირექტორის ხელშეკრულებებიც, რომლებიც ნიკოლეიშვილს გაფორმებული ჰქონდა საკუთარ ძმასთან, შვილთან და სხვა ახლობლებთან, რაც კანონით დაუშვებელია.

როგორც იუსტიციის სამინისტროში ირწმუნებიან, დასკვნაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ექსპერტიზის ცენტრის დირექტორის მხრიდან დაშვებულ საფინანსო დარღვევებს და თავად ცენტრის მუშაობის მიმართულებას - კერძოდ, ირინა იმერლიშვილის თქმით, ნიკოლეიშვილი პროფესიით ექიმია და ცენტრიც, ძირითადად, სამედიცინო ექსპერტიზით ყოფილა დაკავებული. ნიკოლეიშვილი აღნიშნულ საქმიანობას უკანონოდ ეწეოდა, რადგან მას სავალდებულო, კანონიერი სერთიფიკატი არ გააჩნდა.

და კიდევ ერთი, სწორედ იმ დროს, როდესაც ცენტრის თანამშრომლებმა იუსტიციის მინისტრს ნიკოლეიშვილის წინააღმდეგ საჩივრით მიმართეს, თავის მხრივ, როლანდ გილიგაშვილი საკუთარი ქვეშევრდომის მიერ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების სიმართლით დაინტერესდა. მინისტრის მოადგილის განცხადებით, კომისიის წევრებმა შეისწავლეს ნიკოლეიშვილის საჯარო "ბრალდებები" და დაასკვნეს, რომ ექსპერტიზის დირექტორი უსაფუძვლოდ და მიზანმიმართულად ეწეოდა იუსტიციის სამინისტროს და მინისტრის დისკრედიტაციას.

თავის მხრივ, მაია ნიკოლეიშვილი უკანონოს უწოდებს იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ დასკვნა, რომელიც კომისიის წევრებმა მოამზადეს, სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და იქ მხოლოდ ადმინისტრაციული დარღვევებია დასახელებული.

"ექსპერტიზის ცენტრი ერთდროულად ამოწმებდა "აირზენას" და 64 ენერგო ობიექტის საფინანსო საქმიანობას. ჩემი გათავისუფლება სწორედ აღნიშნულ საქმიანობას უკავშირდება. გუშინ მინდოდა, მესაუბრა "ჩითახევი-ბორჯომის" ჰესში არსებულ დარღვევებზე, მაგრამ მისი მფარველი დეპუტატი თამაზ გელაშვილია. ამ ინფორმაციის გახმაურება მას ხელს არ აძლევდა. ჩემი თანამდებობიდან გადაყენება იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლების კრიმინალიზაცია ხდება და ქვეყანაში სახელმწიფოებრივი აზროვნება არ არსებობს," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ექსპერტიზის ყოფილმა უფროსმა.

იუსტიციის სამინისტროში მის განცხადებებს თავის მართლების უკანასკნელი შანსი უწოდეს.**"ნიკოლეიშვილი კომისიის დასკვნას იმთავითვე იცნობდა, მაგრამ იქ არსებულ დარღვევებზე საუბარს თავს არიდებს. კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა ნიკოლეიშვილის გათავისუფლებას და ეს ჯერ კიდევ ორშაბათის თათბირზე გახდა მისთვის ცნობილი,"** – ამბობს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ირინა იმერლიშვილი, რომელიც დროებით მის თანამდებობას შეითავსებს.

მიუხედავად ორმხრივი არგუმენტებისა, იუსტიციის სამინისტროსა და მისი ყოფილი თანამშრომლის დავას დასასრული ჯერჯერობით არ უჩანს, რადგან, როგორც ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, იგი სასამართლოს ძალით აპირებს საკუთარი სიმართლის დამტკიცებას და თანამდებობაზე დაბრუნებას.

ორი სიტყვით

თბილისი. რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მუშაობის დასრულებას სამხედრო საკითხებში მხარეების აზრთა სხვადასხვაობა აყოვნებს, – აცხადებს ჩარჩო-ხელშეკრულების შემმუშავებელი რუსული სახელმწიფო კომისიის აღმასრულებელი მდივანი ლევ მირონოვი. მისი თქმით, სახელმწიფო კომისიების მორიგი შეხვედრის დრო და ადგილი ჯერჯერობით უცნობია და ამ ეტაპზე რუსი და ქართველი დიპლომატები შეხვედრის ფორმატის განსასაზღვრად ფორმების ძიებით არიან დაკავებულნი. **ინტერ-პრესი**

თბილისი. "ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის" თავმჯდომარის გიორგი კობახიძის შეფასებით, პარლამენტის საგანგებო სესიაზე საარჩევნო კანონის მიღებით ფარდა აეხადა შევარდნაძისეულ გეგმას, რომელიც „ძველ და მარადიულ" მოქალაქეთა კავშირში როლების გადანაწილებას - სახელისუფლო და ოპოზიციურ, კორუმპირებულ და მათ „მამხილებელ ძალებად" დაყოფას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

თბილისი. ურბანიზაციისა და მშენებლობის ახალმა მინისტრმა, თემურ ჩარკვიანმა სამინისტროში პირველი თათბირი გამართა. რაიმე საკადრო ცვლილებებს ჩარკვიანი ჯერჯერობით არ აპირებს. ახალი მინისტრი პრიორიტეტს გენერალური გეგმების შემუშავებას ანიჭებს. ჩარკვიანმა დაავალა არქიტექტორებს, უმოკლეს ვადებში თბილისისა და სხვა ქალაქების გენგეგმების შემუშავება უზრუნველყონ. **მედია-ნიუსი**

თბილისი. გერმანული კომპანია «Brinkhege Engineering GmbH », რომელიც სამშენებლო მასალების წარმოებით არის დაკავებული, საქართველოში პროექტების განხორციელებით დაინტერესდა. **ინტერ-პრესი**

რუსთავი. „რელასის" ხელმძღვანელობას უჭირს პასუხის გაცემა, რამდენად შეძლებს მოსახლეობიდან მოხმარებული ელექტროენერგიის თანხის ამოღებას. „რელასის" დირექტორი, გიორგი ენდელაძე ძირითადი თანხის ანგარიშზე ჩარიცხვას თვის ბოლოსთვის ვარაუდობს. **მედია-ნიუსი**

თბილისი. საქსტანდარტი ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის შემოწმებას იწყებს. საქსტანდარტის პროდუქციის ხარისხის კონტროლის სამმართველოს უფროსის, ავთანდილ ნადირაძის ცნობით, საქართველოში ჩამოსასხმელი სპირტით ვაჭრობა კანონით აკრძალულია, თუმცა მოვაჭრეები ამ აკრძალვას არ ემორჩილებიან – ჩამოსასხმელი სპირტი ბაზრობებზეც და მაღაზიებშიც იყიდება. **მედია-ნიუსი**

თბილისი. "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი, იგნასიო ირიბარენი ხვალ საქართველოს დატოვებს. ირიბარენს მასთან გაფორმებული ორწლიანი კონტრაქტის ვადა ამოეწურა. მის თანამდებობას დროებით "ეი-ი-ეს"-ის ლონდონის ოფისის ხელმძღვანელი, ნავიდ ისმაილი შეითავსებს. **ინტერ-პრესი**

თბილისი.. ხაშურში 44 წლის ქალი ყაჩაღური თავდასხმის მსხვერპლი გახდა. იგი შეიარაღებულ თავდამსხმელთა მხრიდან ცემის შედეგად გარდაიცვალა. პოლიციის მონაცემებით, გიორგი ბურნაძის ოჯახს სამი ყაჩაღი დაესხა თავს. ისინი ფულსა და ძვირფასეულობას მოითხოვდნენ და სასტიკად აწამეს ოჯახის დიასახლისი, მაყვალა გიორგაძე. თავდამსხმელებმა სახლიდან 600 ლარის და 200 დოლარის წაღება მოახერხეს. **კავკასი-პრესი**

თბილისი. თბილისში, სასტუმრო "სიმპათიაში" კავკასიელი ადვოკატებისთვის ორდღიანი სასწავლო სემინარი გაიხსნა. ევროსაბჭოს ექსპერტი სემინარის მონაწილე 70-მდე ადვოკატს საადვოკატო საქმიანობაში დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას გააცნობს. **ინტერ-პრესი**

თბილისი. ორი დღის წინათ სანკტ-პეტერბურგის ფრუნზეს რაიონში, ზაგრებსკის ბულვარის №33-ში მდებარე სახლთან საქართველოს მოქალაქე, 49 წლის მიხეილ გაგულაშვილი მოკლეს. წინასწარი ინფორმაციით, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა გაგულაშვილს ცეცხლსასროლი იარაღით ექვსი ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზევე დაიღუპა. გაგულაშვილი რუსეთ-აზერბაიჯანის ერთობლივი სანარმო "აზპი"-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. **მედია-ნიუსი**

თბილისი. 23 ივლისს პოლიციის თანამშრომლებმა ე.წ. კანონიერი ქურდი, თბილისში მცხოვრები რევაზ შავიშვილი დააკავეს. ოფიციალური ვერსიით, შავიშვილი განმეორებით იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. **ექსპრესი**

თბილისი. პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მიხეილ კალიაგინი და ნიკოლოზ გალუსტაშვილი. ისინი თანამზრახველებთან - რუსტამ ელიგბაროვთან, სერგო სტარცევთან და ედუარდ ანგურიანთან ერთად თავს დაესხნენ ნანა გუგულაშვილის ოჯახს. ასევე დადგინდა, რომ მათ დააყაჩაღეს კახეთში მცხოვრები რაფიკ ქერიმოვის ბინა. **ექსპრესი**

თბილისი. ორი დღის წინ ელექტროსისტემაში მომხდარი ავარიით ქურდებმა ისარგებლეს და საცხოვრებელ კორპუსებში მრიცხველები მოიპარეს. "ეი-ი-ეს თელასში" აცხადებენ, რომ ივლისში ქურდებმა თბილისში უკვე 140 მრიცხველი მოიპარეს, რომელთა ხელახალი დამონტაჟება ისევ კომპანიას ევალება. **ინტერ-პრესი**

თბილისი. სს „ანძა-94"-ის მექანიკური საამქროს გაქურდვის ბრალდებით დააკავეს ორი არასრულწლოვანი - დიმიტრი აკინინი და ნიკო სამხარაძე, ასევე - გიორგი საბაძე. წაღებული ნივთების ოდენობა ამჟამად ზუსტდება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუ

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი აცხადებს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებულმა დსთ-ის კოლექტიურმა სამშვიდობო ძალებმა მთლიანად თავის თავზე უნდა აიღონ საერთაშორისო ინსპექციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლის მიზანია რუსეთის მიერ გუდაუთის ბაზის დახურვის თაობაზე ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების გაკონტროლება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. იუსტიციის სამინისტროში მოშიმშილე "ნაციონალი“ დეპუტატები გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ მოინახულა და შიმშილობის შეწყვეტა ურჩია. თუმცა, მოშიმშილეები კომპრომისზე წასვლას არ აპირებენ და მათი მოთხოვნების უპირობო დაკმაყოფილებას მოითხოვენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ცხინვალი. სამხრეთ ოსეთის დეფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოევს ახალი ოპოზიცია გამოუჩნდა. ოსთა პრემიერ-მინისტრმა რევაზ ხუგაევმა ახალი ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და 2004 წლისთვის დანიშნული ე. წ. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით უკვე დაიწყო კონსულტაციები მთავრობისა და პარლამეტის რამდენიმე წევრთან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

სოხუმი. ოპოზიციური პარტია "აიტაიარას" მოთხოვნით, აფხაზეთის სპარატატისტულმა პარლამენტმა 31 ივლისს პირველი მოსმენით უნდა მიიღოს ახალი კანონი პარლამენტში დეპუტატთა არჩევის წესის შესახებ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

გალი. გუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ სეპარატისტებს პასუხი მოსთხოვა გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში აფხაზთა სპეცრაზმის მეთაურის ვალმერ ბუთბას 50-კაციანი დაჯგუფების შეყვანის გამო. აფხაზურმა მხარემ ეს ინფორმაცია უარყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საქმეთა და თანამემამულეებთან ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სერგეი ატაპენკო აცხადებს, რომ რუსული მხარე ნებისმიერ მომენტში მზად არის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ის ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის სტატუსის გადასახედად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

გალი. გუშინ ქართულმა მხარემ აფხაზებს 17 ივლისს ქალაქ გალში აფხაზური მილიციის მიერ 30 წლის გალელი თემურ კვირკველიას დაპატიმრების გამო პასუხი მოსთხოვა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. მწერალი გოდერძი ჩოხელი პარლამენტში მოსვლისათვის ემზადება. იგი ლეიბორისტული პარტიის საარჩევნო სიის პირველ ათეულში იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი პარლამენტის მიერ მიღებულ საარჩევნო კოდექსს "ნათელაშვილ-ბეიკერისეულს" უწოდებს და არჩევნების გაყალბების მინიმიზირების გარანტად აფასებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი აცხადებს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების გამოცდილების გამოყენება აფხაზეთში "ძალზე სასარგებლო იქნება". **პრაიმ-ნიუსი**

გოგი თოფაძე: "არჩევნებს პროამერიკული ძალები აყალბებენ"

ვასო ბასილია (ფოტო)

გოგი თოფაძე: "ამ ვითარებაშიც სწორად არ მიგვაჩნია პასიური პოზიციის დაკავება".

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ირგვლივ ატეხილი ვნებათაღელვა არა და არ ცხრება. მეტიც: პარლამენტის ბოლო სხდომამ, რომელზეც დეპუტატებმა ცესკო-ს დაკომპლექტების ახალი წესი პირველი მოსმენით მიიღეს, დასაბამი მისცა ახალ პოლიტიკურ სკანდალს, რომლის მთავარი გმირები, "აღორძინებასთან" ერთად, "მრეწველებიც" არიან. ორივე პარტია აშკარად უკმაყოფილოა ცესკო-ში მათთვის გამოყოფილი ახალი კვოტებით.

ე.წ. ბეიკერის მოდელმა "აღორძინებას" ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ორი ადგილი დააკარგვინა (დღეს პარტიას ცესკო-ში სამი წევრი ჰყავს), ხოლო "მრეწველებს" იმის საშუალება არ მისცა, რომ კომისიაში საკუთარი წარმომადგენლობა გაეზარდა. ამან კი, ბუნებრივია, ორივე პარტიის სერიოზული პროტესტი გამოიწვია. გუშინ, მთელი დღის მანძილზე, მათი მხრიდან საკმაოდ მკვეთრი განცხადებები ისმოდა. პარტიების ლიდერები სახელისუფლებო ფრაქციებსა და "დემოკრატებს", "ნაციონალებსა" და "ახლებს" ერთმანეთთან ფარულ გარიგებაში ამხელდნენ.

"შვიდ ფრაქციად დაშლილი მოქალაქეთა კავშირი კვლავ აღდგა და, ხელისუფლების ფრთის ქვეშ გაერთიანებულმა, ისევ მოახერხა ჩვეული გარიგებით ხალხის ინტერესების საზიანო გადაწყვეტილების მიღება. ხელისუფლების დაშლილმა უმრავლესობამ კვლავ მოახდინა რეანიმაცია – იმ 123 დეპუტატის აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც მხარი დაუჭირა პარლამენტის გადაწყვეტილებას, ყოფილი საპარლამენტო უმრავლესობის წევრები არიან და დეპუტატები მოქალაქეთა კავშირის პარტიული სიის წყალობით გახდნენ," - ასეთი სახის განცხადებები "მრეწველებმა" საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთეს. მეტიც: გოგი თოფაძე წუხს, რომ "გაიმარჯვეს პროამერიკულმა ძალებმა" და არსებობს რეალური საფრთხე, მომავალი პარლამენტი სწორედ პროამერიკული ძალებით დაკომპლექტდეს, რადგან ისინი არჩევნებს **"ოსტატურად გააყალბებენ."**

"მრეწველები" გამოსავალს პოლიტიკური ბრძოლის გააქტიურებაში ხედავენ. **"ამ ვითარებაშიც სწორად არ მიგვაჩნია პასიური პოზიციის დაკავება. ჩვენი წარმომადგენლები აქტიურად იმუშავებენ ყველა დონის კომისიებში, რომ იმავე ჯგუფმა ვეღარ შეძლოს არჩევნების შედეგების სათავისოდ შეცვლა. ჩვენი მთავარი იმედი და დასაყრდენი, როგორც აქამდე, დღესაც არის ხალხი და მასმედია. იმედს ვიტოვებთ, რომ ბოლოს და ბოლოს ხალხი გადაწყვეტს არჩევნების ბედს,"** – აცხადებენ პარტიის ლიდერები.

24 საათი

პარლამენტის თავმჯდომარე გადატანილი საარჩევნო ომის პერიპეტიებს იხსენებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

გუშინდელ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ 23 ივლისის რიგგარეშე სხდომაზე პარლამენტმა შეძლო ცესკო-ს დაკომპლექტების წესის ძირითად პრინციპებზე შეთანხმება. სპიკერი ასევე კმაყოფილებით საუბრობს იმაზე, რომ მოხერხდა პირველი მოსმენით მიღებულიყო გადაწყვეტილებები, რომლებმაც მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს არჩევნების შედეგების გაყალბების შესაძლებლობა. კერძოდ, საუბარია ხმების პარალელურ რეჟიმში დათვლაზე, მარკირების წესზე და ა.შ. ყოველივე ეს პარლამენტის თავმჯდომარეს იმედით აღავსებს.

"ოთხშაბათს გამართულმა კენჭისყრამ ბევრი რამ შეცვალა. არჩევნების სამართლიანად და თავისუფლად ჩატარების შემთხვევაში, ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება, რადგან გაიმარჯვებენ ძალები, რომლებიც მზად არიან რევოლუციის გარეშე რევოლუციური გარდაქმნების განსახორციელებლად," - აღნიშნავს ბურჯანაძე, რომელსაც არ ავიწყდება, თუ რა მძიმე ბრძოლის პირობებში მოხდა ბეიკერის გეგმის მიღება. **"ძალიან ბევრი ძალა იყო იმით დაინტერესებული, რომ 2 ნოემბრის არჩევნები დღეს არსებულ ცენტარლურ საარჩევნო კომისიას ჩაეტარებინა, რომლისადმი ნდობაც მინიმალურია,"** - მიიჩნევს პარლამენტის ლიდერი.

მისი მტკიცებით, სახელისუფლებო ბლოკში არიან ადამიანები, ვისთვისაც პირადული ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას. ბურჯანაძის თქმით, მათი მხრიდან იყო მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების ჩაშლის არაერთი მცდელობა, პარლამენტის სხდომაზე კი, ბეიკერის გეგმის ჩაშლის მიზნით, მათ მოითხოვეს, რომ კანონპროექტის მხარდაჭერა მხოლოდ ოპოზიციური ბანაკის სრული ერთსულოვნების შემთხვევაში მომხდარიყო. ნინო ბურჯანაძე, მართალია, ამ ადამიანების ვინაობას არ აკონკრეტებს, მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით, მას "ვიტალი ხაზარაძე და კომპანია" ჰყავს მხედველობაში.

პარლამენტის თავმჯდომარე გაოცებული და აღშფოთებულია იმით, რომ ბოლო პერიოდში სისტემატურად გაისმოდა "მოსაზრებები" ახლადშექმნილი პარტიების საარჩევნო კომისიებში არდაშვების თაობაზე. ამ "თეორიის" თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციები მხოლოდ იმ ძალებს უნდა დაეკომპლექტებინათ, რომლებმაც მაღალი საარჩევნო ბარიერი გადალახეს და არ დაიშალნენ. **"ჩვენ ვალდებულნი ვიყავით, ობიექტური რეალობისთვის თვალი გაგვესწორებინა და ახლადშექმნილი პოლიტიკური პარტიები, მათი რეიტინგის გათვალისწინებით, საარჩევნო კომისიებში შეგვეყვანა,"** - აღნიშნა ბურჯანაძემ.

სპიკერის თქმით, სირთულეები გამოიწვია იმანაც, რომ გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა "აღორძინებას". კერძოდ, საარჩევნო კომისიებში იგი ხუთკაციან წარმომადგენლობას ითხოვდა. ბურჯანაძის აზრით, ასეთი მოთხოვნა არარეალურია და, ამდენად, მისთვის გაუგებარია, რატომ თქვა "აღორძინებამ" უარი მის წინადადებაზე, რომ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიებს ცესკო-ში თითო ადგილი დამატებოდათ. **"არჩევნების ბოიკოტისკენ მოწოდება გამოსავალი არ არის. მე მგონია, რომ საარჩევნო კანონის მეორე მოსმენით განხილვის პროცესში კონსენსუსის მიღწევა შესაძლებელია,"** - მოლაპარაკების მაგიდისკენ ეჭიქება ბურჯანაძე ჯემალ გოგიტიძესა და "აღორძინების" სხვა ლიდერებს.

მოშიმშილეები პარლამენტის თავმჯდომარეს ისევ "ეურჩებიან"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

ვარიანტი, მაგრამ წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა, რადგან გადასაწყვეტი საკითხების დიდი ნაწილი მთავრობის კომპეტენციაში შედის. მოშიმშილეთა მოთხოვნების შესახებ მთავრობას საქმის კურსში ჩავაყენებ და თუ ხელისუფლებისთვის ისინი მისაღები იქნება, კონფლიქტი, შეიძლება, ხვალვე ამოიწუროს," - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

ასევე ძალიან ზოგადია იუსტიციის მინისტრის კომენტარიც: **"ვერ ვიტყვი, ეს ყველაფერი რით დასრულდება. ყველაფერი ქალბატონ ნინოსა და იმ ადამიანებზეა დამოკიდებული, ვისაც გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ."**

"აღორძინება" დაბნეულია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

ამასთან, ბოიკოტის მუქარა საინტერესო კონტექსტში გაისმის: ერთი მხრივ, საუბარია იმაზე, რომ **"აღორძინება" ბოიკოტს გამოაცხადებს მთელი საქართველოს მასშტაბით",** მეორე მხრივ კი, ისმის ფრაზა, რომლის კომენტირება ზედმეტია: **"არჩევნები სამივე ავტონომიის გარეშე (!) ჩაივლის".**

გუშინ დილითვე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბათუმური ბლოკის წევრები ბათუმში მიემგზავრებიან, სადაც საერთო პოზიციის გამომუშავებას შეეცდებიან, მაგრამ მოგვიანებით ირკვევა, რომ ბათუმში თბილისიდან თანაბლოკელ სტუმრებს არ ელიან.

სამაგიეროდ, აჭარის უზენაესი საბჭოს იურიდიული კომიტეტი აკეთებს განცხადებას, რომ თუ "აღორძინების" პოზიცია არ იქნება გაზიარებული, აჭარა იფიქრებს ბოიკოტის თემაზე. ბათუმში იმართება აჭარის პარლამენტის სესია. მასზე ელიან ავტონომიის ლიდერის გამოსვლას, მაგრამ აბაშიძე სესიაზე საერთოდ არ მიდის. შედეგად აჭარის პარლამენტი უარყოფით შეფასებას აძლევს "ბეიკერის ვარიანტის" პრინციპების დონეზე დამტკიცებას საქართველოს პარლამენტის მიერ. აღნიშნულის შესახებ განცხადებას აკეთებს ასლან აბაშიძის პრესმდივანი თამაზ ბაკურიძე, რომელიც იმასაც ამბობს, რომ აჭარის პარლამენტი ამ დღეებში პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისთვის წერილის გაგზავნას აპირებდა, სადაც უნდა აღნიშნულიყო, რომ რეგიონი და მისი ხელმძღვანელობა უარყოფითად აფასებს ცსკო-ს ფორმირების იმ ვარიანტს, რომელიც ცსკო-ში "დემოკრატიული აღორძინების კავშირისათვის" მხოლოდ ერთ კვოტას ითვალისწინებდა, **"რადგან ეს ქვეყნის და რეგიონის ინტერესებს ეწინააღმდეგება".** ამავე წერილში დაფიქსირებული გახლდათ "აღორძინების" მოთხოვნა – 5 წევრი საარჩევნო კომისიაში. თუმცა, თამაზ ბაკურაძე იმასაც ამბობს, რომ წერილი, შესაძლოა, თბილისში აღარც გაიგზავნოს, რადგან აზრი დაკარგა.

საღამოს გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, "აღორძინება" "ბეიკერის ფორმულის" მეორე მოსმენას დაუცდის.

ამ მოვლენებთან ერთად, სიტუაცია იძაბება თავად "აღორძინების" ბლოკში. ჯემალ გოგიტიძე და სანდრო ბრეგაძე ამბობენ, რომ ჯუმბერ პატიაშვილმა "ბეიკერის ვარიანტისთვის" მხარდაჭერით თავი ავტომატურად დაიყენა ბლოკის მიღმა.

"აღორძინების" ლიდერების ამ განცხადებებს გუშინვე კომენტარს უკეთებს პატიაშვილი, რომელიც ამბობს, რომ იგი გოგიტიძეს და ბრეგაძეს არასოდეს წარმოადგენდა, პარლმენტში მათ "გაყვანილად" თავს არ მიიჩნევს და მისი ყოფნა-არყოფნა ბლოკში სულაც არ არის ამ ადამიანების გადასაწყვეტი.

"მთავარ განცხადებას ასლან აბაშიძე გააკეთებს, შესაძლოა, დღეს არა, მაგრამ უახლოეს პერიოდში," – განუცხადეს გუშინ "24 საათს" "აღორძინების" წარმომადგენლებმა.

ასლან აბაშიძის მთავარი იარაღი

"აღორძინების კავშირის" განცხადება არჩევნების ბოიკოტირების შესახებ კავშირის ლიდერის, აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის რეჟიმის ბოლო გაფართხალება და შანტაჟია," - მიიჩნევს "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი. მისი თქმით, "აღორძინების" წევრები არჩევნების ბოიკოტირებით იმიტომ იმუქრებიან, რომ ნორმალურად და დემოკრატიულად ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების პირობებში, ისინი საარჩევნო 7 პროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავენ. **"თუ ავტონომია ბოიკოტს გამოაცხადებს და არ დაუშვებს საარჩევნო ოლქების გახსნას, მაშინ იქ მცხოვრები ათი ათასობით საქართველოს მოქალაქეები არჩევნებში მონაწილეობას მიმდებარე რაიონებში - ლანჩხუთში, ფოთში, ადიგენში, ოზურგეთში, ახალციხეში მიიღებენ, ამიტომ ასლან აბაშიძეს მხოლოდ შანტაჟიღა დარჩა,"** - ამბობს ბერძენიშვილი. **პრაიმ-ნიუსი**

საქართველოს აქვს შანსი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

ყველამ იცის, რომ ორ წელიწადში შევარდნაძეს საპრეზიდენტო ვადა ეწურება და ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოთ, ამიტომ, ეს რამდენიმე წელი გადაწყვეტს, თუ როგორი ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება საქართველო.

ჩვენ ვხედავთ, რომ ახლა ქვეყანაში გარკვეული სირთულეებია შექმნილი და გვინდა, მაქსიმალური დახმარება გაგიწიოთ.

ეს არჩევნები ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველო-ამერიკის ურთიერთობასთანაც. თუ საქართველო შეძლებს სტაბილური დემოკრატიის გზით სვლას, მაშინ ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს საქართველო-ამერიკის გრძელვადიანი ურთიერთობის და თანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

ცნობილია, რომ ის განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომლითაც საქართველო წლების განმავლობაში სარგებლობდა, დიდწილად პრეზიდენტ შევარდნაძის პირადი დამსახურება იყო, მაგრამ ამერიკა-საქართველოს მომავალ ურთიერთობებს ამ ეტაპზე უკვე დემოკრატიისადმი საქართველოს ერთგულება გადაწყვეტს. ამიტომ ამერიკის პრეზიდენტმა სთხოვა ყოფილ სახელმწიფო მდივანს, წასულიყო საქართველოში. ჯეიმს ბეიკერს უყვარს საქართველო და ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს პრეზიდენტ შევარდნაძესთან. მასაც ძალიან უნდოდა, რომ ამ რთულ პერიოდში დახმარება გაეწია საქართველოსთვის.

გეგმით, რომელიც ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ხელისუფლებასა და ოპოზიციას გააცნო, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ვინარჩუნებთ ნეიტრალიტეტს, მაგრამ დაგეხმარებით იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

ჩვენი აზრით, ეს მართლაც ძალიან წარმატებული ვიზიტი იყო. მაგრამ რეალური წარმატების მიღწევა მხოლოდ ქართველი ხალხის ხელშია.

- აპირებთ თუ არა პროცესის მონიტორინგს, რამდენად შეასრულებს ხელისუფლება და ოპოზიცია ამერიკის ადმინისტრაციის რეკომენდაციებს?

- ჩვენ ყველას შევახსენებთ თავიანთ დანაპირებს და ვალდებულებებს, რომელიც აიღეს. მინდა ხაზი გავუსვა, რომ საქართველოში დემოკრატიული არჩევნებით მხოლოდ ჩვენ არ ვართ დაინტერესებულები. ამ საკითხში ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ეუთო-სთან და ევროკავშირთან. ყველას უნდა, რომ ეს არჩევნები საქართველომ მართლაც სამაგალითოდ ჩაატაროს.

გასულ კვირას, სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ელიზაბეტ ჯონსმა შეხვედრები გამართა ეუთო-ში, რათა დარწმუნებულიყო, რომ დახმარება, რომელიც გვინდა საქართველოს ამ არჩევნებზე გავუწიოთ, კარგად კოორდინირებულია. ასე რომ, წინასაარჩევნო პროცესს საქართველოში არა მხოლოდ ამერიკა მიადევნებს თვალყურს, არამედ - მთელი დასავლეთი.

- მაგრამ ეუთო-სთან დაკავშირებით ერთი კითხვა ჩნდება: უნდა კი ამ ორგანიზაციას ისეთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ამ არჩევნებში, როგორიც მას ამერიკის ადმინისტრაციამ "ბეიკერის გეგმის" მიხედვით დააკისრა? თავიდან თითქოს შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს წინადადება არცთუ მისაღები აღმოჩნდა ეუთო-სთვის.

- ეუთო-ს სურს იმის გარკვევა, თუ ზუსტად რა როლი უნდა შეასრულოს ამ პროცესში, მაგრამ ნათელია, რომ დასახმარებლად ისინი ნამდვილად მზად არიან. ეუთო-ში მიაჩნიათ, და ძალიან სწორადაც, რომ რასაც ისინი საქართველოში გააკეთებენ, შეთანხმებული უნდა იყოს არჩევნებში მონაწილე ყველა მხარესთან და არავინ ამის წინააღმდეგი არ უნდა წავიდეს.

მათ ასევე უნდათ დარწმუნდნენ, რომ რასაც ისინი გააკეთებენ, სწორი იქნება, რეალურად დაეხმარება საქართველოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში და ამ დახმარებას რომელიმე მხარე თავისი ინტერესებისთვის არ გამოიყენებს.

- თუ ხელისუფლებამ, მიუხედავად შეთანხმებისა და პარლამენტში მიღებული გადაწყვეტილებისა, მაინც ვერ შეძლო არჩევნებისთვის დემოკრატიული გარემოს უზრუნველყოფა, როგორი იქნება ამერიკის ადმინისტრაციის რეაქცია - უბრალოდ ჩათვლით, რომ თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რაც შეგეძლოთ და მეტ ძალისხმევას აღარ დახარჯავთ, თუ ისევ გააგრძელებთ სხვადასხვა ფორმით ხელისუფლებაზე ზეწოლას?

- პირველი, რასაც დიპლომატები სწავლობენ, არის ის, რომ პასუხი არ გასცენ ჰიპოთეტურ შეკითხვებს, განსაკუთრებით - როცა შეკითხვა ასე იწყება, თუ ყველაფერი ცუდად წავიდა...

მეორე მხრივ, ხელისუფლებამ, ისევე როგორც ოპოზიციამ, თავის თავზე უკვე აიღო ვალდებულება, რომ ამ რეკომენდაციებს შეასრულებს.

ზოგჯერ ავიწყდებათ ხოლმე, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება არ მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ყველა პოლიტიკური ძალის მოვალეობაა. დემოკრატიული არჩევნები მხოლოდ კოლექტიური ძალისხმევის და კოორდინაციის შედეგად მიიღწევა. სწორედ ამ კოორდინაციას ვგულისხმობ, როცა პოლიტიკურ სიმწიფეზე ვლაპარაკობ.

ოპოზიციის ლიდერებიდან ძალიან ბევრს ვიცნობ და ხშირად მიწევს მათთან საუბარი. ყველას ერთი და იგივეს ვეუბნები, რომ მათ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ და უნდა შეძლონ, კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყონ არჩევნების სამართლიანად ჩატარება, რადგან სურვილი და ძალისხმევა, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს, თვითონ ქვეყნის შიგნიდან უნდა მოდიოდეს. თუ ჩვენ ვეცდებით, გარედან რაღაც მოგახვიოთ თავზე, ეს მაინც არ იმუშავებს. საქართველოში ხელისუფლებაც, ოპოზიციაც და ამომრჩეველიც თავად უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება აუცილებელია და ისინი შეძლებენ ამის გაკეთებას.

იმ პროგრამაში, რომელიც ბეიკერის გეგმის სახელით არის ცნობილი, ახალი არაფერია. ეს ეუთო-ს ტიპური რეკომენდაციებია, რისი შესრულებაც აუცილებელია, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის რაღაც გარანტიები შეიქმნას.

საქართველოს ხელისფულებასთან და ოპოზიციასთან ჩვენ მუდმივ კავშირს შევინარჩუნებთ და ხელს შევუწყობთ, რომ წინასაარჩევნო პროცესი სწორი მიმართულებით წავიდეს.

- იგეგმება თუ არა სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ვიზიტი საქართველოში?

- ამ მომენტისათვის არანაირი კონკრეტული გეგმა არ გვაქვს.

- აპირებს თუ არა ამერიკის ხელისუფლება, რომ არჩევნების წინ კიდევ ერთხელ გააგზავნოს საქართველოში სპეციალური წარმომადგენელი?

- ამ ეტაპზე ვერ ვხედავთ იმის საჭიროებას, რომ კიდევ ერთი ასეთი ვიზიტი დავგეგმოთ. საქართველოს მთავრობამ და პოლიტიკურმა ძალებმა უკვე აიღეს ვალდებულება თავის თავზე, რომ შეასრულებენ ყოფილი სახელმწიფო მდივნის მიერ შეთავაზებულ კონკრეტულ პროგრამას. გარდა ამისა, საქართველოში ძალიან ბევრი დამკვირვებელი გვყავს, არა მარტო ამერიკიდან, არამედ მთელი დასავლეთიდან.

მთელ დასავლურ სამყაროს მიაჩნია, რომ საქართველოს აქვს შანსი, ამ არჩევნებით განსხვავება შეიტანოს უკვე არსებულ სურათში და დადებითი პრეცედენტი შექმნას, რადგან ძალიან ბევრმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ გამოცდას ვერ გაუძლო და არჩევნები ძალიან ცუდად ჩაატარა.

- რამდენად არის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება დაკავშირებული აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან და ამერიკის ხელისუფლების სურვილთან, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ?

- აფხაზეთი არის საკითხი, რომელზეც ხუთი-ექვსი წელია, ვმუშაობთ. ჩვენ ამ თემაზე დიალოგს ვაწარმოებთ ქართველებთან, აფხაზებთან, რუსეთთან, საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან, გაერო-სთან და ეუთო-სთან. მაგრამ ჩვენ ვაპირებთ, რომ, ასეთი დიპლომატიური მცდელობების პარალელურად, კონკრეტული ნაბიჯებიც გადავდგათ. მაგალითად ლტოლვილებს თავიანთ სახლებში დაბრუნებაში დავეხმაროთ.

- მაინც როგორ აპირებთ ამ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას?

- ამ ეტაპზე რაც უნდა გაკეთდეს, არის ის, რომ სამშვიდობო პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობა უფრო აქტიურად ჩაერთოს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის როლი ძალიან დიდია. აფხაზეთის მხარეც უნდა დავარწმუნოთ, რომ შემხვედრი ნაბიჯები გადადგას სამშვიდობო პროცესის ჩიხიდან გამოსაყვანად. გარდა ამისა, მთავარია, უზრუნველვყოთ კონფლიქტის ზონაში ძალადობისა და სისხლის ღვრის აღკვეთა, რათა ლტოლვილებს უკან დაბრუნების არ შეეშინდეთ.

- თქვენ რამდენიმე წელია, გიწევთ აფხაზეთის თემაზე რუსებთან საუბარი. ამ ხნის განმავლობაში მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება რუსეთის მიდგომებში?

- სიტუაცია მცირედ შეიცვალა, მაგრამ, ბუნებრივია, არ ვამბობ, რომ რაიმე რადიკალური ცვლილება მოხდა.

ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სიძლიერეს და მთავრობის მტკიცე პოლიტიკას. ამისათვის კი საჭიროა გყავდეს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი, რომლის ლეგიტიმურობა ეჭვს არ იწვევს, თავისუფალი პრესა, რომელსაც კორუფციის წინააღმდეგ თანამიმდევრული პოლიტიკა ექნება, საჭიროა გატარდეს რეფორმები მთავრობაში, რასაც ჩვენ დიდი ხანია, ვითხოვთ.

როგორც წესი, მოლაპარაკებები არა იდეოლოგიის, არამედ სრულიად კონკრეტული საკითხების ირგვლივ წარმოებს. აფხაზეთის შემთხვევაში კი კონკრეტული საკითხები ხშირად იკარგება თეორიული მსჯელობების ფონზე.

- ესე იგი ძლიერი ხელისუფლებაა გადამწყვეტი?

- მთავრობის სიძლიერე მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი. ძლიერ მთავრობას უკეთ შეუძლია ერის კონსოლიდაცია. 1992-1993 წლების შემდეგ საქართველომ დიდ პროგრესს მიაღწია. შეიძლება ამის თქმა ამ ეტაპზე არაპოპულარული იყოს, მაგრამ ამაში შევარდნაძის დამსახურება დიდია.

თუმცა იმისათვის, რომ ქვეყანამ შემდგომი ნაბიჯები გადადგას, მას უნდა ჰქონდეს ძლიერი პოლიტიკური ნება და თანხმობა დემოკრატიულ ძალებს შორის. უნდა განვითარდეს ეკონომიკა, უნდა დაიწყოს ნამდვილი და არა მოჩვენებითი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ.

საქართველოს ნაცვლად ამ პრობლემებს ჩვენ ვერ მოვაგვარებთ. ჩვენ მხოლოდ დახმარება შეგვიძლია.

- რასაკვირველია.

- თქვენ კი ამბობთ, რასაკვირველიაო, მაგრამ ძალიან ხშირად პოლიტიკოსები მოდიან და ჩვენგან პრობლემების მათ მაგივრად გადაწყვეტას ითხოვენ.

- ბევრი ფიქრობს, რომ "ბოდენის დოკუმენტი" უკვე არააქტუალურია და მხარებმა კონფლიქტის მოგვარების ახალ პროგრამაზე უნდა იმუშაონ.

- ეს დოკუმენტი ჩვენთვის ისევ აქტუალურია, ჩვენ ისევ გავაგრძელებთ მასზე მუშაობას. ბოლოს და ბოლოს რუსებმა ეს დოკუმენტი მიიღეს და დოკუმენტს მხარი დაუჭირა გაერო-მაც.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია, მაგრამ ასეთი გაჭიანურებული კონფლიქტების გადაწყვეტას დრო სჭირდება.

- საქართველოში დიდია უკმაყოფილება გაერო-ს მიერ მიღწეული შედეგებით და ბევრს მიაჩნია, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა არა გაერო-ს, არამედ ამერიკის ხელისუფლების პირდაპირი ჩარევის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

- ჩვენ ყოველთვის ვლაპარაკობთ აფხაზეთის თემაზე, როცა რუსეთთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ თვითონ საქართველოში ერთიანი პოლიტიკისა და მიდგომების ჩამოსაყალიბებლად მიღწეული იქნას კონსესუსი. ერთიანი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში ჯერ არ არსებობს.

ჩვენ შეგვიძლია, რუსეთს ვლაპარაკოთ იმაზე, რომ ვითარება უფრო მეტად არ დაძაბონ და უფრო კომპრომისულები იყვნენ, მაგრამ არ შეგვიძლია თქვენ მაგივრად ამ პრობლემის გადაჭრა. არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ რაკი გაერო-მ ვერ მოახერხა ამ კონფლიქტის მოგვარება, სასწაულს ამერიკა მოახდენს.

მონიტორინგი

მთავრობამ ერთ კვირაში 145 მილიონი უნდა იშოვოს

ფინანსთა სამინისტროს ჯერ კიდევ არ დაუდგენია დეფიციტის დაფინანსების 7 თვის გეგმა, ხოლო ექვსი თვის გეგმა 24 ივლისისათვის 99 პროცენტით არის შესრულებული, გარღვევა 1,6 მილიონი ლარია.

24 ივლისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 77 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა - 42 პროცენტით.

უფრო მძიმე მდგომარეობაა ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებში: შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 76 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა - 41 პროცენტით, გარღვევა 109,62 მილიონი ლარია.

სოციალური ფონდის შემოსავლების შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 84 პროცენტით, გარღვევა 21,68 მილიონი ლარია.

საგზაო ფონდის შემოსავლების შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 73 პროცენტით, გარღვევა 7,33 მილიონი ლარია.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 81 პროცენტით, გარღვევა 99,03 მილიონი ლარია.

24 ივლისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 7 თვის გეგმის შესრულებას 143,75 მილიონი ლარი აკლია.

ამას ემატება დეფიციტის დაფინანსების ექვსი თვის გეგმაში არსებული 1,6-მილიონიანი გარღვევა. აღარაფერს ვამბობთ დეფიციტის დაფინანსების ივლისის თვის გეგმაზე, რომელიც ჯერ არ არსებობს.

შესაბამისად, მთავრობამ დარჩენილ ერთ კვირაში უნდა მოახერხოს, მინიმუმ, 145,35 მილიონი ლარის მობილიზება.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში

ათას ლარებში

კოდი	დასახელება			
01 00	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	318,079.7	310,272.3	4,803.4
01 01	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო საქმეთა სამსახური, ზოგადი ხასიათის საერთაშორისო ეკონომიკური დახმარება	86,705.2	81,100.3	14,604.9
01 03	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	19,930.2	19,032.0	1,498.2
01 04	საერთო ხასიათის მომსახურება	29,799.3	46,207.8	-15,409.5
01 04 01	სტატისტიკა	3,663.2	3,216.0	447.2
01 04 02	გეოდეზია და კარტოგრაფია	3,063.1	2,358.6	704.5
01 04 03	სამეცნიერო დარგში მომსახურება	1,075.0	238.2	836.8
01 04 04	საერთო ხასიათის ტრანსფერტები	22,000.0	39,400.0	-17,400.0
01 06	საერთო ხასიათის სახელმწიფო მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	178,642.3	165,932.2	4,199.8
02 00	თავდაცვა	74,462.3	67,152.4	7,309.9
02 01	სამხედრო სამსახურის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზება და ორგანიზაცია	73,758.1	66,444.2	7,310.9
02 04	სამხედრო სფეროში მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	707.2	708.2	-1.0
03 00	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	119,239.8	112,782.7	6,427.1
03 02	სასამართლო ორგანოები	20,947.7	19,963.0	984.1
03 03	ციხეები	10,149.7	9,549.4	600.3
03 04	საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურის ორგანოები, არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	83,804.8	78,931.9	4,872.7
04 00	განათლება	77,886.3	75,903.3	2,443.0
04 02	სამზადისი განათლების საფეხურზე	884.2	884.2	40.2
04 03	საშუალო განათლების საფეხური	9,073.8	8,791.2	282.4
04 04	უმაღლესი განათლება	66,997.1	64,793.3	1,653.6
04 06	განათლების სფეროში მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	6,528.8	6,242.3	288.6
05 00	ჯანმრთელობის დაცვა	91,485.5	88,394.9	3,050.6
05 06	ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	91,485.5	88,394.9	3,050.6
06 00	სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა	256,920.8	208,220.8	6,700.0
06 01	სოციალური დაზღვევა	223,652.8	218,452.8	5,200.0
06 01 02	სახელმწიფო სოციალური სადაზღვევო ფონდები	202,627.9	198,427.9	5,200.0
06 03	სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	61,231.8	57,731.8	3,500.0
06 03 01	სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	61,231.8	57,731.8	3,500.0
07 00	სამშენებლო-კომუნალური ზეკრებები	4,787.8	2,912.4	1,874.6
07 05	სამშენებლო-კომუნალურ ზეკრებების სფეროში მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	4,787.8	2,912.4	1,874.6
08 00	მომსახურება კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში	29,907.9	26,873.7	2,034.2
09 00	საგანმანათლებლო კომპლექსი	37,264.5	35,071.2	2,193.3
09 02	ბაზისური სკოლები და სხვა ტიპის სკოლები	36,500.0	34,400.0	2,100.0
09 02 01	დაწყებითი სკოლა	36,500.0	34,400.0	2,100.0
09 03	საგანმანათლებლო კომპლექსის სფეროში მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	764.5	671.2	93.3
10 00	სოციალური ზეკრებების სფეროში მომსახურება და მოსახლეობის	29,029.1	25,940.5	3,088.6
10 01	ოჯახის და ბავშვის ზეკრებები	24,272.7	21,935.9	3,238.8
10 02	სხვადასხვა ზეკრებები	2,768.1	2,291.2	476.9
10 03	ზეკრებები და მოხუცებზე	596.7	545.3	51.4
10 06	სოციალური ზეკრების სფეროში მომსახურება და მოსახლეობის სფეროში მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	1,376.7	1,093.2	283.5
11 00	სამოსამართლეთა მომზადება და სასამართლო ხარჯების გადახდა, სასამართლო სისტემის ზეკრები	1,501.2	1,047.9	453.3
12 00	ტრანსპორტი და კომუნიკაციები	54,848.2	47,202.8	7,643.4
12 01	საგზაო ტრანსპორტი	51,200.0	46,200.0	5,000.0
12 01 01	საგზაო ქსელის ზეკრები	51,200.0	46,200.0	5,000.0
12 06	სატრანსპორტო სისტემა და მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	3,638.8	988.8	2,649.8
12 08	საქმიანობა და მომსახურება ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროში, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს	10.6	13.0	2.6
13 00	ეკონომიკა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება	4,201.2	3,522.8	678.6
13 02	ტყეები	284.9	284.8	70.8
13 03	ეკონომიკის მხარდამჭერი პროგრამები	886.2	787.1	99.1
13 04	საერთო სახასიათო და კომერციული საქმიანობის საერთო მხარდამჭერი ღონისძიებები	1,118.0	824.7	293.3
13 05	გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვა	1,942.5	1,735.9	206.6
14 00	ზოგადი ხასიათის ტრანსფერტები სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს	343,980.5	334,180.5	9,800.0
14 02	საერთო ხასიათის ტრანსფერტები სახელმწიფო წარმოადგენის ორგანოებს შორის	51,447.0	71,647.0	9,800.0
	სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები	1,478,960.0	1,417,560.0	61,400.0

ქობულეთის საავტომობილო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი ბიუროში ნიკოლეიშვილი

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘ

ქ. ბათუმში, ლ. მელიქიშვილის ქუჩა №1-ში მდებარე ავტოსადგომზე, 2003 წლის 12 აგვისტოს, 12 საათზე ჩატარდება აუქციონი, რომელზეც გაიყიდება ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ავტოსადგომებიდან ჯარიმის სანაცვლოდ ამოღებული შემდეგი ავტომანქანები:

1. მანქანა ნომრით 10 ცალი 30 000 ლარი
2. სატვირთო 30-ტონიანი 5 ცალი 2 500 ლარი
3. სატვირთო 10-ტონიანი 1 ცალი 200 ლარი
4. დრაბლერი 20-ტონიანი 1 ცალი 250 ლარი
5. ტრანსპორტიორი 70 გრძივი მეტრი 1 ცალი 350 ლარი
6. ჭაჭის შემრევი ბუნკერი 2 ცალი 200 ლარი
7. ნახევარი 40-ტონიანი 3 ცალი 600 ლარი
8. ცისტერნა ეწვის 12-ტონიანი 12 ცალი 33 600 ლარი
9. ცისტერნა ეწვის 15-ტონიანი 76 ცალი 26 600 ლარი
10. ცისტერნა ეწვის 25-ტონიანი 18 ცალი 8 100 ლარი
11. ფილტრპრესი 1 ცალი 100 ლარი
12. დახურული კონტეინერი 1 ცალი 300 ლარი
13. პრესი 1 ცალი 350 ლარი
14. მიწები განყოფილება (შენობა) 1 ცალი 5 500 ლარი
15. ნვენების საამქროს შენობა 1 ცალი - 8 000 ლარი

აუქციონი ჩატარდება 2003 წლის 1 აგვისტოს, 12 საათზე ქ. ბურუსანი, სასამართლოს შენობა.

აუქციონში მონაწილეობის მიღებულებები და სხვა პირობები, რომელთაც გაეცნობით უფლებები აღნიშნულ ქონებაზე, მოგვმართონ მისამართზე: ქ. ბურუსანი, სანაპირის ქ. N ტელ: (899) 97 88 82, თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ნიკა ლომინაძის მკვლელობა

პირველი გვერდიდან

რომ იგივე ფინანსური მაქინაცია "AES თელასის" წინააღმდეგ აგორებული კამპანიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად იქცა. სხვათა შორის, მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ "AES თელასის" საწინააღმდეგოდ "გაპიარებულ" მაქინაციაში ერთ-ერთ ძირითად რგოლად ფირმა "იბერია პრაიმ კაპიტალი" ფიგურირებს.

"იბერია პრაიმ კაპიტალის" დაფუძნების ისტორია მოკლედ უკვე გიამბეთ. ისიც ითქვა, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში მოხსენიებული ყოფილი ენერგომამები ამ ფირმასთან ყოველგვარ კავშირს უარყოფენ და სადამფუძნებლო დოკუმენტებში მონაცემთა გაყალბებაზე საუბრობენ. თუმცა, ისეთი დოკუმენტის მოძებნაც გახდა შესაძლებელი, რომელიც პირდაპირ ადასტურებს, რომ "საქენერგოგენერაციის" ყოფილი გენერალური დირექტორის ნოდარ ბადურაშვილისთვის არც "იბერია პრაიმ კაპიტალთან" საქმიანი ურთიერთობის დამყარება ყოფილა უცხო და არც მისი დირექტორის მირიან ცხვარაძის ვინაობა. მეტიც, "იბერია პრაიმ კაპიტალის" პირველმა დირექტორმა აკაკი გორგიაშვილმა, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად მოსკოვში იმყოფება, თავის დროზე გვითხრა: **"იბერია პრაიმ კაპიტალის" შექმნის მიზანი იყო "თელასის" პრივატიზაციის ტენდერში მონაწილეობის მიღება. ჩვენ გვქონდა საკმაოდ კარგი საერთაშორისო კავშირები და ტენდერში მონაწილეობაზე დავითანხმეთ შვეიცარული ბანკი "UBS". არაფერია დასამალი იმაში, რომ ენერგეტიკის სექტორში მოღვაწე თანამდებობის პირები და მათ დაქვემდებარებული ორგანიზაციები ფირმისთვის მეტი წონის შეძენისთვის გვჭირდებოდა. არც ის მიკვირს, რომ ნოტარიუსის დოკუმენტები ყალბია – ამ ხალხის ერთად შეკრება ნამდვილად გაჭირდებოდა და ის, რაც გაკეთდა, საქართველოში საკმაოდ აპრობირებული ხერხია. თუმცა, დამერწმუნეთ, ვერაფერს გეტყვით დავით ზუბიტაშვილსა და რევაზ თევზაძეზე, მაგრამ ნოდარ ბადურაშვილი და ვაჟა მეტრეველი საქმის კურსში რომ იყვნენ, ვიცი. თუმცა, რატომ უნდა ეთქვათ უარი ამ ფირმაში მონაწილეობაზე, როცა ჩვენ სრულიად ნათელი მიზნები გვქონდა – მეტად სახარბიელო, თუ მათ განხორციელებას შევძლებდით. დასამალიც არაფერი გვქონია. ხელმოწერების რა გითხრათ, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაზე ბეჭდები გაყალბებული არ არის – საამისოს არაფერს ვაკეთებდით. როგორც კი ტენდერში "AES"-მა გაიმარჯვა, მე ჩავთვალე, რომ "იბერია პრაიმ კაპიტალში" აღარაფერი მესაქმებოდა და დირექტორის თანამდებობა დავტოვე."**



ნიკა ლომინაძე მეუღლესთან ერთად.

მიუხედავად ამ უკანასკნელი განცხადებისა, თაღლითობის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამომძიებელი მერაბ გვილავა ამბობს, რომ კანონის თანახმად, აკაკი გორგიაშვილი დღემდე "იბერია პრაიმ კაპიტალის" დირექტორად ითვლება და ფირმის უკანონო საქმიანობის გამო, სავარაუდოდ, მასაც მოეკითხება.

სხვათა შორის, გორგიაშვილის მიერ ნახსენები შვეიცარული "UBS" დიდი ტრადიციების მქონე მსხვილი ბანკია, რომელსაც არაერთ ქვეყანაში აქვს გახსნილი ფილიალები, მათ შორის მოსკოვშიც. ასეთი ბანკები შემთხვევით პარტნიორებთან, მყარი გარანტიების გარეშე, როგორც წესი, არ თანამშრომლობენ. მაგრამ, თუ მათთვის მოსკოვში მოღვაწე რიგითი ბიზნესმენი გორგიაშვილი ვერ გახდებოდა პრესტიჟული პარტნიორი, "იბერია პრაიმ კაპიტალის" უკან მდგომი ხალხი, როგორც ჩანს, ასეთ გარანტიებს უზრუნველყოფდა. თუმცა, რაც შეეხება "თელასის" საშურველ პრივატიზებას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ საქმით უშუალოდ "იბერია პრაიმ კაპიტალი" იყო დაინტერესებული, შვეიცარულ ბანკთან კი ფარული გარიგება აკავშირებდა. ეს ყველაფერი, ცხადია, ვარაუდები გახლავთ, თუმცა, ფაქტია, "თელასის" პრივატიზების საქმეში წარუმატებელი მცდელობიდან ხუთი წლის შემდეგ "იბერია პრაიმ კაპიტალმა" ყოფილი კონკურენტის - "AES"-ისთვის - საქართველოში მუშაობისთვის გაუსაძლისი პირობების შექმნის საქმეში ლომის წილი შეიტანა.

გამომძიებაზე დაყრდნობით საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ 2,5 მილიონიანი მაქინაციის ძიების პროცესში, შესაძლოა, "AES თელასის" ამერიკელი ხელმძღვანელობის დაპატიმრების საკითხიც დადგეს, დღეს თბილისის პროკურატურაში ჟურნალისტების თვითნებობად ინათლება, თუმცა კი, ეს განცხადებები ანტითელასური კამპანიის ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად იქცა. საით არის მიმართული ეს კამპანია და მიაღწიეს თუ არა მიზანს "თელასის" აქციების ამერიკელთა ხელიდან რუსულ "რაო ეეს"-ზე გადაცემის შესახებ მოლაპარაკებების სავარაუდო დაწყებით? დღეს ამაზე საუბარი ძნელია. მით უმეტეს, ჭირს ამ მიზნის მიღწევით დაინტერესებული კონკრეტული პირების დასახელება.

ფაქტი ერთია – გამომძიებელ მერაბ გვილავას თქმით, თავდაპირველად აკაკი გორგიაშვილი უარყოფდა მირიან ცხვარაძესთან ნაცნობობას, მოგვიანებით კი მისი ნათქვამის გამაბათილებელი დოკუმენტის მოძიება გახდა შესაძლებელი – საბუთი გორგიაშვილის ხელმოწერით, რომელიც მირიან ცხვარაძეს აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებით აღჭურავს. აკაკი გორგიაშვილზე ვერაფერს გეტყვით და მირიან ცხვარაძე რომ პარლამენტის ენერგეტიკულ საკითხთა დროებითი საგამომძიებო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჩუბინიშვილის თქმით, "იბერია პლუსის" თავკაცის ნუგზარ შევარდნაძის "ხელდასხმული" კაცია, ამას უკვე ვწერდით.

თავად მირიან ცხვარაძე ბრალდებულად დაკითხვისას მიცემულ ერთადერთ ჩვენებაში (მოგვიანებით მან ეს ჩვენება ზეწოლის შედეგად დაწერილად მონათლა) საქართველოს პრეზიდენტის ძმისშვილთან კავშირზე არაფერს ამბობს. სავარაუდოდ, მისთვის ამის შესახებ არც არაფერი უკითხავთ. სამაგიეროდ, იგი აღიარებს, რომ რუსეთის ჯარების სახელით მის მიერ გაკეთებული ყალბი წერილების საფუძველზე "AES თელასს", რომელსაც ეჭვი არ შეპარვია წერილების ნამდვილობაში, რუსეთის ჯარების საკრედიტორო ნაშთზე რიცხული თანხა გადაჰქონდა წერილებში მითითებულ ორგანიზაციებზე. **"აღნიშნულ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩემი ნაცნობი შალვა დოლიძე, რომელსაც ვაძლევდი ჩარიცხული თანხის 10 პროცენტს, ხოლო ორგანიზაციებისთვის 20 პროცენტს. შ. დოლიძეს ვისთვის მიქონდა აღნიშნული თანხა, არ მეუბნებოდა, შესაბამისად არ ვიცი,"** - წერს ცხვარაძე შემდგომში უარყოფილ ჩვენებაში.

ეს ჩვენება ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმიდან გამოყოფილ, თაღლითობის მუხლით აღძრულ საქმეშია ჩაკერებული. თუმცა, ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმეში მაინც დარჩა ერთი ჩვენება, რომელშიც იგივე შალვა დოლიძეა ნახსენები. ეს ჩვენება ნიკა ლომინაძის მეუღლეს ეკუთვნის. მისი თქმით, შალვა დოლიძემ მის ქმარს იარაღი აჩუქა. ამ საჩუქრის გაკეთების შემდეგ კი ნიკა ლომინაძეს მუდმივი თხოვნებით აწუხებდა. **"ნიკა უკვე ტელეფონსაც აღარ იღებდა და ფიქრობდა, როგორ დაებრუნებინა უკან საჩუქარი,"** - წერია ლომინაძის მეუღლის ჩვენებაში.

ამ ორ ჩვენებაში მოყვანილი ფაქტების ურთიერთკავშირს და ამის შედეგებს, იმედია, გამოძიება გაარკვევს.

ჩვენთვის კი ცნობილია, რომ სხვადასხვა კომერციულ საქმიანობასთან ერთად, შალვა დოლიძე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის უმძიმეს წლებში გურიას ნავთობპროდუქტებით ამარაგებდა. ეს მაშინ კი არა, ახლაც არ არის უბრალო საქმე, ცხადია, შესაბამისი კავშირების გარეშე. მშობლიური კუთხისთვის მან კიდევ ერთი სასიკეთო საქმე გააკეთა – უდიდესი წვლილი შეიტანა გურიაში ეკლესიის აშენებაში. ოღონდ ეკლესია მშობლიურ სოფელში კი არა, მამათში ააშენა. როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტისა და მისი გვარის პატივისცემით. პატივისცემის გარდა, შეგარდნაძეების გვართან მისი სხვა კავშირის მტკიცებას ჩვენ ვერ დავიწყებთ. საეჭვოა, ეს ქალაქის პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებამაც სცადოს.

და ბოლოს, ჩვენ, ცხადია, ბრალმდებლის ფუნქციას ვერ ვიკისრებთ და ჯერ კიდევ ძიების პროცესში მყოფ საქმეზე დასკვნების გაკეთებისგან თავს შევიკავებთ. ეს ვრცელი წერილი მხოლოდ ჯაჭვი გახლავთ იმ მოვლენებისა, რომელიც "AES თელასის" ახალგაზრდა ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობას მოყვა. არადა, როგორც ამბობენ, იგი "AES თელასის" პირველი ქართველი გენერალური დირექტორი უნდა გამხდარიყო. წერილის ბოლოს არც პესიმისტურ პროგნოზებს გავაკეთებთ – გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და თუ მასში მონაწილე სამართალდამცველებს ვერწმუნებით, ნიკა ლომინაძის მკვლელობის გახსნამდე შორი არ არის. საქმე მხოლოდ ის გახლავთ, მიაღწევენ თუ არა ისინი დანაშაულის სათავეებს.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის 857-ე განკარგულებით, საქართველოში საბიუჯეტო შემოსავლების ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნება 14-კაციანი საუწყებათაშორისო კომისია, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი, ავთანდილ ჯორბენაძე უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, საქართველოს ტერიტორიაზე საავტომობილო გზების შეკეთების სამუშაოები პირველი ივლისიდან შეჩერებულია. ამის მიზეზი ბიუჯეტის მოსალოდნელი სეკვესტრი გახდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ორშაბათს განახლდება. პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტის მიღებას შეეცდება. არ არის გამორიცხული, ფინანსთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი თავად სახელისუფლებო ფრაქციებმა დასვან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. „საქართველოს ელექტროკავშირმა“ ამ დღეებში, შესაძლოა, რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაციას ტელეფონები გაუთიშოს. სააქციო საზოგადოება „საქართველოს ელექტროკავშირის“ დირექტორის მოადგილის, მერაბ კანკავას ცნობით, ურჩ გადამხდელებს შორის არიან სახელმწიფო კანცელარია, პარლამენტი, თავდაცვის სამინისტრო და საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტის, ლადო პაპავას აზრით, ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორებას მმართველობითი ფორმის შეცვლამდე არ უნდა ველოდოთ. როგორც პაპავამ განაცხადა, მთავრობის ეფექტურად მუშაობისთვის საჭიროა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღება, წინააღმდეგ შემთხვევაში "მუდამ პასუხისმგებლობის გადაბრალების მომსწრენი ვიქნებით და კონკრეტული პასუხისმგებელი არ გვეყოლება". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ს.ს. "საქართველოს ელექტროკავშირის" პრივატიზების სურვილი ევროპის პრივატიზაციისა და ინვესტიციების საერთაშორისო კორპორაციის ავსტრიულმა კომპანიამ "ეპიკბანკმა" გამოთქვა. მათი თქმით, კომპანია მზად არის, «საქართველოს ელექტროკავშირზე» ტენდერის გამოცხადებამდე თანამედროვე მოწყობილობის შესაძენად ელექტროკავშირისთვის 5 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი გამოყოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისთვის ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა საქართველოს მიმდინარე წლის ბოლომდე მისცა ვადა. კომიტეტის მხრიდან გაკეთებული შეღავათების მიუხედავად, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა საქართველოს პარლამენტმა 15 აგვისტომდე უნდა მიიღოს. ამგვარი მოთხოვნით ამჟამად საერთაშორისო სავალუტო ფონდი გამოდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ელექტროკავშირის" პრივატიზების სურვილი ევროპის პრივატიზაციისა და ინვესტიციების საერთაშორისო კორპორაციის ავსტრიულმა კომპანიამ "ეპიკბანკმა" გამოთქვა. მათი თქმით, კომპანია მზად არის, «საქართველოს ელექტროკავშირზე» ტენდერის გამოცხადებამდე თანამედროვე მოწყობილობის შესაძენად ელექტროკავშირისთვის 5 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი გამოყოს. **ინტერ-პრესი**

ნუ თამაშობ, მირიან!

მაკა ჯაიანი

სტუდენტური მოძრაობის წევრები "24 საათის" რედაქციაში

დაახლოებით ასე შეუძახეს გუშინ "სტუდენტური მოძრაობა - საქართველოს მომავლისათვის" წევრებმა საქართველოს ახალგაზრდა ფინანსთა მინისტრს. საუბარი სეკვესტრის მოლოდინში "გატრუნულ" ბიუჯეტს ეხებოდა. სტუდენტებმა იციან, რომ აუცილებლად მიმართავენ უკიდურეს ზომებს, თუკი სეკვესტრი ახალგაზრდულ პროგრამებსაც შეეხო, თუმცა როგორი იქნება მათი პროტესტი ჯერ უცნობია.

სამაგიეროდ, სტუდენტებმა თურმე ზუსტად იციან თუ რატომ ვერ გაიმართა საქართველოს ეკონომიკა წელში. **"რომელ ქვეყანაში გინახავთ, ფინანსთა მინისტრი განათლებით ჰიდროლოგი, ფიზიკოსი ან იურისტი იყოს?** - იკითხეს მათ. **- ისეთი რა გაგვიჭირდა, რომ ერთი კარგი ფინანსისტი ვერ გვიშოვია? როგორ შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი უწყების ხელმძღვანელები დანიშვნის მერე სწავლობდნენ ეკონომიკას?"**

სადაც სამართალია, ამ კითხვით ახალგაზრდებს პრეზიდენტისთვის უნდა მიემართათ - მინისტრების კანდიდატურებს ხომ იგი თავად არჩევს. პრობლემა არც მათი ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრა უნდა ყოფილიყო - გუშინდელი პრესკონფერენციის გმირები პრეზიდენტთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრები არიან. მიუხედავად ამისა, მათ საქმეში პრესის ჩარევა არჩიეს, თუმცა არ უთქვამთ, პრეზიდენტის იმედი აღარ გვაქვს და ამას იმიტომ ვაკეთებთო.

მირიან გოგიაშვილის იმედი კი ამ სტუდენტურ მოძრაობას ნამდვილად აღარ აქვს. **"სავალუტო ფონდთან დანიშნულ შეხვედრაზე წასვლის ნაცვლად, მირიან გოგიაშვილი აჭარაში წავიდა მაგული გოგიტიძის დაკრძალვაზე, იქიდან წამოსულმა იქეიფა და დააგვიანა კიდეც,** - ამხელს ახალგაზრდა მინისტრს ირაკლი მურცხველაძე. **- რატომ დაგვიანა მთავრობაში სეკვესტრის თაობაზე დოკუმენტის წარდგენა? - რუსთავის გზაზე მოტოციკლეტით სეირნობდა და იმიტომ! ქვეყანა ასეთ მდგომარეობაშია, ფინანსთა მინისტრს კი სათამაშოდ ცალია!"**

ასე გაბრაზებული სტუდენტები კიდევ იმიტომ არიან, რომ მირიან გოგიაშვილმა მათ პირობა არ შეუსრულა. **"პრეზიდენტის თანდასწრებით დაგვპირდა, რადგან 2002 წელს ახალგაზრდული პროგრამები სრულად ვერ დავაფინანსეთ, 2003 წელს, მათ მოცულობას გავზრდითო. მოგვატყუა - დღეს ყველანი სეკვესტრის წინაშე ვდგავართ. არ გვინდა, რაოდენობის გაზრდა, ის დაგვიფინანსოს, რაც გეგმაში გვქონდა",** - აცხადებს ნოე სულაბერიძე.

მოძრაობა უმაღლესი სასწავლებლებისთვის კომუნალური ხარჯების შემცირებასაც აპროტესტებს. **"ეს ნიშნავს, რომ ზამთარში გაყინულ და ბნელ აუდიტორიებში უნდა ვისხდეთ. რატომ? მოიკლონ აპარატის, ადმინისტრაციული, საკანცელარიო, ავეჯისა და რემონტის ხარჯები. შეამცირონ გაბერილი კადრები, პარლამენტის საშვთა ბიუროში ოთხი გოგო რომ ზის ერთი საშვის გამოსაწერად",** - კონკრეტული წინადადებები აქვთ სტუდენტებს.

მათი კიდევ ერთი წინადადება ასე ჟღერს: ფინანსთა სამინისტროსთან უნდა შეიქმნას საბჭო, რომელშიც შევლენ ახალგაზრდა ეკონომისტები. მოტივები ასეთია: **"ჩვენ გვაქვს უფლება, ვიცოდეთ, როგორ იხარჯება ქართული ფული. ჩვენ გვყავს ადამიანები, ვისაც კარგი რჩევის მიცემა შეუძლიათ."**

დრვალელთა ბედი შემოდგომამდე ვერ გაირკვევა

ეთერ მამულაშვილი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სკანდალურად ცნობილი მონაკვეთის, ბორჯომ-ხარაგაულის 38,5-კილომეტრიანი მილსადენის მშენებლობა რამდენიმე კვირაში დაიწყება. დღეს არსებული სამშენებლო პროექტის მიხედვით მილსადენის ეს მონაკვეთი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკიდან, ყველაზე მცირე, ოთხი კილომეტრით არის დაშორებული. BP-ის წარმომადგენლები, ტრადიციულად, იმის მტკიცებას მოჰყვნენ, რომ მილსადენის ხსენებულ და ყველა სხვა მონაკვეთზე უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად არის დაცული და აქ რისკის ალბათობა მინიმუმია.

პროექტის მიხედვით, მეწყერულად ყველაზე აქტიურ ზონაზე, კოდიანას უღელტეხილზე, დაახლოებით, სამი კილომეტრის სიგრძის მილსადენი გაივლის. BP-ის გარემოსდაცვითი კოორდინატორის, ირინა სამადაშვილის თქმით, ხანგრძლივი კვლევისა და მუშაობის შემდეგ ამ ადგილას ნავთობსადენი მილის გაყვანა დღეს უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს. თუმცა, ქართველი ექსპერტების ინფორმაცია სხვას მოწმობს.

ამ ადგილის მცენარეთა რვა უნიკალურ სახეობას (მედგარა, დაქტილორიზა, ფრიტილარია, ცისთვალა, ნაღველა, თეთრყვავილა, გლობულარია და კნაპა) უახლოესი ოთხი წლით ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში, სპეციალურად აგებულ საკონსერვაციო ცენტრებში გადაიტანენ. ფლორის ამ იშვიათი ჯიშების გადარჩენასა და გამრავლებაზე ქართული საკონსულტაციო ფირმა "ძელქვა" იზრუნებს. ის ნავთობსადენის მშენებელი კომპანია BP-ის კონტრაქტორია.

მას მერე, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა საბოლოოდ დასრულდება, საკონსერვაციო ცენტრებში შემონახული რვავე მცენარე, ნამატიანად, კვლავ პირველად ადგილსამყოფელზე გადაირგვება.

კვლავ გაურკვეველია მახლობლად მდებარე სოფელ დრვალეში მაცხოვრებლების ბედი. ცოტა ხნის წინათ მოსახლეობის სოფლიდან გაყვანაზე იყო საუბარი, თუმცა სახელმწიფოს საამისო სახსრები ჯერ არ გააჩნია. სოფლელების ახალი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფაზე, მაინცდამაინც, არც BP ფიქრობს. **"მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია, არის ის, რომ შევისწავლოთ ახლომდებარე დაუსახლებელი ადგილები და ხელის

თავდასხმა რუს მაგნატებზე

პირველი გვერდიდან

პავლოვსკის აზრით, ამ სქელშუბლა ჩინოვნიკებს სურთ პრეზიდენტს "ღატაკი სახალხო მასების ლიდერის" იმიჯი შეუქმნან, რაც შესაძლოა, მისთვის პოლიტიკური კატასტროფა აღმოჩნდეს.

ბ-ნი პავლოვსკი ამტკიცებს, რომ პუტინი "პეტერბურგელებს" მხარს არ უჭერს. ამიტომაც, პრეზიდენტის დუმილი კომპანია "იუკოსის" საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა, უფრო "ჩარევად" შეფასდეს, ვიდრე თანხმობად. თუმცა, ყოყმანის გამოვლენით, პრეზიდენტმა ვითარების გაუარესებას შეუწყო ხელი. პავლოვსკი თვლის, რომ ადრე თუ გვიან, პრეზიდენტს ამ საქმეში ჩარევა მოუწევს, რაც, სავარაუდოდ, კრემლის უმაღლეს ადმინისტრაციაში საკადრო გადაადგილებებით აისახება.

როგორ მოხდა, რომ პუტინის ურთიერთობა ხოდორკოვსკისთან ასეთი დაძაბული გახდა? ეს კრიზისი მიმდინარე თვის დასაწყისში დაიწყო, როდესაც რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ ბრალდება წაუყენა ხოდორკოვსკის იმპერიის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურას, 43 წლის პლატონ ლებედევს. ის სახელმწიფო სახსრების მითვისებაში დაადანაშაულეს, სასუქების ერთ-ერთი ქარხნის პრივატიზაციის დროს. დაახლოებით იმავე პერიოდში, ორმაგი მკვლელობის განხორციელებაში ეჭვმიტანილი, კომპანია "იუკოსის" კიდევ ერთი მაღალი თანამდებობის პირი დააპატიმრეს. ამ კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, არც ერთ დაპატიმრებულს ოფიციალური ბრალდება წაყენებული არ ჰქონია.

თუმცა, კომპანიის საქმეები კიდევ უფრო გაუარესდა. "იუკოსის" ოფისებში თექვსმეტსაათიანი ჩხრეკა ჩატარდა, ხოლო გასულ კვირას ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გაზრახული აქვს ამ კომპანიის მიერ გადასახადების გადახდის საქმეებში გაერკვეს. გავრცელდა ხმები, რომ უახლოეს მომავალში მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებას კომპანიის კიდევ ერთ წამყვან მენეჯერს წაუყენებენ.

"იუკოსის" ოფისში ჩხრეკა თექვსმეტი საათი მიმდინარეობდა

მიხაილ ხოდორკოვსკი პროკურატურის შენობას ტოვებს.

კომპანია "იუკოსზე" შეტევამ ისეთი ხმაური გამოიწვია, რომ პუტინის ეკონომიკურმა მრჩეველმა ანდრეი ილარიონოვმა სახალხოდ განაცხადა, კანონისადმი გენერალური პროკურატურის "საარჩევნო" მიდგომაზე. სხვა საპატივსაცემო პირებმა, მაგალითად, ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ევგენი იასინმა გამოთქვა შიში, რომ ეს შეტევა პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების თანდათანობითი ლიკვიდაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. დუმის ლიბერალმა კანონმდებელმა ალექსეი მელნიკოვმა, რომელიც წარსულში მკვეთრად აკრიტიკებდა კომპანია "იუკოსს", განაცხადა, რომ "მთელი ეს საქმე პოლიტიკურად არის მოტივირებული."

გამონვეული ხმაურის მიუხედავად, პროკურატურა უკან დახევას არ აპირებს. გასულ პარასკევს, მათ კომპანია "იუკოსთან" დაკავშირებული შვიდი სისხლის სამართლის საქმე გამოიძიეს, რომელთაგან ხუთი, საქმიანი ინტერესების საფუძველზე მკვლელობას ან მკვლელობის მიზნით თავდასხმას უკავშირდება.

ბ-ნი პუტინის პოზიცია კი თავად კრემლში არსებულ უთანხმოებაზე მიუთითებს. ხელისუფლებაში ყოფნის ოთხწლიანი პერიოდის მანძილზე პრეზიდენტმა ვერ შეძლო საკუთარი გუნდის შექმნა. მის ყურთან სიახლოვისათვის კი, ორი დაჯგუფება ებრძვის ერთმანეთს. ე.წ. "პეტერბურგელების" დაჯგუფება მტრულად არის განწყობილი კერძო მსხვილი კორპორაციების მიმართ, რომლებიც რუსეთის რესურსების უდიდეს ნაწილს აკონტროლებენ. ბ-ნი პავლოვსკის თქმით, შესაძლოა, ამ დაჯგუფების გარკვეულ წევრებს ამ ბიზნესის მსხვილი ლუკმის მითვისება სურდეთ.

მეორე დაჯგუფება კი ცნობილია, როგორც "ოჯახი". ესენი არიან ყოფილი პრეზიდენტის, ბორის ელცინის ნათესავები და უახლოესი მეგობრები, რომლებიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურის ალექსანდრ ვოლოშინის საშუალებით ეკონომიკურ პოლიტიკაზე ფარულ ზეგავლენას ახდენენ. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ამ ორ დაჯგუფებას შორის ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდა.

და აი, ამ დროს სცენაზე გამოდის ხოდორკოვსკი. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ის შესამჩნევად ბევრს საუბრობს პოლიტიკაზე და არცთუ იშვიათად აკრიტიკებს პრეზიდენტ პუტინს ისეთ საკითხებში, როგორიცაა, მაგალითად, ერაყი. სახელმწიფო დუმაში არსებული წყაროების თქმით, მან სერიოზულად დაისახა მიზნად მისი მხადამჭერი უმრავლესობის შექმნა დუმაში. ის აფინანსებს "იაბლოკოს" და მემარჯვენე ძალთა გაერთიანებას, ასევე ფულს აძლევდა კომუნისტებსაც. სავარაუდოა, რომ ამ სამპარტიულმა ბლოკმა, აუცილებლობის შემთხვევაში, გადასძალოს კიდეც პროსახელისუფლო პარტიები. ბ-ნი ხოდორკოვსკი თავისი ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევაში, უდავოდ, მოიპოვებდა ხელისუფლებას.

ამოცანას წარმოადგენს ხოდორკოვსკის გაცხადებული სწრაფვა პოლიტიკისკენ. ადრე ის შეთანხმების დაცვას და კონფრონტაციაზე თავის არიდებას არჩევდა. პუტინი, თავის მხრივ, ცნობილია იმით, რომ ის უსწორდება იმ მაგნატებს, რომლებიც მისთვის გზის გადაღობვას გაბედავენ. გახსენებისთვის, ვლადიმირ გუსინკი და ბორის ბერეზოვსკიც კმარა. **"ალბათ, ხოდორკოვსკის, უბრალოდ, მოსწყინდა და ის თავს სხვებზე უფრო ჭკვიანად მიიჩნევს,"** - განაცხადა ამის თაობაზე დუმის ერთ-ერთმა დეპუტატმა. და აი, კრემლიც მისთვის ჭკუის სწავლებას ცდილობს.

ამავდროულად, არსებობს შიში, რომ ხოდორკოვსკიზე თავდასხმამ, შესაძლოა, ოლიგარქებზე ნადირობის სეზონი გახსნას. გასულ კვირას გამოძიება დაიწყო რუსეთის ალუმინის მეფის ოლეგ დერიპასკას წინააღმდეგ, რომელიც ოჯახური ძაფებით ყოფილ პრეზიდენტს ბორის ელცინს უკავშირდება.

რუსეთის მასმედია "იუკოსის" საქმეს კრემლის ორ გამოკვეთილ ჩინოვნიკთან, ვიქტორ ივანოვთან და იგორ სეჩინთან აკავშირებს. ბევრი ფიქრობს, რომ ისინი ამით პუტინს ფარავენ. **"მე ამ ბიჭებს დამოუკიდებელ მოთამაშეებად არ განვიხილავ,"** - განაცხადა სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა და რუსული პოლიტიკის სპეციალისტმა მაიკლ მაკფაულმა.

პუტინის დუმილი კი, კომპანია "იუკოსის" გარშემო შექმნილ კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებს. როდესაც ყველაფერი ჩაწყნარდება, პუტინს არასასიამოვნო პრობლემების გროვა წარმოექმნება.

რუსეთის ეკონომიკის კატასტროფა არ მოხდება, მაგრამ რუსეთის იმიჯი კი სერიოზულად დაზარალდება, იმით, რომ უცხოელი ინვესტორები კვლავ სარისკოდ ჩათვლიან ამ ქვეყანაში საქმეების დაწყებას. პუტინისეულ კრემლში კი, წონასწორობა დარღვეულია. ხოლო, სქელშუბლების თავდასხმამ ხოდორკოვსკიზე, საპირისპირო შედეგი გამოიწვია: ხოდორკოვსკი მსხვილ პოლიტიკურ ფიგურად იქცა.

მოამზადა
ლევან ღირსიაშვილმა

ლიბერიის დასახმარებლად ნიგერიელები გაეშურებიან

ლიბერიელებს დახმარების იმედი გადაეწურათ.

ლიბერიის თავდაცვის მინისტრი მიესალმა შეტყობინებას ამ ქვეყანაში სამშვიდობო ძალების გაგზავნის თაობაზე, თუმცა აღნიშნა, რომ ამას მაშინ დაიჯერებს, როცა საკუთარი თვალით ნახავს.

როგორც ცნობილი გახდა, ლიბერიაში ჯარების გაგზავნის მზადყოფნა ნიგერიამ გამოთქვა. ნიგერიელი სამშვიდობოები დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური თანამეგობრობის მანდატით იქნებიან აღჭურვილები. საააგენტო "ბი-ბი-სი"-ს ცნობით, ამ სიახლეს თავად ლიბერიელები ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე შეხვდნენ. ალბათ იმიტომ, რომ უკვე თვეზე მეტია, რაც მათ ქვეყანაში სამშვიდობო ჯარების გაგზავნის საკითხია დასმული და ჯერ შედეგი არ მოჰყოლია. ქვეყანაში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს ყველა შორიდან აკვირდება.

ნიგერიის სამშვიდობო ძალები ორი მოტომსროლელი ქვეითი ბატალიონისგან იქნებიან შემდგარნი. ერთ-ერთი მათგანი ამჟამად სიერა-ლეონეში ასრულებს სამშვიდობო მისიას. ამ ძალების ლიბერიაში ყოფნის სტატუსი უახლოეს მომავალში გაირკვევა. ლიბერიის პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ ნიგერიელები ლიბერიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში განთავსდებიან, თუ კი დაპირისპირებულ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება რეალურად იმუშავებს.

დღევანდელი გადასახედიდან კი, ლიბერიაში ცეცხლის შეწყვეტამდე ჯერ კიდევ შორია. მეხუთე დღეა, რაც დედაქალაქ მონრივიასთვის სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობს. მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის ზუსტი რაოდენობა უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ორი დღის წინ ექვსასზე მეტი უდანაშაულო ადამიანი იყო დაღუპული. საინფორმაციო საშუალებები ვარაუდობენ, რომ ეს ციფრი დღეისათვის გაზრდილია. პრეზიდენტ ტეილორის ერთგულ ძალებს აშკარად უჭირთ პოზიციების შენარჩუნება. არის ცნობები, რომ ამბოხებულები ბატა ალყაში აქცევენ. ჩარლზ ტეილორს ამასთან ერთად სხვა სადარდებელიც გაუჩნდა. შვეიცარიის ხელისუფლებამ პრეზიდენტ ტეილორთან დაახლოებულ ორ პირს საბანკო ანგარიშები გაუყინა, სადაც დაახლოებით ნახევარი მილიარდი ამერიკული დოლარი იყო აკუმულირებული. შვეიცარიის ნაციონალური ბანკის შეფასებით, ტეილორის გარემოცვას შვეიცარულ ანგარიშებზე დაახლოებით სამი მილიარდი დოლარი აქვს.

ირანმა ალ-ქაიდას ხელმძღვანელები დააკავა

რევაზ ბახტაძე

გუშინ ირანის დაზვერვის მინისტრმა ალი იუნესიმ თეირანში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ალ-ქაიდას გავლენიანი წევრები ირანულ საპყრობილეში იმყოფებიან. თუმცა, მინისტრს დაკავებულთა სახელები და მათი თანამდებობები აღარ დაუკონკრეტებია.

იუნესის თქმით, ალ-ქაიდას ზოგიერთი დაკავებული წევრი ქვეყნიდან გააძევეს, ხოლო ზოგიერთები კი იმ ქვეყნებს გადასცეს, რომელთა მოქალაქეებიც ისინი იყვნენ.

ადრე, ირანი ალ-ქაიდას დაკავებულ წევრებზე საუბარს ყოველთვის თავს არიდებდა. ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ მათ ჯერ დაპატიმრებულთა ვინაობის გარკვევა სჭირდებოდათ.

გასულ კვირას ქუვეითმა განაცხადა, რომ ალ-ქაიდას წარმომადგენელი სულეიმან აბუ ღაითი ირანში იყო დაკავებული. ქუვეითის შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიხ ნავაფ ალ-საბაჰმა საუდის არაბეთის გაზეთთან - "ოკაზთან" ინტერვიუში აღნიშნა, რომ ქუვეითის ხელისუფლებამ ირანს აბუ ღაითის ქუვეითში ექსტრადიციაზე უარი განუცხადა. მინისტრის განცხადებით, მას მოქალაქეობა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ჩამოართვეს.

ირანმა ალ-ქაიდას დაკავებული წევრების შესახებ პირველი განცხადება ივნისში გააკეთა. მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს, ირანელებმა ალ-ქაიდას ერთ-ერთი ლიდერი, უსამა ბინ ლადენის ვაჟი საად ბინ ლადენი და უსამას უშიშროების სამსახურის უფროსი საიფ ალ-ადელი დაიჭირეს. სწორედ ეს პიროვნებები ითვლებიან ალ-ქაიდას უმაღლეს ხელმძღვანელებად.

აღსანიშნავია, რომ იუნესის პრესკონფერენცია ახლახანს აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ გაკეთებული განცხადებიდან ძალიან მალე გაიმართა. ორი დღის წინ პრეზიდენტმა ბუშმა ირანი და სირია ტერორისტების მფარველობაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა და დაემუქრა, რომ ისინი "პასუხს აგებენ".

თეთრი სახლის პრესმდივნის სკოტ მაკკლელანის თქმით, მას იუნესის განცხადების დადასტურება არ შეუძლია.

პრესმდივნის განცხადებით, ირანელი მინისტრის განცხადება "ამერიკელთა ინფორმაციას ადასტურებს, რომ ალ-ქაიდას წევრები ირანში იმყოფებიან".

ირანი მის ტერიტორიაზე ალ-ქაიდას მოქმედებას გადაჭრით უარყოფს. "როგორც კი შევიტყობთ ხოლმე ინფორმაციას ალ-ქაიდას ან მასთან დაკავშირებული პირების შესახებ, სადაზვერვო საქმიანობას დაუყოვნებლივ ვაქტიურებთ და ეჭვმიტანილებს ვაპატიმრებთ," - განაცხადა დაზვერვის მინისტრმა.

ირანის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდოლვაჰედ მუსავი-ლარიმ კი აღნიშნა, რომ ალ-ქაიდას ზოგიერთ წევრს ირანში გაასამართლებენ, ზოგიერთს მათ მშობლიურ ქვეყნებს გადასცემენ, ხოლო ზოგიერთს იმ სახელმწიფოში გაუკეთებენ დეპორტაციას, საიდანაც ისინი შემოვიდნენ. "ჩვენ მზად ვართ, ალ-ქაიდას წევრები მხოლოდ ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებს გადავცეთ," - შინაგან საქმეთა მინისტრის აღნიშნული სიტყვები საინფორმაციო სააგენტო "ირნამ" გაავრცელა. აშშ კი ირანის მეგობართა სიაში ნამდვილად არ შედის, თუმცა, ზეწოლა იმდენად დიდია, რომ არ არის გამორიცხული, ალ-ქაიდას ლიდერები ვაშინგტონისადმი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოს ხელით მაინც ამერიკას გადასცენ.

ბინ ლადენის მარჯვენა ხელი აბუ ღაითი ირანშია დაპატიმრებული.

ორი სიტყვით

თბილისი. რუსთავში არსებული ვაჟა-ფშაველას სახელობის №3 ბიბლიოთეკის გაქურდვის ბრალდებით, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონისა და რუსთავის პოლიციის თანამშრომლებმა შოთა გვენეტაძე დააკავეს. გვენეტაძე, რომელიც წარსულში ნასამართლევია, ამჟამად 730 ცალი წიგნის ქურდობაში იმხილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

გალი. დღეს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრზე ქართულმა მხარემ აფხაზებს, გალში აფხაზური მილიციის მიერ თემურ კვირკველიას დაპატიმრების გამო, პასუხი მოსთხოვა. კვირკველია აფხაზებმა რამდენიმე წლის წინათ ჩადენილ მკვლელობაში თანამონაწილეობისა და ქურდობის ბრალდებით დააკავეს. კვირკველიას ჰყავს ქართველი ადვოკატი, რომელიც მის უფლებებს იცავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

გალი. სამეგრელო ზემო-სვანეთის პროკურორის მოადგილემ, მებრძოლი ჭკადუამ აფხაზურ მხარეს გადასცა გაერო-ს შუამდგომლობა, რომლის თანახმადაც, ქართული მხარე გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფში დაკავებული, 84 წლის გრიგოლ ნანავას სასამართლო პროცესზე ქართველი ადვოკატის დაშვებას ითხოვს. ჭკადუა იმედოვნებს, რომ აფხაზური მხარე გაერო-ს შუამდგომლობაზე უარს არ იტყვის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კლუბ „16 რაუნდის" ხელმძღვანელებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას დააკისრებენ სასამართლო გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობისათვის. იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა ამ საკითხზე მოკვლევა დაამთავრა და მასალები პროკურატურას გაუგზავნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ზუგდიდი. გუშინ 500-მდე პენსიონერმა წალენჯიხის რაიონის სოფელ კაშხალთან ზუგდიდი-მესტიის ცენტრალური ავტომაგისტრალი გადაკეტა. ისინი დაგროვილი საპენსიო დავალიანების გასტუმრებას მოითხოვდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ თბილისის მიკროავტობუსების მძღოლებმა ე. წ. მალაკანების მოედანზე გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. ისინი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მოსახლეობის მიერ შარშან გადაკეტილი ქუჩების გახსნას ითხოვდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მოსახლეობისგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, თბილისის ბაზრებსა და მაღაზიებში უხარისხო, ვადაგასული კვერცხი იყიდება, "საქსტანდარტმა" კვერცხის ხარისხის შემოწმება დაიწყო. **მედია-ნიუსი**

დასავლეთი ბაქოზე ზეწოლას აძლიერებს

პირველი გვერდიდან

ოპოზიციის ლიდერებისა და მათი მომხრეების დევნა შეწყვიტოს", - აღნიშნულია განცხადებაში. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, ოპოზიციის ლიდერებთან - ისა გამბართან და ალი ქერიმლისთან - დაახლოებული პირების დაპატიმრება არც აზერბაიჯანის კანონებსა და არც აზერბაიჯანის მიერ საერთაშორისო არენაზე აღებულ ვალდებულებებს არ შეესაბამება.

დემოკრატიული პარტიის ლიდერის რასულ გულიევისა და პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლისათვის ელდარ ნამაზოვისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმა მრავალ შეკითხვას ბადებს. "ამ თვალსაზრისით, ჩვენ ეუთო-ს ბაქოს ოფისის ხელმძღვანელის, აშშ-ის კონგრესის წევრების და ასევე ოპოზიციური პარტიების ლიდერთა შეშფოთებას ვიზიარებთ", - ხაზგასმულია განცხადებაში.

რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანში წინასაარჩევნოდ შექმნილი ვითარების შესახებ მკვეთრი განცხადებები ეუთო-ს ბაქოს ოფისის ხელმძღვანელმა პიტერ ბურჰარდმა გააკეთა. მან თქვა, რომ თუ უახლოეს მომავალში ვითარება უკეთესობისაკენ არ შეიცვლება, მაშინ ამას აზერბაიჯანისათვის კატასტროფული შედეგი მოჰყვება.

ამას გარდა, მან ოფიციალური ბაქოს წარმომადგენლების განცხადებები უარყო, რომლის თანახმად, საარჩევნო კოდექსის უკანასკნელი ვარიანტი, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც საარჩევნო კომისიების ფორმირებას შეეხება, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროსთან და ევროსაბჭოს ვენეციის კომისიასთან იყო შეთანხმებული.

აღსანიშნავია, რომ პიტერ ბურჰარდის მისალოცი სიტყვა აზერბაიჯანის ეროვნული პრესის დღეს, თითქმის, მთლიანად აზერბაიჯანში შექმნილ არასახარბიელო პოლიტიკურ ვითარებას მიეძღვნა.

ბურჰარდმა მიტინგებისა და დემონსტრაციების დროს ჟურნალისტების მიმართ გამოყენებული ძალადობის გამო ეუთო-ს შეშფოთება გამოხატა, განსაკუთრებით - წინასაარჩევნო პერიოდში. "თუ პრესის თავისუფლება არ არსებობს, მაშინ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება მხოლოდ სათანადო ხმის მიცემას არ ნიშნავს. ეს, აგრეთვე, პარტიების, პოლიტიკური პლატფორმების, კანდიდატებისა და საარჩევნო პროცესების შესახებ ინფორმაციის არსებობას გულისხმობს, რათა ამომრჩეველმა ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ", - განაცხადა ბურჰარდმა.

აზერბაიჯანელი მიმომხილველების აზრით, საერთაშორისო თანამეგობრობის გამკაცრებულ ტონს ორი ძირითადი მიზეზი აქვს: პირველი: ოფიციალური ბაქო საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადებულ "ჯენტლმენურ შეთანხმებას" არ ასრულებს, რომლის თანახმად, აზერბაიჯანმა დემოკრატიული თამაშის წესების მინიმალური დონე მაინც უნდა უზრუნველყოს. აზერბაიჯანელი ჟურნალისტები უპრეცედენტო ფაქტს იხსენებენ, როდესაც აზერბაიჯანის ხელისუფლებამ აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზებით, ოპოზიციური პარტიების ლიდერებს მანქანები ჩამოართვა; მეორე: აზერბაიჯანში შექმნილმა ვითარებამ დემოკრატიულ ძალებში იმედგაცრუება გამოიწვია. მათი აზრით, საერთაშორისო თანამეგობრობა ბაქოზე სათანადო ზეწოლას არ ახდენს. აზერბაიჯანელი ჟურნალისტების თქმით, საქართველოში არჩევნების დემოკრატიულ პირობებში ჩატარებას დასავლეთი გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე - აზერბაიჯანში. ასე რომ, აზერბაიჯანში დემოკრატიული ოპოზიციის შენარჩუნების მიზნით, საერთაშორისო თანამეგობრობამ ბაქოზე პოლიტიკური ზეწოლა გააძლიერა.

თუმცა, ადგილობრივი მიმომხილველების აზრით, ყველაფერი მაინც პრეზიდენტ ალიევზეა დამოკიდებული, რომელიც რადიკალური ცვლილებების გატარების სურვილს ჯერჯერობით არ გამოხატავს.

გალში კიდევ ერთი შეიარაღებული თავდასხმა მოხდა

ქართველ სამართლადამცველთა მონაცემებით, გალის რაიონის ე.წ. უსაფრთხოების - დაბალ ზონაში კონტროლის გასამკაცრებლად ვალმერ ბუთბას 40-კაციანი დაჯგუფება შევიდა. ბუთბას დაჯგუფების სახელით ცნობილი სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გალის რაიონში დაბრუნებულ მოსახლეობას ტერორის ქვეშ ამყოფებს. სწორედ ბუთბას რაზმის განუკითხავ მოქმედებას უკავშირებს ადგილობრივი მოსახლეობა არა ერთი მოქალაქის მკვლელობასა და გაუჩინარებას.

გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზთა შეიარაღებული ჯგუფი გუშინ სოფლებში - გაგიდასა და ოტობაიაში შევიდა, რასაც სოფელ გაგიდაში ქართველ პარტიზანებსა და აფხაზურ ფორმირებებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოჰყვა. შეტაკების დროს დაიჭრა 4 ადამიანი. გუშინვე კონფლიქტის ზონაში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებმა ექვსი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი აღმოაჩინეს.

მომხდარის გამო, ჭუბურხინში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლები და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები უმოქმედობაში დაადანაშაულა.

კონფლიქტის ზონაში მოქმედი გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი, გენერალი კაზი აშპაკი ქართულ მხარეს ვითარების გარკვევას ერთი კვირის ვადაში დაჰპირდა. **"24 საათი"**

ოლიმპიზმი

სწორდით! სმენა! წინ პარიზია!

ბესო გელაძე/ლის ფოტო

ახალგაზრდა ოლიმპიელები ოლიმპიურ კომიტეტში სტუმრობისას.

გიგა გურასაშვილი

რამდენიმე დღეც და ყველა ის ახალგაზრდა, ვისაც ძალა ერჩის და პირველობის ამბიციაც აქვს, საფრანგეთის დედაქალაქის სპორტულ მოედნებსა თუ დარბაზებში შეერკინებიან ერთმანეთს.

27 ივლისიდან 1 აგვისტომდე პარიზი ევროპის მე-7 ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. მასში საქართველოს ოლიმპიური ნაკრებიც იასპარეზებს და, დარწმუნებული ბრძნადებოდეთ, მედლებსაც მოიპოვებენ.

ვალკენსვაარდიდან (ჰოლანდია) მოყოლებული, ანუ 1993 წლიდან (როცა ქართველ სპორტსმენთა დებიუტი შედგა) დღემდე, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქართველ ახალგაზრდებს ოლიმპიური სარბიელი უმედლოდ დაეტოვებინოთ.

ჩვენთვის სადებიუტო, საერთოდ კი, რიგით მე-2 თამაშებზე ქართველმა მოზარდებმა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მერე და მერე კი მედლების რაოდენობამ და ხარისხმაც იმატა. თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ, ამაში უკეთ დავრწმუნდებით. მაგალითად, ბათის (ინგლისი) თამაშებზე თითო ოქროსა და ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. მომდევნო, რიგით მე-4 თამაშებზე, ლისაბონში (პორტუგალია) - 1-2-1 თანმიმდევრობაა; ესბერგში (დანია) - 1-3-3. ყველაზე წარმატებული კი მურსიის (ესპანეთი) ევროპის ახალგაზრდული დღეები გამოდგა - 4 "ოქრო" და 2 "ბრინჯაო".

როგორც ყოველთვის, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე წარმატებათა მეტი წილი საჭიდაო სახეობებზე, უფრო კონკრეტულად კი ძიუდოზე მოდის. მოპოვებული 24 მედლიდან 22 ძიუდოისტების მონაპოვარია, თითო-თითო კი მძლეოსნობაზე და ფეხბურთზე მოდის. სხვათა შორის, ქართველი ფეხბურთელები ლისაბონში ჩემპიონები გახდნენ.

ახლა პარიზის ჯერია. საფრანგეთის დედაქალაქში 48 ქვეყნის 2500 სპორტსმენი ათ სახეობაში (მძლეოსნობა, ფეხბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ველოსპორტი, ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი, ძიუდო, ცურვა) შეეჯიბრება ერთმანეთს. საქართველოს ნაკრები, სულ 15 სპორტსმენი, ოთხ სახეობაში (მძლეოსნობა, ძიუდო, ველოსპორტი, ტანვარჯიში) იასპარეზებს.

ახლაც, ისევე როგორც წინათ, მედლების ყველაზე რეალური კანდიდატები ძიუდოისტები არიან. ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ჯუმალ ნათელაშვილის განცხადებით, მისი სამწყსო ხუთ-ექვს მედალს გეგმავს. უიმედოდ არც მძლეოსნები, ტანმოვარჯიშეები და ველომრბოლები არიან.

გუშინ, ტრადიციისამებრ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ) ოლიმპიურ მუზეუმში გაიმართა შეხვედრა დელეგაციის წევრებთან. სპორტსმენებმა, ასევე ტრადიციისამებრ, ფიცი დადეს. იქვე შედგა მათი ეკიპირების ერთგვარი პრეზენტაციაც. ქართველი ახალგაზრდები ოლიმპიურ ფესტივალს "ლოტოს" უნიფორმით ეწვევიან.

ასევე ტრადიციისამებრ, ამა თუ იმ შეჯიბრებაზე გამგზავრების ხელშემშლელი ფაქტორი უსახსრობაა, მაგრამ ამჯერად ყველაფერმა შედარებით კარგად ჩაიარა. ახალგაზრდა ოლიმპიელებს მაშველად ოლიმპიური ფონდი და მისი პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი მოევლინა.

ოლიმპიური ნაკრები ხვალ გაემგზავრება პარიზში. სეოკის პრეზიდენტმა წარმატებები უსურვა მათ და იქვე პირობა დაადებინა, რომ თავს არ შეირცხვენენ.

აქვე ორი სიტყვით იმაზე, თუ რას წარმოადგენს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი.

თავდაპირველად, უფრო სწორად, პარიზამდე აღნიშნული სპორტული ფორუმი, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებად იწოდებოდა. პარიზისთვის კი ოლიმპიური დღეები ოლიმპიურ ფესტივალად მოინათლა. მასში 19 წლამდე ასაკის ათლეტები გამოდიან და "მინი" ოლიმპიური თამაშების სტატუსით სარგებლობს.

აწ უკვე ოლიმპიურ ფესტივალზე თავის დროზე უასპარეზიათ ისეთ სპორტსმენებს, რომლებიც დღეს ამინდს ქმნიან მსოფლიო სპორტში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული არიან მძლეოსნები, ესპანელი ივან მურსია, რუმინელი გაბრიელა საბო, შვედი კაისა ბერკვისტი...

ფეხბურთი

"გუშინ მხოლოდ ერთმა გუნდმა ითამაშა ფეხბურთი"

მიხეილ აბაიშვილი

ალბანეთში სირცხვილნაჭამი "დინამო" სამშობლოში გუშინ დილით დაბრუნდა. მწარე მარცხით გამოწვეული უგუნებობის მიუხედავად, შუშაკი მედიას არ დამალვია და გუშინვე პრესკონფერენცია გამართა.

"დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა განმეორებით მატჩზეც იგივე, ერთი კვირის წინანდელი ძირითადი შემადგენლობა აირჩია და დღესაც დარწმუნებულია, რომ სწორად მოიქცა.

"მიღებულია, რომ შემადგენლობას, რომელმაც გაიმარჯვა, არ ცვლიან. მაგრამ, მოდი, თავი დავანებოთ დოგმებს და ვნახოთ, იყო თუ არა შემადგენლობის გადახალისების ობიექტური აუცილებლობა. შემადგენლობის შესაცვლელად ორი ძირითადი მიზეზი არსებობს: თუ გუნდი ცუდად ითამაშებს, ან თუ ვარჯიშებზე გამოჩნდება, რომ იმ შემადგენლობის ესა თუ ის ფეხბურთელი ფორმიდან ამოვარდა, ან მონდომებით არ ირჯება. ამ მიზეზთაგან არც ერთი არ მქონდა", - განაცხადა შუშაკმა.

მწვრთნელი არ გაურბის პასუხისმგებლობას და მომხდარს არასათანადო ფსიქოლოგიური მომზადებით ხსნის.

"როდესაც ჩემი გუნდი იგებს, საკუთარ თავს მეთორმეტე ფეხბურთელად ვთვლი და მიმაჩნია, რომ გამარჯვებაში ჩემი წვლილი საერთო საქმის ერთ მეთორმეტედს შეადგენს. დამარცხების შემთხვევაში კი ეს წილი 50 პროცენტამდე იზრდება. არც ეს შემთხვევაა გამონაკლისი. თუმცა, ყველაზე უარესი ტაქტიკა და შემადგენლობაც რომ ამერჩია, მერწმუნეთ, 0:3 მაინც არ უნდა დავმარცხებულიყავით, რადგან "ტირანა" "დინამოზე" ძლიერი ნამდვილად არ არის. სამწუხაროდ, დიდი მონდომების მიუხედავად, ვერ შევძელი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ფეხბურთელების სათანადოდ მომზადება. ჩემს თითოეულ მოთამაშეს 100-ჯერ მაინც გავუმეორე, რომ თბილისში მოპოვებული გამარჯვება არაფერს ნიშნავდა და მთავარი ბრძოლა ტირანაში გველოდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საკმარისი არ იყო. სწორედ ეს გახლავთ ჩემი მთავარი შეცდომა", - არ მოერიდა თვითკრიტიკას დინამოელთა დამრიგებელი.

პირველ მატჩში განცდილი მარცხის მიუხედავად, მასპინძლები უკანმოუხედავ იერიშზე არ გადასულან.

"ალბანელებმა ძალიან ფრთხილად დაიწყეს თამაში. პირველ წუთებში იგრძნობოდა, რომ მათ ჩვენი ეშინოდათ. თავიდან ბურთსაც ჩვენ ვაკონტროლებდით და სათამაშო სიტუაციასაც. მაგრამ სრულიად ალოგიკური, რიკოშეტით გატანილი სწრაფი გოლის შემდეგ მასპინძლები გათამამდნენ, ჩემს ფეხბურთელებს კი თითქოს ჰიპნოზი გაუკეთეს. როცა ერთი გუნდი ვალდებულია, 90 წუთის განმავლობაში შეუტიოს, მეორე გუნდს კონტრშეტევების განხორციელებისა და 3-4 საგოლე მომენტის შექმნის შანსი ეძლევა. ჩვენს შემთხვევაში მსგავსი არაფერი მომხდარა. გუშინ მხოლოდ ერთმა გუნდმა ითამაშა ფეხბურთი და, სამწუხაროდ, ეს გუნდი "დინამო" არ იყო", - სინანულით დაამატა ივო შუშაკმა.

მწვრთნელმა ისიც აღიარა, რომ ამ მძიმე მარცხის შემდეგ მისი ფეხბურთელები ნოკაუტირებული არიან და მთავარ ამოცანად მათი შოკური მდგომარეობიდან გამოყვანას მიიჩნევს.

"ახლა ჩემი გუნდი ნოკაუტირებულია, მე კი ნოკდაუნში აღმოვჩნდი. თუმცა, ვალდებული ვარ, სანამ 10-ს დაითვლიან, წამოვდგე და ჩემი გუნდი ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანო. საერთოდ, არც გამარჯვებით გამოწვეული სიხარული უნდა გაგრძელდეს დიდხანს და, რაც უნდა მტკივნეული იყოს, არც დამარცხებამ უნდა ჩაგაგდოს ხანგრძლივ აპათიაში. ვინც ამ მდგომარეობიდან სწრაფად გამოვა, დიდ ფეხბურთს ითამაშებს. მე ამბიციური მწვრთნელი ვარ და, ამ მარცხის მიუხედავად, "დინამოსთან" ერთად ჩემი მიზნები მაქვს. "დინამომ" შარშან დაიბრუნა ქართულ ფეხბურთში დაკარგული ლიდერის პოზიცია. ეს ძალიან ძნელი იყო, მაგრამ გაცილებით ძნელია ამ პოზიციის შენარჩუნება. ამიტომ, ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც ტირანაში განცდილი მარცხი დათრგუნავს, არ გვჭირდება. ისე არ გამიგოთ, თითქოს "დინამოში" წმენდის დაწებას ვაპირებდე", - სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას არ გეგმავს შუშაკი, თუმცა, სტრიქონებს შორის ფარული მუქარა მაინც გამოკრთა.

არ ვიცი, რამდენად დაგაკმაყოფილათ "დინამოს" მთავარი მწვრთნელის ამ კომენტარებმა, თუმცა, ის კი ცნობილია, რომ მის გუნდს, სულ მცირე, ერთი წლით მაინც მოუწევს, გადადოს საევროტურნირო ამბიციები.

ხვალ საქართველოს ჩემპიონატი იწყება.

Tour de France

რას მალავს არმსტრონგი

ირაკლი ბერიაშვილი

ამერიკულ "პოსტალს" თითიც არ გაუნძრევია მეთექვსმეტე ეტაპის შუა გზაზე პელოტონიდან გაქცეული ტაილერ ჰამილტონის დასაჭერად. ჰამილტონი რომ ერთ-ერთი აუტსაიდერთაგანი ყოფილიყო, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნებოდა. ტურ დე ფრანსზე არ ყოფილა შემთხვევა, პირველ ექვსეულში მყოფ ველომრბოლს ასე დაუბრკოლებლად ენავარდოს მთელი ასი კილომეტრი. თუმცა, თუ წინა ეტაპის ამბებს გავიხსენებთ, გაუგებარი და უცნაური აღარაფერი მოგვეჩვენება. "პოსტალის" მხრიდან ეს იყო მადლიერების ჟესტი სწორედ იმ მეთხუთმეტე ეტაპზე ყოფილი თანაგუნდელის მიერ არმსტრონგისთვის გაწეული სამსახურისთვის. ეს ისე, თორემ გაქცეულების დაჭერაში მონაწილეობა, ცხადია, "პოსტალისა" და მისი კაპიტნის პირადი საქმეა.

ტურმა ჩაათავა პირენეები, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე გავიდა და ახლა ორასკილომეტრიანი ნაბიჯებით უახლოვდება პარიზს.

ოთხგზის ჩემპიონი და წლევანდელი ტურის ლიდერი საკმაოდ ყინჩად გამოიყურება. მის მიერ ჟურნალისტებთან ნათქვამი არც ერთი სიტყვა, არც პირდაპირ და არც ირიბად, არ გულისხმობს იმას, რომ საქმე მოთავებულია და მეხუთედ გაჩემპიონებას წინ აღარაფერი უდგას. სამაგიეროდ, ტონალობაა ისეთი, რომ კაცი იფიქრებ, რა თქმა უნდა, დარწმუნებულია გამარჯვებაში, მაგრამ თავდაჭერილობით მოსდიოს. შეიძლება მომეჩვენა კიდეც, მაგრამ ამ ვითომდა უდარდელ ტონსა და აკადემიურ სიტყვა-პასუხში მე სხვა რამ შევამჩნიე. ოთხგზის ჩემპიონის უფერულ თვალებში, სხვათა შორის, პირველად ამ ხუთი წლის მანძილზე, შიში ცდილობდა დამალვას. წლევანდელი ტურ დე ფრანსის პირველივე ეტაპიდან, უფრო ზუსტად, პროლოგიდან, როცა არმსტრონგმა ოთხი წამი წააგო იან ულრიხთან, ოსტატურად გაკეთებულ ღიმილს ამოფარებული ეს შიში დროდადრო მაინც გამოყოფს ხოლმე თავის საცეცებს.

REUTERS

ტაილერ ჰამილტონი XVI ეტაპის ფინიშზე.

ტექნიკური შედეგები
XVI ეტაპი. პო - ბეიონი. 197,5 კმ.

1. ტაილერ ჰამილტონი (CSC, აშშ)	4 სთ. 59 წთ. 41 წმ.
2. ერიკ ზაბელი (ტელეკომი, გერმანია)	+1 წთ. 55 წმ.
3. იური ვრივცოვი (ჟან დელატური, უკრაინა)	იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ)	70 სთ. 37 წთ. 59 წმ.
2. იან ულრიხი (ბიანკი, გერმანია)	+1 წთ. 07 წმ.
3. ალექსანდრ ვინოკუროვი (ტელეკომი, ყაზახეთი)	+2 წთ. 45 წმ.
4. აიმარ სუბელდია (ეუსკალტელი, ესპანეთი)	+5 წთ. 16 წმ.
5. იბან მაიო (ეუსკალტელი, ესპანეთი)	+5 წთ. 25 წმ.
6. ტაილერ ჰამილტონი (CSC, აშშ)	+6 წთ. 35 წმ.

კიდევ რამდენიმე ეტაპი და პელოტონი დიდი ამბით შევა პარიზში. ეს უეჭველად მოხდება და სწორედ მაშინ, როგორც იმთავითვეა დათქმული - 27 ივლისს. გასარკვევია ერთადერთი – ვის ეცმევა იმ დღეს ყვითელი მაისურა. გულშემატკივართა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ტურ დე ფრანსის ეს ყველაზე ნაღდი სიმბოლო მის დღევანდელ პატრონთან, არმსტრონგთან ერთად გაიქროლებს ელისეს მინდვრებზე. შედარებით მცირე ნაწილს იან ულრიხის სჯერა. უკვე გავლილმა სამი ათასმა კილომეტრმა მხოლოდ ეს ორი პრეტენდენტი შეარჩია.

თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ვერც დღევანდელი და, სხვათა შორის, ვერც ბოლო ეტაპი ვერ გაგვცემს ამომწურავ პასუხს. ყველაფერი ხვალ, ნანტისკენ მიმავალ 49-კილომეტრიან გზაზე გაირკვევა. სწორედ იქ, სადაც ვერც მეტოქე გუნდის წევრი შეგიშლის ხელს და ვერც თანაგუნდელები დაგეხმარებიან. ამ ეგრეთ წოდებულ ინდივიდუალურ ეტაპზე ყოველი მათგანი მარტო დარჩება - გზასთან და დროსთან.

არმსტრონგს ზუსტად 67 წამი აქვს მარაგში, ულრიხს - იმდი იმისა, რომ პროლოგსა და პირველ ინდივიდუალურ ეტაპზე მოპოვებულ გამარჯვებას გაიმეორებს. სხვა რა ვთქვა, არც ერთია ჩემი ბიძაშვილი და არც მეორე. მაგრამ უკვე აღარც მახსოვს, მერამდენედ მიწევს იმის თქმა, რომ ჩემი სიმპათიები გერმანელის მხარესაა. მე რომ ჩემი იღბალი ვიცი, ალბათ, არ გამიმართლებს, მაგრამ რა ვქნა, ყოველთვის პატივს ვცემდი ნორმალურ ადამიანებს.

ინფოთეკა

ფეხბურთი. "ბარსელონას" არგენტინელი ნახევარმცველი ხუან რამონ რიკელმე ახალი კლუბის ძიებას შეუდგა. მას შემდეგ, რაც კატალონიურმა კლუბმა რონალდინიო შეიძინა, რიკელმეს "ბარსელონაში" დარჩენის შანსი ნულს გაუტოლდა. ესპანური პრესა იუწყება, რომ არგენტინელის შეძენით ორი მექსიკური კლუბი - "ამერიკა" და "კრუზ აზული" დაინტერესდა. ფეხბურთელის აგენტის, მარკოს ფრანკის თქმით, მექსიკურ კლუბში გადასვლა რიკელმესთვის იდეალური ვარიანტია, რადგან მას იქ ბევრი მეგობარი ჰყავს. ფრანკიმ განაცხადა, რომ რიკელმე უახლოეს მომავალში წამოიწყებს მოლაპარაკებებს, სავარაუდოდ, "ამერიკასთან".

■ ■ ■

ფეხბურთი. ესპანურმა "სარაგოსამ" კონტრაქტი გააფორმა არგენტინელ მცველთან, 22 წლის გაბრიელ მილიტოსთან. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ მილიტო მადრიდის "რეალის" ფეხბურთელად ითვლებოდა. თუმცა, სამეფო კლუბმა არგენტინელთან კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა, რადგან ამ უკანასკნელმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბრაზილიელ ჯალმინიას "დეპორტივოში" დაბრუნება სურს. შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინათ, ვარჯიშზე, ჯალმინიამ თავი დაარტყა "დეპორის" მწვრთნელს ხავიერ ირურეტას. ამის გამო ბრაზილიელი ნახევარმცველი ვენის "ავსტრიაში" გაანათხოვრეს. ახლა კი ჯალმინიამ ყოფილ კლუბში დაბრუნებისა და ირურეტასთან შერიგების სურვილი გამოთქვა. "მსურს, რომ "დეპორტივოში" დავბრუნდე. ჩემი კლუბი მომენატრა, თუმცა, თუ მათ ჩემი მიღება არ სურთ, მზად ვარ, სხვა კლუბში ვითამაშო", - განაცხადა ჯალმინიამ.

■ ■ ■

ფეხბურთი. "მილანის" ახალი შენაძენი კაფუ ამ კლუბშიც იმავე ნომერს მიიღებს, რომლითაც ბრაზილიის ნაკრებსა და "რომაში" თამაშობდა. კაფუმდე ორნომრიანი მაისურა ტომას ჰელვეგს ეკუთვნოდა, თუმცა, ამ უკანასკნელს ის ნამდვილად აღარ სჭირდება - ჰელვეგი მილანის "ინტერში" გადავიდა. თერთმეტნომრიანი მაისურა კვლავინდებურად რივალდოს გადასცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ "მილანი" ბრაზილიელის გაყიდვას არ აპირებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. უკრაინული საინფორმაციო წყაროების მიხედვით, სერგეი რებროვმა, შესაძლოა, კარიერა გერმანიაში გააგრძელოს. ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩს "ფენერბახჩესა" და "აახენს" შორის რამდენიმე გერმანული კლუბის წარმომადგენელი დაესწრო. ინტერესი გერმანელების მხრიდან თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა. მისი თქმით, იმ კლუბებს შორის, რომელთაც მისი გადაბირება სურთ, არის "შტუტგარტიც", რომელიც ჩემპიონთა ლიგისთვის კარგი თავდამსხმელის ძიებაშია.

■ ■ ■

ფეხბურთი. კვლავაც ჭიანურდება ანდრეი შევჩენკოსა და "მილანს" შორის გასაფორმებელ ახალ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. მოქმედი კონტრაქტით, შევჩენკო 2005 წლის ბოლომდე "მილანს" ეკუთვნის, მაგრამ ფეხბურთელს კონტრაქტის სამი წლით გაგრძელება სურს. წინააღმდეგი არც კლუბია, თუმცა, ჯერჯერობით მხარეები ფინანსურ საკითხზე ვერ თანხმდებიან.

■ ■ ■

ფეხბურთი. კიევის "დინამო" აგრძელებს მაღალი კლასის თავდამსხმელის ძიებას. ლიედსენთან არშემდგარი გარიგების შემდეგ უკრაინელებმა მეორე ბრაზილიელს, 18 წლის დენისს დაადგეს თვალი. ფეხბურთელი ბრაზილიის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება.

■ ■ ■

მძლეოსნობა. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარი-ჟოზე პერეკმა უარი თქვა, გამოვიდეს აგვისტოში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე. მორბენლის თქმით, ნერვის ანთება მას სირბილის საშუალებას არ აძლევს.

■ ■ ■

ფორმულა 1. გერმანელმა მიხაელ შუმახერმა დიპლომატობას მიჰყო ხელი. ამიერიდან ის სან-მარინოს რესპუბლიკის ელჩი გახდა. მართალია, ელჩის ფუნქციას მხოლოდ სპეციფიკურ სიტუაციებში შეასრულებს, მაგრამ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმედი აქვს, რომ პილოტის ავტორიტეტი მას ბევრ რამეში დაეხმარება. ჯერჯერობით არც ისაა ცნობილი, თუ რომელ ქვეყანაში იქნება ელჩად შუმახერი.

TV-სპორტი

პარასკევი. 25 ივლისი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ბაია" - "კორინთიანსი"
15:00 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
15:30 "დარტყმა გოლისთვის"
15:45 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ბრეშა" - "ლაციო"
17:30 საერთაშორიოს ტურნირი. "Champions World" აშშ-ში. "მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) - "სელტიკი" (შოტლანდია)
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ბაია" - "კორინთიანსი"
21:20 "FUTBOL MUNDIAL"
21:50 "რეალი" (მადრიდი)
22:50 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ბავარია" (გერმანია) - "დინამო" (უკრაინა)
00:35 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ლივერპული" - "არსენალი"
02:20 02:20-დან 13:00-მდე შესვენება
05:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ბაია" - "კორინთიანსი"

НТВ + СПОРТ
11:00, 14:15, 17:00, 20:30 პრესცენტრი
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20,14:30 აერობიკა
11:45 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალი
13:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
15:00 ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატების ისტორია.
16:00 ტაილანდური კრივი
17:15 როდეო
18:00 გოლფი. "British Open"
20:00 საკალათბურთო მიმოხილვა. WNBA
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:50 ავტორბოლა. აღმოსავლეთ ევროპის თასი
0:10 "პოსტსკრიპტუმი"
01:10 ახალი ამბები
01:25 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ბრაზილია – ჩინეთი

EUROSPORT
11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
13:30 კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი
16:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
16:30 მძლეოსნობა
16:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
21:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
23:00 k-1 გრან-პრი იაპონიაში
01:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი რეიდი. მსოფლიო თასი
02:45 ტელეჟურნალი "ფორმულა 1"
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
03:30 ავტორბოლები
04:15 ახალი ამბები

საწყლოსნო სპორტი

ბრიტანელები გვალვას მოერივნენ

X FINA World Championships

გიგა გურასაშვილი

ნებისმიერ ჩემპიონატს ჰყავს თავისი გმირები. ერთნი თუ უცაბედად დაიქუხებენ, მეორენი საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას დიდ დროს ანდომებენ. მაგალითად, ავსტრალიელმა იან ტორპმა გამოჩენისთანავე მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება და დღემდე ასეთ პატივშია.

ბარსელონაში მიმდინარე საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატზე სხვათა სახელებიც იწრთობა. ამ სხვებში თავისუფლად შეიძლება მოვიხსენიოთ ამერიკელი მაიკლ ფელპსი და იაპონელი კოსუკე კიტაჯიმა. ჯერჯერობით ვერც ერთი ავსტრალიელ ფენომენს ვერ უტოლდება, მაგრამ უკვე ყურადღების ცენტრში არიან. ხშირად გაისმის კითხვა, თუ ვინ გახდება ბარსელონას წყლის უსწრაფესი მოცურავე - 20 წლის იან ტორპი თუ 18 წლის მაიკლ ფელპსი, რომელმაც ჩემპიონატის მესამე დღეს 200 მეტრზე ნახევარფინალში ბატერფლაით რეკორდი დაამყარა. ან იქნებ სულაც ფელპსის კბილამ, კოსუკე კიტაჯიმამ გაიმარჯვოს - იაპონელმა, რომელმაც 100 მეტრზე ბრასში მსოფლიო რეკორდი დაამხო. უჩვეულო ის არის, რომ იან ტორპს ბარსელონაში ჯერაც არ დაუმყარებია რეკორდი, თუმცა, ორ ინდივიდუალურ ოქროს მედალს თანაგუნდელებთან 4X200 ესტაფეტაში მოპოვებული მესამე ესპანური "ოქროც" შემატა. გარდა ამისა, ავსტრალიელის ჰეგემონია 200 და 400 მეტრზე "თავისუფალში" ისევ დაუმხობელია. მართალია, როგორც ვთქვით, ბარსელონაში ჯერჯერობით რეკორდებით თავი არ გამოუჩენია, მაგრამ 200 მეტრზე ათიდან შვიდი საუკეთესო შედეგი მას ეკუთვნის, ხოლო 400 მეტრზე - ათიდან ცხრა. ფელპსს კი 200 მეტრზე ბატერფლაიში ხუთი მსოფლიო რეკორდი აქვს დამყარებული. ერთ-ერთი მათგანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნახევარფინალში დაამხო და დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ ფინალში, ამ შედეგს თუ არ გააუმჯობესებდა, გაიმეორებდა მაინც. თუმცა, არც იმითაა უკმაყოფილო, რომ მეოთხე დღეს, ანუ 200 მეტრზე, ფინალური გაცურვა ურეკორდოდ მოიგო. ამასთან, იმავე დღეს 4X200 თავისუფალ ესტაფეტაში თანაგუნდელებთან ვერცხლის მედალს დაეუფლა. პირველზე კი, როგორც მიხვდით, ავსტრალიელთა კვარტეტი გავიდა.

REUTERS

კიტაჯიმა მეორე რეკორდს უმიზნებს.

რაც შეეხება ნაკლებად ცნობილ იაპონელს, იგი ბევრად ახლოს იყო იმასთან, რომ მეორედ დაემყარებინა მსოფლიო რეკორდი. 200 მეტრზე ბრასით ნახევარფინალურ გაცურვაში კიტაჯიმა მსოფლიო რეკორდის შესაბამის დროში მიიწევდა წინ, მაგრამ დარჩენილ 10 მეტრზე ტემპი დააგდო და რეკორდის დამყარება ფინალისთვის გადადო. თუმცა, ჩემპიონატის რეკორდით – 2.09,73 მაინც გამოიჩინა თავი.

"მეტოქეებზე მეტად საკუთარი თავი მადარდებდა. მინდოდა, 2 წუთსა და 10 წამზე ნაკლებ დროში დამეფარა მანძილი, რაც გავაკეთე კიდეც. თან, ენერგიაც შემოვინახე, რადგან ფინალში მსოფლიო რეკორდის დამყარებას შევეცდები", - ასეთი გეგმები აქვს იაპონელს.

სხვათა შორის, კიტაჯიმა პირველი იაპონელია, ვინც თანამემამულეებს მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ინდივიდუალური ოქროს მედალი მოუტანა. ნავსი კი გატეხა 100 მეტრზე ბრასით ფინალში, ანუ მაშინ, როდესაც რეკორდი დაამხო.

მოცურავეთა ჩემპიონატის მეოთხე დღე იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ბრიტანელები 28-წლიანი ინტერვალის თუ გვაღვის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ინდივიდუალურ ოქროს მედალს დაუფლნენ. ეს კი ჯეიმს გიბსონის დამსახურებაა - მან 50 მეტრზე ბრასში ვაჟთა ფინალური ასპარეზობა მოიგო.

შოუ-ბიზნესი

ვის ამჯობინებს კაცობრიობა

მუსიკალური ტელეარხის, VH1-ის ვერსიის თანახმად, "თანამედროვე პოპ-კულტურის ხატი" ამერიკელი ტელეწამყვანი ოფრა უინფრი ყოფილა. ამ აღმოჩენის გასაკეთებლად გამოკითხვას რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოებდნენ და მასში ტელეარხის უკლებლივ ყველა თანამშრომელი იღებდა მონაწილეობას. გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოაქვეყნეს თანამედროვეობის 200 "გმირისგან" შემდგარი სია. "გმირების" არჩევის კრიტერიუმი თითქოს მარტივი იყო: ვინ მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა კაცობრიობის კულტურაზე?

ოფრა უინფრის შემდეგ მეორე ადგილზე კინოპერსონაჟი – სუპერმენი გავიდა, მესამეზე – ელვის პრესლი. რეპერი ემინემი 31-ე პოზიციას იკავებს, მის შემდეგ ადგილზე პრეზიდენტი კენედი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ალბერტ აინშტაინს მხოლოდ 108-ე ადგილი დაუთმეს, 161-ე კულტურული მოღვაწე კი მონიკა ლევინსკი გახლავთ.

ტელეარხის დირექტორმა, რობერტ უეიზმა გამოკითხვის შედეგებს მოკრძალებული კომენტარი გაუკეთა: "კულტურა, ცხადია, ცოცხალი ორგანიზმია, ამიტომ ეს სია მხოლოდ 2003 წლის მდგომარეობას ასახავს".

წითელი სარი



ბრიტანელი მსახიობი და მოდელი, ელიზაბეტ ჰარლი ინდოელ მილიონერს, არუნ ნაიარს მიჰყვება ცოლად. ვარსკვლავმა გადაწყვიტა, რომ საქორწილო ცერემონიაზე შესაბამისად უნდა გამოიყურებოდეს, და ამისთვის თავის მეგობარს, დიზაინერ დონატელა ვერსაჩეს, წითელი სარის შექმნა სთხოვა.

ჯერ ამაზე საუბარი თითქოს ადრეა – ქორწილი მომავალი წლის თებერვალში, ბომბეიში უნდა გაიმართოს. მაგრამ 36 წლის მსახიობმა თადარიგი წინასწარ დაიჭირა და ლონდონური ცერემონიისთვის ტრადიციული თეთრი საქორწილო კაბაც შეუკვეთა.

ნაიარის დაჟინებით, პირველი ცერემონია ბომბეიში ჩატარდება. ჰერლის ერთი მეგობრის თქმით, "არუნმა ლიზს აგრძნობინა, რომ თუკი მისი ოჯახის გულის მოგება უნდა, ჯერ ბომბეიში უნდა გაჰყვეს ცოლად, სანამ საერთოდ ლონდონურ ქორწილზე იქნება საუბარი. ლიზს კი ინდოეთი ძალიან მოეწონა და დაგვპირდა, რომ ინდოეთისთვის ძალიან ლამაზი საქორწილო კაბა ეცმევა".

ნაიარისა და ჰერლის ქორწინება მხოლოდ იტალიელი მოდელის, ვალენტინა პედრონის წყალობით გახდა შესაძლებელი: 33 წლის ლამაზმანი ნაიარის ცოლი იყო, მაგრამ როგორც კი მეუღლის ახალი სიყვარულის ამბავი შეიტყო, ყოველგვარი გართულებების გარეშე დათანხმდა განქორწინებაზე.

კიდევ ერთი ხელოვნების ზეიმი

მადი სერებრიაკოვა

როდესაც ხელოვნების ზეიმის გასულ დღეებსა და ჩატარებულ კონცერტებს იხსენებ, ძნელი წარმოსადგენია, კიდევ რა შეიძლება ამაზე უკეთესი იყოს. თუმცა, "მჯობნის მჯობნი არ დაილევაო" - ალბათ, ამაზეა ნათქვამი. შოსტაკოვიჩის სახელობის კვარტეტის კონცერტმა კამერული მუსიკის იმდენად უზადო, სრულყოფილი შესრულება გვიჩვენა, რომ უკეთესს ძნელად თუ წარმოვიდგენდი. თუმცა, ნიკოლაი პეტროვის, კონსტანტინე ორბელიანისა და საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტმა ეს შთაბეჭდილებაც გაახუნა: "გერმანიაში ბახს ასე არ უკრავენ - ასე დრამატულად ასე ღრმად", - აღნიშნეს ფესტივალის გერმანელმა სტუმრებმა. პეტროვის შესრულებული ბახის ორი კონცერტი, მართლაც, გასცდა კრიტიკოსთა შეფასებების საზღვრებს. საკუთარი შეფასებებით რომ არ შეგაწყინოთ, მხოლოდ იმ ფაქტს გავიხსენებ, რომ პიანისტიც და შემდეგ დირიჟორიც ორჯერ გამოიხმეს ბისზე. მსმენელთა ნება რომ ყოფილიყო, მუსიკოსებს სულაც არ გაუშვებდნენ სცენიდან. ამერიკელი დირიჟორის კონსტანტინე ორბელიანის წარმატებამ ამერიკის ელჩიც კი ააღელვა. ყვავილების მისართმევად ჩამოსულმა რიჩარდ მაილსმა დაივიწყა ეტიკეტისა და პირადი დაცვის მოთხოვნები, აღარ ინება საკუთარ ადგილას დაბრუნება და სცენის გვერდით, ხმის რეჟისორის პულტიდან გააგრძელა ბისზე ორბელიანის მიერ უზადო მუსიკალურობითა და ემოციურობით შესრულებული "საჭიდაოსა" და "სულიკოს" სმენა. ფესტივალის ამ ამაღელვებელი საღამოების ფონზე საკადრისად ვერ დავაფასეთ მისი მხატვრული ნაწილი. არადა, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ტოლს არავის უდებს.

რუსუდან ფეტვიაშვილი კულტურათა მიჯნაზე

"ეს სრულიად განსხვავებული, აუთენტური ხელოვნებაა, რომელიც არ ჯდება არც ევროპულ არც აღმოსავლურ ტრადიციაში", - აღნიშნა იაპონელმა მხატვარმა კოჰო მორიმ, თავისი ქართველი კოლეგას, რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატებზე საუბრისას. ეს ორი, სრულიად განსხვავებული ესთეტიკური კონცეფციისა და მხატვრული გამომსახველობის შემოქმედი ბორჯომის მეორე საერთაშორისო ფესტივალმა გააერთიანა. კომპოზიტორთა სახლი რუსუდან ფეტვიაშვილისა და კოჰო მორის გამოფენებს მასპინძლობს.

რუსუდან ფეტვიაშვილზე ძალზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ფენომენალურ მხატვარს პირველი ნახატები ერთი წლისა და ათი თვის ასაკში აქვს შესრულებული, ექვსი წლისა კი პერსონალურ გამოფენას მართავს, რომელზეც მისი ასაკისათვის კოლოსალური რაოდენობის (ასამდე ფერადი და გრაფიკული ნამუშევარი) და ხარისხის ნახატი იყო გამოფენილი. ფურორი, რომელიც მაშინ მხატვარმა მოახდინა, დროთა განმავლობაში ჩაწყნარდა. ფეტვიაშვილის მშობლებს არ უცდიათ ფენომენალური ბავშვისგან პოპ-ფიგურა შეექმნათ: "დედაჩემი ყოველთვის მარიდებდა ჟურნალისტების და საზოგადოების ყურადღებას", - იხსენებს რუსუდანი, ახლა რომ ვხედავ როგორ ცდილობენ მშობლები ყველგან გამოაჩინონ საკუთარი შვილები, მეცოდებიან, მათი ნიჭი ხომ ცვდება".

როგორც თავად იხსენებს, რუსუდანი მხოლოდ მამამისისგან იღებდა გაკვეთილებს, ეს უკანასკნელი მხატვარს მოუწოდებდა განთავისუფლებულიყო ყოველგვარი შეზღუდვებისგან. ალბათ, ამის გამოა, რომ ფეტვიაშვილი არანაირ

კოჰო მორი მნახველების და საკუთარი ნამუშევრის ფონზე.

რიჩარდ მაილსი მიქშერის პულტთან.

მიმდინარეობაში არ ჩაჯდა, არც ვინმეს გავლენის ქვეშ ყოფილა ოდესმე მოქცეული.

ფეტვიაშვილის აუთენტურ ხელწერას ვერც კლასიკურმა განათლებამ შეუცვალა გეზი. "სამხატვრო აკადემიაში უგამოცდოდ მიმიღეს და გოგი მესხიშვილმა ლექციებიდანაც გამანთავისუფლა. მაშინ საფრანგეთიდან შეკვეთა მქონდა "ქართული ზღაპრებისა" "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებზე. ამას თოჯინების თეატრის მხატვრობაც დაერთო. საბოლოოდ, ისე ვიყავი დაკავებული ჩემი საქმით, რომ ვერც გავიგე როგორ დავამთავრე აკადემია".

ამჟამად რუსუდანი წმინდა ოთხთავის უნიკალური ხელნაწერის მინიატურებზე მუშაობს. ზომით 1.20 - 0,70 მეტრის სახარებაში რუსუდანის ექვსასი მინიატურა შევიდა, თავსართებსა და ბოლოსართებთან ერთად. პატრიარქის ლოცვაკურთხევით იგი ელიას მთაზე მშენებარე ტაძრისთვის მზადდება: "ოთხთავზე მომუშავე ჯგუფმა, შევისწავლეთ ქრისტიანული მინიატურის ტრადიცია. იგი კანონიკის სრული დაცვითაა შექმნილი, შევცადე უარი მეთქვა აქამდე გამომუშავებულ ხელწერაზე". შემოდგომაზე დაგეგმილია რუსუდანის პერსონალური გამოფენები მოსკოვსა და იაპონიაში.

რუსუდან ფეტვიაშვილის უკანასკნელ ნამუშევარს, რომელიც "ხელოვნების ზეიმზეა" გამოფენილი, "გარიჟრაჟი" ჰქვია. ახალი ფერთა გამით და ტრადიციული, თითქოს ნაცნობი სახეებით შექმნილ ტილოს, ათასშიც გამოარჩევ. თუმცა გამოფენაზე, რუსუდანის, ალბათ, საუკეთესო ნამუშევრებია წარმოდგენილი 90-იანი წლებიდან მოყოლებული.

შემთხვევითი არ არის, რომ ეს ყველაფერი "ხელოვნების ზეიმზე" მოხდა: "მუსიკა ჩემთვის უპირველესია ხელოვნების დარგებს შორის", - აღნიშნავს მხატვარი – "კლასიკური მუსიკა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, ხატვის დროს გამუდმებით ვუსმენ ბახს, ბეთჰოვენს, მოცარტს, ან ჩაიკოვსკის".

კოჰო მორის კითხვები გაუცემელი პასუხებით

რუსუდან ფეტვიაშვილის თვალისმომჭრელ, იუველირის სიფაქიზით გამოყვანილ მხატვრულ სახეებთან სრულ კონტრასტს ქმნის იაპონელი კოჰო მორის კონცეპტუალური ნამუშევრები. დარბაზში შესულმა დამთვალიერებელმა ისინი თავიდან ვერც შენიშნეს (მხატვარმა თავად ისურვა, რომ ისედაც პატარა ზომის ნახატები ძალზედ დაეშორებინათ ერთმანეთისგან) და კედლის ლაქებად მიიჩნიეს. კოჰო მორის არც უცდია საკუთარი ნამუშევრების ტრადიციული გაგებით, ხელნების ნიმუშებად გამოცხადება: "არ ჩაფიქრებულა, ამ ინფორმაციას არც შეხვედრის ორგანიზატორები ფლობდნენ. მაგრამ, უფრო გასაკვირი ის იყო, რომ არც სტუმრებს ჰქონდათ ბოლომდე ჩამოყალიბებული მასმედიასთან საკუთარი მოთხოვნები. ამიტომაც, გუშინდელი დიალოგი ძირითადად გაცნობითი ხასიათის იყო, რაც არანაირად არ არის ნაკლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება (მეტი ინტენსიურობით) და არ იქნება ერთჯერადი; მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული ის დახარჯული დრო, რაც მსგავს შეხვედრა-დიალოგებსა თუ დებატებს მიაქვს ხოლმე. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამის გამოცდილება უკვე დაგვიგროვდა.

ევროსაბჭოს ოთხკაციანი დელეგაცია ამჯერად თბილისისთვის კულტურული სტრატეგიის შესამუშავებლად ჩამოვიდა. თუმცა, სტრატეგიის ჩამოყალიბებამდე გარკვეული მუშაობაა საჭირო. პირველ რიგში, ალბათ, სტუმრებს ადგილობრივი სიტუაციის შესწავლა მოუწევთ. და რაც ყველაზე მთავარია, ვიდრე მხარეები კულტურაზე დაიწყებდნენ საუბარს, აუცილებელია, თავიდანვე განისაზღვროს თუ რას გულისხმობს ეს ცნება. მითუმეტეს, რომ ჩვენთან კულტურა სამწუხაროდ ძალიან ვიწრო გაგებით მკვიდრდება ნელნელა, ცალკეული მოვლენების (გამოფენა, პრემიერა...) ერთობლიობის აღსანიშნავად. სწორედ ამას გულისხმობდა ერთ-ერთი ექსპერტი მარია თეოდორუც, როდესაც თქვა, რომ: "ჩვენ არ უნდა განვიხილოთ კულტურა ხელოვნების ძალზე ვიწრო თვალსაზრისით". სხვათა შორის, ეს მოსაზრება კრწანისში გამართული დებატების (მარტში) დასასრულს ევროსაბჭოს ექსპერტებმა რეკომენდაციის სახით შეიტანეს.

ბოლო დროს (გუშინდელ შეხვედრაზეც იყო ამაზე საუბარი), ხშირად გვესმის შეკითხვა - რატომ არ არის კულტურა ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტი? გუშინდელი შეთხვევა არ იყო პირველი, როდესაც ევროსაბჭოს ექსპერტები დაჟინებით მოითხოვენ პასუხს ამ შეკითხვაზე და მიგვითითებენ, თუ რა გზით შეიძლება გავხადოთ საქართველოში პრიორიტეტი. პასუხი ძალიან მარტივია - საქართველოს მოსახლეობა, მთლიანად ქართული საზოგადოება იმდენადაა პოლიტიზებული, რომ ანალოგის მოძიება მთელ მსოფლიოში მეტად გაჭირდება. დაბოლოს, ამ უკანასკნელი მოსაზრების დასამტკიცებლად, ალბათ, გუშინდელი ფაქტიც კმარა: ჩვენთან სამწუხაროდ, ჯერ არ შეჩერებულა პოლიტიკაში ხელოვანების გადინების პროცესი... არა მგონია, ეს დეტალი ევროსაბჭოს ექსპერტებისთვის საინტერესო არ იყოს.

საქმიანი შეხვედრა გასაცნობად

თბილისში ევროსაბჭოს მორიგი ექსპერტები ჩამოვიდნენ. სტუმართა ერთკვირიანი გრაფიკი საკმაოდ დატვირთული იყო სხვადასხვა შეხვედრებით კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობასთან, ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლობასთან, მუზეუმებისა და თეატრების თანამშრომლებთან თუ მეცნიერებთან. დაგეგმილია დამოუკიდებელ შემოქმედებთან შეხვედრა. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მისიად ექსპერტებმა მასმედიასთან გაცნობაც მიიჩნიეს. ევროსაბჭოს ექსპერტები მასმედიის წარმომადგენლებს (უფრო ზუსტად, კულტურის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებს) გუშინ შეხვდნენ. შეკრება კულტურის საქალაქო სამსახურის ოფისში გაიმართა და მას რამდენიმე ორგანიზატორი (გნებავთ, მედიატორი უწოდეთ), ასევე სულ რამდენიმე გაზეთის, რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტი თუ მიმომხილველი ესწრებოდა.

ვერა ნეფარიძე

გუშინდელი საუბარი ჟურნალისტებსა და ექსპერტებს შორის, საკმაოდ ბევრ და მნიშვნელოვან თემას შეეხო. წვრილმანი ჟურნალისტური დეტალებით დაწყებული, "ზოგადქართულ კულტურულ", რთულადგადასაწყვეტ პრობლემებამდე. ერთი სიტყვით, გუშინდელმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თემა, რითაც ევროსაბჭოა საქართველოში დაინტერესებული (განისაზღვროს სახელმწიფო თუ დედაქალაქის კულტურული სტრატეგია), საკმაოდ რთულია და სერიოზულ მუშაობას ითხოვს. ერთობ ნიშანდობლივია, რომ ევროსაბჭოს ექსპერტებმა საკითხის მნიშვნელოვანი დეტალების გარკვევა ადგილობრივი ჟურნალისტებისგან ისურვეს...

იმის მიუხედავად, რომ დელეგაცია თითქმის ერთი კვირის წინათ ჩამოვიდა თბილისში, მისი წევრები მეექვსე დღეს (გუშინ) არკვევდნენ ვიზიტის ისეთ ძირითად დეტალებს (მაგალითად: რამდენი ტელეკომპანია და რადიოსადგური მუშაობს თბილისში, ან რამდენი გაზეთი გამოდის), რაც წესით მანამდე უნდა სცოდნოდათ. და საერთოდ, შეხვედრა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს დიალოგისთვის მომზადებული არცერთი მხარე არ იყო. ამ შემთხვევაში, ჩვენ, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ვიყავით "დამნაშავენი" - სამწუხაროდ, მასმედიის წარმომადგენლებს არ გვქონდა ზუსტი ინფორმაცია დელეგაციის მიზნებისა თუ ინტერესების შესახებ; ანუ არ ვიცოდით, კონკრეტულად რა სურდათ ქართველი ჟურნალისტებისგან ევროსაბჭოს ექსპერტებს. შესაძლოა, ეს ინფორმაციას არც ფლობდნენ. მაგრამ, უფრო გასაკვირი ის იყო, რომ არც სტუმრებს ჰქონდათ ბოლომდე ჩამოყალიბებული მასმედიასთან საკუთარი მოთხოვნები. ამიტომაც, გუშინდელი დიალოგი ძირითადად გაცნობითი ხასიათის იყო, რაც არანაირად არ არის ნაკლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება (მეტი ინტენსიურობით) და არ იქნება ერთჯერადი; მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული ის დახარჯული დრო, რაც მსგავს შეხვედრა-დიალოგებსა თუ დებატებს მიაქვს ხოლმე. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამის გამოცდილება უკვე დაგვიგროვდა.

ევროსაბჭოს ოთხკაციანი დელეგაცია ამჯერად თბილისისთვის კულტურული სტრატეგიის შესამუშავებლად ჩამოვიდა. თუმცა, სტრატეგიის ჩამოყალიბებამდე გარკვეული მუშაობაა საჭირო. პირველ რიგში, ალბათ, სტუმრებს ადგილობრივი სიტუაციის შესწავლა მოუწევთ. და რაც ყველაზე მთავარია, ვიდრე მხარეები კულტურაზე დაიწყებდნენ საუბარს, აუცილებელია, თავიდანვე განისაზღვროს თუ რას გულისხმობს ეს ცნება. მითუმეტეს, რომ ჩვენთან კულტურა სამწუხაროდ ძალიან ვიწრო გაგებით მკვიდრდება ნელნელა, ცალკეული მოვლენების (გამოფენა, პრემიერა...) ერთობლიობის აღსანიშნავად. სწორედ ამას გულისხმობდა ერთ-ერთი ექსპერტი მარია თეოდორუც, როდესაც თქვა, რომ: "ჩვენ არ უნდა განვიხილოთ კულტურა ხელოვნების ძალზე ვიწრო თვალსაზრისით". სხვათა შორის, ეს მოსაზრება კრწანისში გამართული დებატების (მარტში) დასასრულს ევროსაბჭოს ექსპერტებმა რეკომენდაციის სახით შეიტანეს.

ბოლო დროს (გუშინდელ შეხვედრაზეც იყო ამაზე საუბარი), ხშირად გვესმის შეკითხვა - რატომ არ არის კულტურა ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტი? გუშინდელი შეთხვევა არ იყო პირველი, როდესაც ევროსაბჭოს ექსპერტები დაჟინებით მოითხოვენ პასუხს ამ შეკითხვაზე და მიგვითითებენ, თუ რა გზით შეიძლება გავხადოთ საქართველოში პრიორიტეტი. პასუხი ძალიან მარტივია - საქართველოს მოსახლეობა, მთლიანად ქართული საზოგადოება იმდენადაა პოლიტიზებული, რომ ანალოგის მოძიება მთელ მსოფლიოში მეტად გაჭირდება. დაბოლოს, ამ უკანასკნელი მოსაზრების დასამტკიცებლად, ალბათ, გუშინდელი ფაქტიც კმარა: ჩვენთან სამწუხაროდ, ჯერ არ შეჩერებულა პოლიტიკაში ხელოვანების გადინების პროცესი... არა მგონია, ეს დეტალი ევროსაბჭოს ექსპერტებისთვის საინტერესო არ იყოს.

უელსის „ოსკარის" ბედი

"ოსკარის" ქანდაკებას, რომელიც თავის დროზე რეჟისორმა ორსონ უელსმა მიიღო, მისი ქალიშვილი აუქციონზე გაყიდვას უპირებს. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ექსპონატის ფასი 400 ათას დოლარს მიაღწევდა, მაგრამ ნურას უკაცრავად.

ამერიკის კინოხელოვნების აკადემიამ, რომელიც "ოსკარებს" გასცემს, ბრძანა, რომ ამ ქანდაკების ერთ დოლარად გამოსყიდვის უფლება აქვს. ამ განცხადებაზე პასუხად კრისტის აუქციონის თავმჯდომარემ თქვა: "ჩვენ გვითხრეს, რომ დავა აუქციონის გახსნამდე უნდა გადაწყვეტილიყო, და რადგან ეს არ მომხდარა, ამ ეგზემპლარს გასაყიდად აღარ გავიტანთ".

ორსონ უელსს თავის კარიერის განმავლობაში მხოლოდ ეს ერთი "ოსკარი" ჰქონდა მიღებული: 1942 წელს გადაღებული "მოქალაქე კეინის" სცენარისთვის, რომელსაც კინოკრიტიკოსთა დიდი ნანილი ყველა დროის საუკეთესო კინოფილმად მიიჩნევს. ითვლებოდა, რომ ამ "ოსკარის" ორიგინალი დაკარგული იყო და 1988 წელს უელსის ასულმა ბეატრისმა კინოაკადემის ასლის დამზადების თხოვნით მიმართა. ამასთან დაკავშირებით ბეატრისმა და აკადემიამ 1950 წლიდან შემოღებულ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი: ქანდაკების გაყიდვის შემთხვევაში კინოაკადემიას მისი ერთ დოლარად გამოსყიდვის უფლება ეძლეოდა.

მაგრამ 1994 წელს ქანდაკების ორიგინალი აღმოაჩინეს, და ბეატრისმა მამის ჯილდოს დაბრუნება შეძლო. ახლა კი, როცა გარკვეული ფინანსური პრობლემები გაუჩნდა, უელსის მემკვიდრემ მისი გაყიდვა განიზრახა.

კონიაკადემია აღშფოთდა. ბეატრისს მიუთითეს, რომ "ოსკარი" კომერციული ობიექტი არაა და ორიგინალისა და ასლის აკადემიისთვის დაბრუნების შემთხვევაში ფინანსურ დახმარებასაც დაჰპირდნენ. ამან უკვე ბეატრისიც აღაშფოთა, და მან სასამართლოში სარჩელი შეიტანა "საკუთრების განგების უფლების დარღვევისთვის".

"ოსკარის" გაყიდვა-არგაყიდვა პირველად როდი გახდა დავის საგანი. ამ დავაში ხან კინოაკადემია იმარჯვებს (მაგალითად, კლარკ გეიბლის "ოსკარის" შემთხვევაში), ხან – მისი მფლობელები. ასე, 1999 წელს მაიკლ ჯექსონმა "ქარწაღებულებისთვის" გაცემული "ოსკარის" შეძენა 1,54 მილიონ დოლარად შეძლო. როგორც ჩანს, ბეატრისი სწორედ ამ მაგალითითაა ფრთაშესხმული.

დეპრესია გაქვს? მაშინ ივარჯიშე

დეპრესია - სიტყვა, რომელიც ყველას გსმენიათ, ზოგიერთისთვის ცხოვრების პერიოდული მეგზურიც არის. "დღევანდელ ჩვენ ცხოვრებაში ის უფრო გასაკვირია რომ არ გქონდესო"- ალბათ იტყვით. შეიძლება მართალი ხართ, მაგრამ მარტო ჩვენ კი არა, მსოფლიოს მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი ხომ სწორედ ამ სენით იტანჯება. რა აღარ გამოიგონეს, უძვირფასესი ანტიდეპრესანტები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ვერაფრით გვშველიან და მოქმედებას მხოლოდ მიღების მე-2 მე-4 კვირიდან იწყებენ. ამ ბოლო დროს კი მეცნიერები ახალ საშუალებას გვთავაზობენ დეპრესიის დასამარცხებლად. კერძოდ კი – ვარჯიშს. ეს უკანასკნელი რომ ჯანმრთელობისა და კარგი განწყობის საწინდარია, უდავოა. ახლა კი, მას ახალი ვალდებულება, დეპრესიის მკურნალობა დაეკისრა. ამ დასკვნამდე კალიფორნიელი და ბერლინელი მეცნიერები, ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაწყებულმა გამოკვლევებმა მიიყვანეს, როდესაც დეპრესიის მქონე 2 ათასი პაციენტისგან შემდგარ ჯგუფს კვირაში 3-ჯერ ავარჯიშებდნენ: ზოგი ტანვარჯიშით იყო დაკავებული, ზოგი ცურვით, თუნდაც სწრაფი სიარულით (ეს ხომ ყველაზე მარტივია და ყველასთვისაა ხელმისაწვდომი), დღეში სულ რაღაც 30 წუთით. შედეგი კი? ის, ვინც რეგულარულად იყო დაკავებული სპორტით დეპრესიის ნიშნები შეუსუსტდათ და თავს გაცილებით უკეთ გრძნობდნენ. ასე რომ, დავუჯეროთ ლამის 23 წლის წინ დაწყებული გამოკვლევების შედეგებს და ვივარჯიშოთ, ყოველ შემთხვევაში, სარგებელს თუ არა ზიანს მაინც არ მოგვიტანს.

„ქართული ინსტიტუტის„ თვითმყოფადი გზა

დალი კუპრავა

წელს გაზაფხულზე ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია დაფუძნდა - "ქართული ინსტიტუტი". საზოგადოების თავმჯდომარეა ისტორიკოსი, ზაზა აბაშიძე.

"ჩვენი მიზანია, ქართული საზოგადოება, ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქე დავარწმუნოთ იმაში, რომ დღევანდელ ეკონომიკურ სიდუხჭირეს ეროვნულ თვითმყოფადობაზე ფიქრი უკანა პლანზე არ გადაუწევია და რომ ამ პრობლემებზე ზრუნვის დრო სწორედაც რომ დღეს არის", - ამბობენ "ქართული ინსტიტუტის" ფუძემდებლები.

"ქართული ინსტიტუტის" იდეა დიდხანს მწიფდებოდა. მას წინ უძღოდა საუბრები მეგობრულ წრეებში, მსჯელობა. ამ საქმეს მატერიალური საყრდენიც გამოუჩნდა - "ახალმა მემარჯვენეებმა" იდეას მხარი დაუჭირეს და ასე დაიბადა "ქართული ინსტიტუტი".

"ქართული ინსტიტუტი" აპოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელსაც პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, "ახალ მემარჯვენეებთან" კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის აღდგენის სურვილი აერთიანებს.

თანამედროვე ეპოქა, კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის, ინტეგრაციის ეპოქაა. არსებითად, საქართველოს პირველად მიეცა საშუალება, დამოუკიდებელი სახით წარდგეს მსოფლიოს წინაშე, წარმოაჩინოს საკუთარი ისტორია და უნიკალური კულტურა. ამასთან ერთად მიეცა საშუალება, სრულფასოვნად დაეუფლოს მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურს. გასათვალისწინებელია, რომ უამრავ დადებითთან ერთად შემოდის და მკვიდრდება ე.წ. "მასკულტურა", რომელიც დასავლეთისთვისაც მიუღებელია.

როგორც "ქართული ინსტიტუტელები" ამბობენ, **"მასკულტურა ვერ გაიმარჯვებს, თუკი თავად არ გავამარჯვებინებთ, თუ ფართოდ არ გავუღებთ კარს, თუ არ შევეცდებით, დავამკვიდროთ ის, რაც მიუღებელია ჩვენი მენტალიტეტისათვის, ზნეობისთვის და არ გადავაშენებთ იმას, რაც ღირებულია"**.

"ქართულმა ინსტიტუტმა" ათი ათას ადრესატს გაუგზავნა წერილი, რომ საზოგადოების აზრი გამოეკვლია და საკუთართან შეეჯერებინა. წერილების ადრესატები საქართველოს ცნობილი და უცნობი მოქალაქეები არიან, ისინი ვისი აზრი და შეფასება საქმეს ყველაზე მეტად სჭირდება. **"ასეთ რეაქციას არ მოველოდით, პასუხი პასუხზე მოდის. წინადადებები, სურვილები , მოსაზრებები... ეს ყველაფერი ჩვენ ძალას გვმატებს და გვარწმუნებს, რომ სწორი გზა ავირჩიეთ - სამოქალაქო საზოგადოება უნდა უვლიდეს თავის კულტურულ მემკვიდრეობას, ამკვიდრებდეს ჭეშმარიტ ღირებულებებს და ინარჩუნებდეს თავისთავადობას, რომელსაც შთამომავლობას გადასცემს. საზოგადოებასთან დიალოგი მოგვეხმარება, რომ გავერკვეთ ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებში, რათა ერთად ვიფიქროთ, თუ როგორ გახდეს თითოეული ჩვენგანის აზრი ქვეყნისთვის საჭირო და სასარგებლო"**, - ამბობს ზაზა აბაშიძე.

პრაქტიკულად, პირველი ნაბიჯი ინსტიტუტმა ზაფხულში გადადგა, როცა 100 სტუდენტი სამცხე-ჯავახეთსა და ბორჯომის ხეობაში წაიყვანა.

TV პროგრამა
25 ივლისი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი "შავი ზეცა" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 03.10** კურიერი **18.20** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ.ფილმი "ტომას კრაუნის თაღლითობა". მთ. რ-ში: პირს ბროსნანი, რენე რუსო. **03.30** მხ.ფილმი "არა საბავშვო კინო". მთ. რ-ში: ჰეიდი ანდროლი, ჩაილერ ლი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "ნანვიმარზე" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.00** დოკ. სერიალი "ტექნოპოლისი" **14.00** სერიალი "ქალთა სავანე" **15.15** მხ. ფილმი "დიანა - გულის დედოფალი" **16.50** "კოლეჯის ერთი უჩვეულო დღე" **17.20** 50-50 **18.00** "ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი "ევროპის ბუნება" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** მაგთიტრონი **21.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **22.05** მრავალსახეობა **22.35** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.00** "რა ხდება ?!" **00.00** მხ. ფილმი "სიკვდილის მიზეზი".

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტროლოლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "სამრეცხაო" მთ. რ-ში დოქტორ დრე, სნუპ დოგი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ბრავო" "დიჯეის დღე" მთ. რ-ში მორიც ბლიაბტროი. **02.15** "ღამურა" "ის რაღაც". მთ. რ-ში გარი ანდერსონი, დენის კრისტოფერი. **03.45** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი "რვაფეხა" **20.30** საქართველო არის ესე **21.00** ენერგია **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** მხ. ფილმი "ვაჟიშვილის ფიცი" .

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ხმელთაშუა ზღვა“ **13.30** მხ.ფილმი „კომანდოსი“ **15.00** მხ.ფილმი „ნილოსის მარგალიტი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „სერიოზული საქმე“ **22.30** მხ. ფილმი „აფეთქება“ .

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "განსტერები" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **15.15** მხ.ფ. "ოჯ, ეს მშვენიერი ნიმფები" **17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **17.30** დოკ. სერიალი **18.45, 19.45** მუსიკა **20.00** მხ. ფილმი "უკანასკნელ მომენტში" **22.15, 23.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი "მხედარი გვიახლოვდება" **02.10** ღამის ფილმი.

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **10.00** სერიალი "ჯონ როსი" **10.30** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **11.00** მხ. სერიალი "პოლიციელი ქალი" **11.55** "ცხელი ცხრიანი" **12.40** მხ. ფილმი "ალითუ და თოხანი" **14.15** "ტელემეტრი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" **15.20, 16.20, 17.20, 19.50, 22.10** მუსიკა **15.30** სერიალი "ციებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი "ღმერთების ეტლები" **17.50** "ერთი ნივთის ისტორია" **18.05** სერიალი "ჯონ როსი" **18.25** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **19.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" **21.15** სერიალი "ციებ-ცხელება" **22.00** "ღამის მატარებელი" **00.20** მხ. ფილმი "ანგელოზები აქ არ ცხოვრობენ".

იმედი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" **10.30** სპ. პროგრამა "ასი" **11.05** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი "ფეირვერკი" **17.30** "მუღამები" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" **19.30** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **22.55** თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" **23.55** სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **00.50** არტ-ფილმი "იმპერატორი და მკვლელი".

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** საბავშვო ფილმი "ჰატჩიპუხი" **10.40** ვიდეოარტი **10.45** კომედია "თორმეტი სკამი" 2 ს. **12.10** კომედია "თქვენზეა არჩევანი მადამ" **13.35** ვიდეოარტი **13.40** თრილერი "გამოსასყიდი" **16.10, 19.20, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი "ლედი და მაწანწალა" **17.30** კომედია "კანადური ბეკონი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40, 22.50** Пресс-папье **19.45** ვიდეოარტი **19.50** მელოდრამა "შემოდგომის ლეგენდები" **22.55** მუსიკა **23.00** "ალტერნატივა" **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** თრილერი "იდეალური დანაშაული" **02.30** დოკუმენტური ფილმი **03.20** დრამა "ტელევიქტორინა" **05.25** დოკუმენტური ფილმი.

VII არხი

09.15 მელოდია **09.35** "აჩიკუდა" **09.55** კომპიუტერული ტექნიკა **10.35** მელოდია . **10.55** მობილურები **11.45** დისნეი და მისი მეგობრები **12.05** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **12.35** "მელოდია" **12.45** კომპიუტერული თამაშები **12.55** "მელოდია" **13.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.40** "ობიექტივი" - სტუმარი **20.30** კომპიუტერული თამაშები **20.40** მელოდია **21.10** აუდიო-ვიდეო-ტელე **21.45** "კინოკლუბი " - "გვამი მოდის". თრილერი . რეჟისორი: ტიმ რობინსი. როლებში- სიუზან სარანდონი, შონ პენი. **23.40** მობილურები **00.30** მელოდია.

ОРТ

07.00 "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15 Сериал "Земля любви, земля надежды" 11.10 Худ.фильм "Королева Марго" 12.10** "Сами с усами" **12.40 Сериал "Твинисы" 13.15 Худ.фильм "ВЕТЕР НАДЕЖДЫ" 14.45** "Непутевые заметки" **15.05 Сериал "Ваш ход, инспектор" 16.15** Док. сериал "Украли маму" **16.50 Комедия "ГРУБАЯ ОГРАНКА" 19.20** "Человек и закон" **19.55 Сериал "НИРО ВУЛЬФ И АРЧИ ГУДВИН" 20.55** "Поле чудес" **22.00** Время **22.30 песня года. Лето. 00.10 Комедия "Полицейская академия: ДРУЖИННИКИ НА УЛИЦАХ" 01.50** Триллер **"ЛИФТ".**

РТР

06.45 "Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал "По имени Барон..." 10.40 Худ.фильм "И СНОВА АНИСКИН" 2-я с. 12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20** "В поисках приключений" **13.20 Сериал "Марш Турецкого-2" 14.15, 17.45** "Экспертиза" **14.30, 03.35** "Дорожный патруль" **14.45** Вести - Москва **15.20** "Моя семья" **16.15** "Комната смеха" **17.15 Сериал "Простые истины" 18.20** "Сам себе режиссер" **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50** "Аншлаг" **20.50** Вести. Дежурная часть **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55** Гала-концерт, посвященный 30-летию концертного зала "Россия" **00.55 Худ. фильм "КОНТРАКТ СО СМЕРТЬЮ" 03.50 Сериал "БЕТТИ" 04.40 Сериал "ГРОСПОИНТ".**

НТВ

07.00 "Утро на НТВ" **10.05 Сериал "ЖИЛ-БЫЛ Я..." 11.00** "Сегодня утром" **11.25** 'БЕЗ РЕЦЕПТА' **12.00** "Квартирный вопрос. Иллюминаторы в гостиной" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.30** Ток-шоу "Страна Советов" **14.35 Боевик 'УДАР ЛОТОСА-2' 2 с. 15.45** "Криминал" **16.35 Фильм 'СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ' 2 с. 18.30 Сериал "Скорая помощь 2" 19.25** 'КОМАНДА.RU' **20.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 21.45 Комедия 'ШПИОНЫ КАК МЫ' 00.00** СУПЕРБОКС. АРТУРО ГАТТИ против ТРЕЙСИ ПАТТЕРСОНА **01.10 Фильм 'ЛУНА В СТОЧНОЙ КАНАВЕ'.**

პოლიტიკისა და კინოს გადასაღებ მოედანზე

მსახიობი პოლიტიკოსები და პირიქით

თამარ ბაბუაძე

REUTERS

რონალდ რეიგანი უფრო წარმატებული პოლიტიკოსი გამოდგა, ვიდრე მსახიობი



ბევრმა არ იცის, რომ კლინტ ისტვუდი ქალაქის მერიც არის

არნოლდ შვარცნეგერს ჯერ ყველაფერი წინ აქვს

არნოლდ შვარცნეგერი სუპერ-ძლიერი "ტერმინატორი" კი არის, მაგრამ "ეს" პირველმა მაინც ვერ გააკეთა – პოლიტიკოსი კინო-მოღვაწე პირველი ვერ გახდა. მას რონალდ რეიგანმაც დაასწრო და ელდარ შენგელაიამაც. თუმცა, გადასაღებ მოედანსა და პოლიტიკურ ავანსცენას შორის არჩევანის გაკეთება დაგვიანებული მაინც არ აღმოჩნდა. კალიფორნიის გუბერნატორის პოსტი ხომ ის სავარძელია, რომელიც ჰოლივუდელებს კომფორტულ პოლიტიკურ კარიერას ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინაც სთავაზობდა. რესპუბლიკელმა შვარცნეგერმაც სწორედ ამ მრავალგზის გამოცდილ თანამდებობას დაუმიზნა. "ტერმინატორი 3"-ის პრემიერის პარალელურად მან უკვე ღიად განაცხადა, რომ არჩევნებში კენჭისყრაზე ხშირად ფიქრობს. სავარაუდოდ, მისი სიტყვა საქმედ ძალიან მალე უნდა იქცეს. კალიფორნიის ახლანდელ გუბერნატორს, დემოკრატ გრეი დევისს ხომ სერიოზული პრობლემები აქვს. 23 სექტემბერს, კენჭისყრის საფუძველზე უნდა გადაწყდეს, დაითხოვენ თუ არა დევისს თანამდებობიდან. მართალია, დევისი პოსტის შესანარჩუნებლად "ბენგალური ვეფხვივით ბრძოლას" აპირებს (ასე განაცხადა მან პრესკონფერენციაზე), მაგრამ თუ ის მაინც გადააყენეს, შვარცნეგერი გუბერნატორის ოფისისკენ მიმავალ გზას მოკლეზე მოჭრის.

ისე კი, ფაქტია, კალიფორნიის შტატში გუბერნატორის გადაყენების შესახებ კენჭისყრამდე საქმე არასდროს მისულა. მცდელობა კი ბევრჯერ ყოფილა. მეტიც, სამჯერ ამგვარ ქარცეცხლში მომავალი პრეზიდენტი და ყოფილი მსახიობი, იმ ხანად კალიფორნიის გუბერნატორი რონალდ რეიგანიც გაება. ანუ, სიტუაცია, რომლითაც შვარცნეგერმა დღეს საკუთარი პოლიტიკური ამბიციები უნდა დაიკმაყოფილოს, წლების წინ ლამის რეიგანის პოლიტიკური კრახის მიზეზი გახდა.

ასე რომ, ახლო მომავალში რესპუბლიკელები ჰოლივუდიდან წონიან შენაძენს ელიან (ამერიკულ დიდ სინამდვილესთან შედარებით ქართული რა მოსატანია, მაგრამ სწორედ აშშ-ს რესპუბლიკურ პარტიაში დატრიალებული მოვლენების პარალელურად, საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამაც მიიღო დიდი საჩუქარი ქართული კინემატოგრაფიდან). მართალია, შვარცნეგერი ჯერ გუბერნატორობის ოფიციალური კანდიდატი არ გახლავთ, მაგრამ ექსპერტები მის ამ ნაბიჯს დადებითად აფასებენ. ისინი ვარაუდობენ, რომ თუ ტერმინატორმა საარჩევნო კამპანია ჭკვიანურად წარმართა, მას გამარჯვების რეალური შანსი აქვს.

შვარცნეგერამდე კი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი გაპოლიტიკოსებული მსახიობი რონალდ რეიგანი გახლდათ. პრეზიდენტობის ორი ვადის გასრულებამდე ის კალიფორნიის გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა. ერთხანს რეიგანის კვალს კლინტ ისტვუდიც გაჰყვა და კალიფორნიის ქალაქ კერმელის მერი გახდა. პოლიტიკოსობდა პოპულარული მომღერლის, შერის მეუღლე სონი ბონოც. ის კონგრესმენიც იყო და პალმ სპრინგსის მერიც.

ერთი სიტყვით, ამერიკული კინოდან პოლიტიკაში კადრების გადინების მხრივ, სიხალვათე არც შვარცნეგერის გამოჩენამდე იგრძნობოდა. თანაც, პერიოდულად მსახიობები კინოდან წასულელად ახერხებდნენ პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩაბმას. შორს რომ არ წავიდეთ და ვიეტნამის კლასიკური მაგალითიც რომ არ გავიხსენოთ, ამის დასტურად 2003 წლის მარტში დაწყებული ერაყული ომიც საკმარისი გახლავთ. მაშინ შონ პენი ბაღდადში ჩავიდა, სიუზენ სარანდონმა, მარტინ შინმა და სხვებმა საპროტესტო მიტინგებზე რუპორები მოიმარჯვეს, აღელვებულმა მაიკლ მურმა კი "ოსკარის" ცერემონიალი აქცია ქუჩის დემონსტრაციად.

მოდით, ქართული კინოდან პოლიტიკაში გადასულებსა და მათი გადასვლის მიზეზებზე ამჯერად ნუ ვისაუბრებთ. ჰოლივუდის შემთხვევაში კი ზემოხსენებული მაგალითები ერთ რამეს ცხადყოფს: ამერიკული კინოს მოღვაწეები პოლიტიკურ ცხოვრებაში მაშინ ებმებიან, როდესაც მთავრობას კრიზისი უდგას, როდესაც ქაოსი იწყება (თუ ქაოსსა და კრიზისზე მიდგა საქმე, გასაკვირი არც არის, თუ რატომ არის მთელი ქართველი ერი ასე პოლიტიზირებული).

თუმცა, მხოლოდ სახელმწიფოებრივ შეგრძნებას ხელოვანების პოლიტიკური აქტიურობის მიზეზად მაინც ვერ ჩავთვლით: ერაყის ომის დასრულებისთანავე ალაპარაკდნენ, რომ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობით ამერიკელმა მსახიობებმა რეიტინგი აიმაღლეს და უფრო პოპულარულები გახდნენ; რომ ომის წინააღმდეგ პროტესტი მათ საკუთარი კარიერის წინსვლისთვის გამოიყენეს.

არის კიდევ ერთი, წმინდა "ადამიანური" მოტივი, რის გამოც კინომოღვაწეებს გული პოლიტიკისკენ მიუწევთ – ეს ამ ორი სფეროს ნათესაობაა. დერილ ვესტიც, წიგნის Celebirty Politics-ის თანაავტორი აცხადებს: "პოლიტიკაში გადასული მსახიობები ხშირ შემთხვევაში იმიტომ აღწევენ დიდ წარმატებებს, რომ ამისთვის ზუსტად ისეთივე გარჯაა საჭირო, როგორც გადასაღებ მოედანზე. პოლიტიკოსსა და მსახიობს პოპულარობის მოსაპოვებლად თითქმის ერთნაირი თვისებების ქონა სჭირდებათ – მათ უნდა შეეძლოთ აუდიტორიასთან უშუალო, ბუნებრივი კავშირის დამყარება, მათი ნდობის მოპოვება და მედიის წარმომადგენლებთან გამკლავებაც".

ტენესის შტატის ყოფილი სენატორი, ამერიკული კინოს ვეტერანი ფრედ ტომპსონი კი დასძენს: "კინოცა და პოლიტიკაც – ორივე სახალხო ბიზნესია. ორივე შემთხვევაში ურთიერთობას ამყარებ მასებთან, ამიტომ როდესაც ხარ პოლიტიკოსი და თან გაქვს მსახიობობის გამოცდილებაც, ეს წარმატების მიღწევაში საოცრად გეხმარება".

თუ კონკრეტული მაგალითი გნებავთ, მოვუსმინოთ პოპულარული ამერიკული ტელე-შოუს Love Boat-ის მსახიობს ფრედ გრენდის, რომელიც მოგვიანებით კონგრესმენი გახდა: "არა მგონია, პოლიტიკური კარიერის გაკეთებაში ჰარვარდის დიპლომი ისე დამხმარებოდა, როგორც გადასაღებ მოედანზე მიღებულმა გამოცდილებამ მიშველა. თუ იძულებულს გამხდიდნენ, დიპლომსა და მსახიობობას შორის ერთი ამერჩია, თვალის დაუხამხამებლად მოვისროდი უნივერსიტეტის დიპლომს. ეს იმიტომ, რომ პოლიტიკოსს სწორედ მსახიობის გამოცდილება უფრო სჭირდება".

დაბოლოს, თუ კინოდან პოლიტიკაში გადასვლის უფრო იუმორისტული შეფასების მოსმენა გსურთ, ისევ გრენდის მივმართოთ. აი, მისი აზრით, ის ერთი უპირატესობა, რაც პოლიტიკაში გადასულ მსახიობს დანარჩენი პოლიტიკოსებისგან გამოარჩევს: "პირველ რიგში, უკვე ძალიან პოპულარული ხარ და აღარ გჭირდება, უამრავი დოლარი ხარჯო იმაზე, რომ ხალხს როგორმე თავი დაამახსოვრო. იმ ფაქტმა, რომ მე ტელე-შოუში ვთამაშობდი, მგონი საარჩევნო კამპანიიდან რამდენიმე ასეული ათასი დოლარი დამაზოგინა".

ასე რომ, პოლიტიკა და კინო საზოგადოებრივი ურთიერთობის ისეთი ნათესაური "ჟანრი" ყოფილა, რომ კალიფორნიელ ამომრჩევლებს სხვა აღარაფერი დარჩენიათ, თუ არა კულტურისტი შვარცნეგერის გუბერნატორად არჩევა. გინახავთ ის დიდ ეკრანზე, მრისხანე და შეუვალი "ტერმინატორის" ფორმაში? ჰოდა, ახლა წადით და აირჩიეთ კინო-ვარსკვლავი პოლიტიკურ პოსტზე.

ცნობილი ფრანგული ფარმაცევტული კომპანია SERVIER Research Group-ის (სერვიე რისერჩ გრუფ) წარმომადგენლობით ოფისს საქართველოში ესაჭიროება

ბუღალტერი/ფინანსისტი
(მამაკაცი/ქალი)

მუშაობის სრული გრაფიკით, რომელსაც პირდაპირი და მუდმივი ურთიერთობა ექნება პარიზის სათაო ოფისის ფინანსურ და საოპერაციო განყოფილებასთან.

მოთხოვნები: 30 წლამდე ასაკის პიროვნება, შესაბამისი კვალიფიკაციით ადგილობრივი და საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტებში, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილებით (უპირატესობა მიენიჭება საერთაშორისო კომპანიების ფილიალებში ბანკებში, საწარმოებში მიღებულ კვალიფიკაციას), ზეპირი და წერითი ინგლისურის და/ან ფრანგულის სრულყოფილი ცოდნით, ასევე ძირითადი კომპიუტერული (Excel, Word, ...) და საბუღალტრო პროგრამების ცოდნით. დამოუკიდებლობა, აკურატულობა და დინამიურობა წარმოადგენს არჩევის უმთავრეს წინაპირობას.

არჩეულ კანდიდატს მიეცემა შემდგომი პროფესიული ზრდის შესანიშნავი შესაძლებლობა.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოგვგზავნოთ განცხადება (წერილი, დეტალური CV და ფოტოსურათი) შემდეგ მისამართებზე:

„Servier"-ს საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი, აღმაშენებლის გამზირი 148/3
Fax: 96-05-88

ORS International
22 rue Garnier
92200 NEUILLY SUR SEINE
FRANCE
Fax: +331-5572-7501

ამერიკული კომპანია **PEPSI COLA**-ს ოფიციალური ბოთლერი საქართველოში შ.პ.ს. "იბერია რეფრეშმენტი" იწვევს 30 წლამდე ასაკის მამაკაცებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე სამუშაოდ.

აუცილებელი მოთხოვნები

- განათლება უმაღლესი
- უპირატესობა მიენიჭებათ მანქანის მართვის მცოდნე პირებს

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოგზავნოთ ავტობიოგრაფია cv 15 აგვისტომდე ფაქსზე: 9134 58

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან დამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.